საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№02 (378)

18 - 24 ნოემბერი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



2 უგულავას აღიარება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლება აშშ-ის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებს

4



# გვამის გაკვეთა

2 პოლიციელის მიერ სასტიკად ნაცემი მოქალაქე გამოძიებას საქმის ჩაფარცხვაში ადანაშაულებს

7 «შევყურებთ ჩვენი ერის განადგურების პროცესს და, სამწუხაროდ, უძლურნი ვართ»

«შემოქმედება», რომელიც არა მხოლოდ ავტორს ჭრის 14 თავს, არამედ ქვეყანასაც»

ამერიკული «ლიდერობის» კულტი საერთაშორისო 18 წესრიგს ემუქრება

21 შეწყდეს მასწავლებლების შეურაცხყოფა და დამცირება

ვალერი ჩხეიძე: 8

## «პოსტსაბჭოთა პერიოდის ჯაშუშების ბუდე თბილისშია»



სამოქალაქო 10 თვითმფრინავში იარაღის ტრიალია რომანტიზმი და ღამის კლუბში დათრობა — ტერორიზმი, აბა არა?!



ლევან ჩაჩუა: 11

## «ოცნებასაც» და «ნაცმოძრაობასაც» ერთი პატრონი ჰყავთ

«უნდა გამოირიცხოს მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუდმივი შანტაჟის ქვეშ მყოფი გარყვნილი ადამიანების დანიშვნა»

რა მიზანს ემსახურება ამერიკელი მაღალჩინოსნების გახშირებული ვიზიტები საქართველოში ტრამპის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე? 3





# მოსკოვს ცრემლების არ სჯერა 6

## ეროვნულ მიზნებზე ფოკუსირებული პოლიტიკა 19

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ასეთი ადამიანების დაუსჯელობა დანაშაულის წახალისებაა და ეს უკვე ძალიან საშიში ტენდენციაა. ამას მომავალში შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს, იმიტომ, რომ არავინ იცის, ხვალ-ზეგ კიდევ ვის გაწირავს და გაიმეტებს ეს კაცი“.**

# პოლიციელის მიერ სასტიკად ნაცემი მოქალაქე გამოძიებას საქმის ჩაფარცხვაში ადანაშაულებს

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოლიგარქი ივანიშვილი და მისი პოლიტიკური შთამომავლობა ამაყად აცხადებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმთან ერთად ქვეყანაში ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ამას თითქმის ყველა გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ და ლამის აყვედრიდნენ მოსახლეობას... გთავაზობთ ინტერვიუს პოლიციელის მიერ ექვსი თვის წინათ სასტიკად ნაცემ და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გამეტებულ მოქალაქე მამუკა ხამაშურიძესთან, რომელიც, უკვე ორ თვეზე მეტია, სამართალს უშედეგოდ ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს, პროკურატურა ობიექტურ გამოძიებას არ ჩქარობს და არაფერს აკეთებს, დამნაშავეებმა პასუხი რომ აგონ.**





მამუკა ხამაშურიძე:

## ყველას შევაწუხებ და არ გავჩერდები, სანამ დამნაშავე პასუხს არ აგებს

**მამუკა ხამაშურიძე:**

— გვიან ღამით, დაახლოებით ორ საათზე, სტუმრებს ვაცილებდი და სანზონაში, თექვსმეტსართულიან კორპუსებთან ვიდექით. ტაქსმა გამოიარა და ის იყო, უნდა გამეჩერებინა, უცებ ჩვენ წინ დამუხრუჭდა ჯიპი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“. საჭესთან მჯდომმა მამაკაცმა ფანჯრის მინა ჩაწია და მკითხა, — ბიჭო, ხელს ვის უქნევო? ვუთხარი, თქვენ არ გიქნევთ, უკან ტაქსი დგას და იმას ვაჩერებდი-მეთქი. ამ მომენტში ხელში ტაქსისთვის მისაცემი ფული მეკავა. ჯიპის საჭესთან მჯდომმა, — მაშინ შენს სტუმრებს მე წავიყვანო და თან ხელზე შემომხედა. მეც, ცოტა არ იყოს, დავიბენი და ვკითხე, ფულს აიღებთ-მეთქი? ამის თქმა იყო და მანქანიდან გადმოვიდა, — თქვენი საბუთებიო. ვინ ბრძანდებით-მეთქი? — ბორჯომელი ვარ, პრეზიდენტ მარგველაშვილთან ვმუშაობო. მოკლედ, აგრესიულად და შეურაცხმყოფელად მელაპარაკებოდა, დასარტყმელადაც გამოიწია. მერე ამოიღო იარაღი და მთელი ძალით ჩამარტყა თავში. გონება დავკარგე და ძირს დავეცი, როგორც მოწმეები ამბობენ, სახეში ფეხიც დამარტყა... გონს რომ მოვედი, უკვე საავადმყოფოში ვიყავი.

**— სამართალდამცავებს როდის დაუკავშირდით?**

— გონს მეორე დღეს მოვედი და, თვალი რომ გავახილე, ჩემი მოძღვარი მადგა თავზე. საიდან, როგორ გაჩნდით აქმეთქი და დაწყნარდი, შენთვის ლაპარაკი არ შეიძლებაო. ნელ-ნელა მიბრუნდებოდა ცნობიერება და შემდეგ უკვე მოწმეებისგან შევიტყვე, რა და როგორ მოხდა. მოგვიანებით დამირეკა ვიღაც **კვარაცხელიამ**, სახელი არ მახსოვს, და მკითხა, თქვენ, რომ დაეცით, როგორ ხართო? ვუთხარი, არ დავცემულვარ, პოლიციელმა მცემა-მეთქი. კარგიო და გათიშა ტელეფონი. ამის შემდეგ დავუკავშირდი გენინსპექციას და ვაცნობე ყველაფერი.

**— საავადმყოფოში ყოფნისას დასაკითხავად არ მოსულან?**

— გამომძიებელი მოვიდა და დამკითხა, მაგრამ მაშინ, ფაქტობრივად, ნორმალურად ვერ ვაზროვნებდი. მიუხედავად ამისა, რაც გამახსენდა, ვუამბე და ყველა შეკითხვაზე ვუპასუხე. ბოლოს მითხრა, ბრალდებული უნდა ამოიცნოთო. ვუთხარი, პრობლემა არ არის, ამოვიცნობ-მეთქი... მერე **ექიმებმა გამიკეთეს საკმაოდ რთული ოპერაცია, რადგან თავზე შეშუპების ჩაცხრომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თავის ქალა მქონდა ჩამტვრეული და დაზიანებული ძვალი ამომიღეს. ათი დღე საავადმყოფოში ვიყავი, შემდეგ გამომწერეს და ორ თვეს სახლში ვიწექი.**

**— როგორც ვიცი, ექსპერტიზაც მოითხოვეთ. რა დადგინდა, რა დაასკვნეს სპეციალისტებმა?**

— სანამ ვიწექი და მკურნალობის კურსს გავდიოდი, გამომძიებელმა ჩემი ნებართვით ფორმა №100 გაგზავნა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ამას, რა თქმა უნდა, გარკვეული ვადა სჭირდებოდა, მაგრამ მერე და მერე, მივხვდი, რომ დროს აჭიანურებდნენ. ავდექი და მივედი გამომძიებელთან, — რა ხდება, რა ეტაპზეა ეს საქმე-მეთქი. მან, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადამასხა: შენ ამბობ, რომ იარაღი ჩაგარტყეს და ეს არსად ჩანს, არანაირად არ მტკიცდებაო.

**— დაზიანებების არსებობას რით ხსნიდნენ? ოპერაცია ხომ ჩაგიტარდათ?**

— ეს დაზიანებები წაქცევისას მიიღეო, ანუ, იმას „აწვებოდნენ“, რომ იარაღი არ ჩაურტყამს.

**— ეს ექსპერტიზის დასკვნა იყო?**

— არა, ამას გამომძიებელი მეუბნებოდა, ექსპერტიზის დასკვნა მერე დაიდო. გავგიჟდი, ნერვები მომეშალა, — რა წაქცევისას, იარაღის ტარი ჩამარტყა-მეთქი. ისევ გამიმეორა, არ მტკიცდებაო. მერე მითხრა: ერთ-ერთი ვერსია ისიც არის, რომ შესაძლოა, სასწრაფოთი გადაყვანისას მიარტყი თავიო. ხომ ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე. გამოძიება ჩაიფარცხა, მტკიცებულებებს ყურადღება არ მიაქციეს... ჩემთვის უკვე ცხადი შეიქნა, რომ ვიღაცებს შეგნებულად არ უნდოდათ სიმართლის გარკვევა...

**— გამომძიებლის შეცვლა არ მოითხოვეთ?**

— შემიცვალეს, მაგრამ ამით რეალურად არაფერი შეცვლილა. ისევ აჭიანურებდნენ დროს და საქმე წინ არ მიდიოდა. სხვათა შორის, **იქ, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, კამერებია დამონტაჟებული და მერე აღმოჩნდა, რომ გამოძიებამ შემთხვევის ადგილად სხვა ადგილი მიუთითა.** ეს მოხდა მაშინ, როცა საქმეს პირველი გამომძიებელი იძიებდა, ანუ **მათ ხელს არ აძლევდათ კამერებიდან ჩანაწერების ამოღება, რადგან იქ გამოჩნდებოდა სიმართლე და რეალური ფაქტები...**

**— გამოძიება ობიექტურად რომ არ მიდის, გასაგებია. ვის მიმართეთ დახმარებისთვის? ან სახალხო დამცველთან, ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან არ გიცდიათ დაკავშირება?**

— ახლახან წერილი მივწერე **გიორგი მარგველაშვილს**, პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილს** და სახალხო დამცველ **უჩა ნანუაშვილს.** ასევე წერილობით მივმართე **„რუსთავი 2“**-საც, მაგრამ ჯერჯერობით რეაგირება არ ყოფილა. არ ვიცი, რამე ვადა სჭირდება ამას თუ რა ხდება, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ თავს იკავებენ. ალბათ, სერიოზულად არ უყურებენ ამ ყველაფერს და არ თვლიან საჭიროდ მოქმედებას, ალბათ, მათთვის ასეთი ფაქტები არ არის საინტერესო... ▶

# უგულავას აღიარება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლება აშშ-ის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებს

**2017 წლის პირველ ნომერში ვწერდით, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს და თბილისის ყოფილი მერის — გიგი უგულავას ციხიდან გათავისუფლებაც უცხო ძალების ზემოქმედების შედეგი იყო (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №1, 2017 წ. მასალები: „მაოხრებელი მეკვლე“ და ნაკლებად ერთიანი „ნაცმოძრაობა“; „გიგილოცავთ სამართლიანობის აღდგენას“ — უგულავას გათავისუფლება ივანიშვილს მაკკეინმა უბრძანა“; „ხელისუფლებას ვურჩევ, მაკკეინის ნაცვლად რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკოს“.). ეს იყო ახალი წლის დღეებში ამერიკელი სენატორების — ჯონ მაკკეინის, ლინდსი გრემისა და ემი კლობუშარის ვიზიტის, აგრეთვე, საქართველოში აშშ-ის ელჩის — იან კელის ძალისხმევის შედეგი.**

ამ ადამიანებს, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოს მოსახლეობა და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ ავნონ რუსეთს საქართველოს ხელით, ხბოს აღტაცებით ხვდებიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, თვალებში შესციცინებენ და მათ ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებიან. სწორედ ამის შედეგია ხელისუფლების დაპირებების შეუსრულებლობა, მათ შორის, სამართლიანობის აღდგენაზე: უმრავლესობა იმ ადამიანებისა, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას სულს ხდიდა — ძარცვავდა, კლავდა, აწამებდა, აუპატიურებდა, ბიზნესსა და ქონებას ართმევდა, დღესაც თავისუფალია. უფრო მეტიც, მათგან ბევრი ე.წ. საპარლამენტო უმცირესობაშია.



**გიგი უგულავას ციხიდან გათავისუფლება და მის მიერ „ნაცმოძრაობის“ აწ უკვე ყოფილი წევრებისგან ახალი პარტიის ჩამოყალიბება ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ის სრულიად დამოკიდებულია ძია სემის კეთილ ნებაზე.** ამას ადასტურებს ციხიდან ახლახან გამოსული გიგი უგულავს განცხადებაც:

„მე დამიჭირა ივანიშვილმა და ეს სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილე- ▶

ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება გართულდეს ვაშინგტონთან ურთიერთობა, თუკი ჩვენი პოლიტელიტა აჰყვება კერებისა და მაკკეინების მსგავსი გონგამოცლილი პოლიტიკოსების ავანტიურებს. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად იციან ამ ადამიანებმაც და ამიტომ დარბიან ენაგადმოგდებული ხან უკრაინაში, ხან ბალტიისპირეთში და ხან საქართველოში. მათ, რა თქმა უნდა, ხელს აძლევთ დაძაბულობა ტრამპსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, ამით მისი, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის, დისკრედიტებას ცდილობენ.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— როგორ ფიქრობთ, ამ პირობებში რა გზა გრჩებათ სიმართლის დასადგენად? რა შეიძლება გააკეთოთ იმისთვის, რომ ეს საქმე ობიექტურად გამოიძიონ?**

— პირველ რიგში, ფართო საზოგადოებას გავაგებინებ ყველაფერს. **ხალხმა უნდა იცოდეს, რომ დღეს არსებობენ მოძალადე პოლიციელები და სახელმწიფო მათ წინააღმდეგ არაფერს აკეთებს.** მერე, რა თქმა უნდა, მთავარია დამნაშავის დასჯა. მოქალაქეს უსამართლობის განცდა არ უნდა ჰქონდეს. მე ვიქნები თუ სხვა, დანაშაულის ჩადენისთვის პასუხი უნდა აგოს. ამისთვისაა კანონი და შესაბამისი სამსახურები.

რაც შეეხება იმას, თუ რისი გაკეთება შეიძლება, გამოვიყენებ ყველა შესაძლებლობას, ყველა შანსს და შევაწუხებ ყველა სტრუქტურას. სანამ სამართალს არ მივაღწევ, არ გავჩერდები, რა წინააღმდეგობებიც უნდა დამხვდეს და რა ზემოქმედებაც უნდა სცადონ ჩემს გასაჩუმებლად.

**— თქვენი აზრით, დღეს საქართველოში უსამართლობის განცდაა?**

— სხვა რა ჰქვია იმას, რომ პოლიციელი სრულიად უდანაშაულო მოქალაქეს სასიკვდილოდ იმეტებს და ამის შემდეგ, არათუ ისჯება, კვალავ განაგრძობს სამართალდამცავ სტრუქტურაში მუშაობას. ის პოლიციელი — **სანდრო მარტიაშვილი**, დღეს 3-ათასლარიანი გირაოთია თავისუფალი, მაშინ, როცა გვარამიას ცემის გამო კაცი 5000 ლარით დააჯარიმეს. ეს არის სამართალი?

**— თქვენზე რამე ზემოქმედების, დაშინების ან სარჩელის გამოტანაში დარწმუნების მცდელობა ხომ არ ყოფილა?**

— **იმ პოლიციელის მამა, გოგია მარტიაშვილი, ჩემთან სახლში მოვიდა და ასეთი რამ მითხრა: შენ თუ ჩემს შვილს ციხეში ჩასვამ, რომ გამოვა, არ ვიცი, რას მოიმოქმედებსო.** ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, არის თუ არა ეს მუქარა. თანაც მეუბნება, ციხე ჩემთვის უცხო არ არის, ნასამართლევი ვარ და, რამე რომ მოხდეს, შენი სახლიც ვიციო. ამ ყველაფერს ჩემი დებიც ისმენდნენ და მათთვის ეს იყო ძალიან დიდი სტრესი. ველარ მოვითმინე და ვუთხარი, წაბრძანდით-მეთქი. მერე რომ მიხვდა, ასე არაფერი გამოუვიდოდა, თავი შემაცოდა, სულ სხვანაირად, სხვა ტონით დაიწყო ლაპარაკი.

...კიდევ ვიმეორებ: **დღეს არაფრისგან არ ვარ დაცული, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გამორიცხული არ არის, მანქანაში ნარკოტიკი ან იარაღი ჩამიდონ და მერე ამით სცადონ ზემოქმედება. ზუსტად ამიტომ მინდა ამ ამბის გახმაურება. არ გავჩერდები, სანამ ყველა შესაძლებლობას არ გამოვიყენებ. სახალხო დამცველი იქნება, პროკურორი თუ სხვა თანამდებობის პირი — ყველასთან მივალ, ყველას შევაწუხებ და არ მოვისვენებ, სანამ დამნაშავე პასუხს არ აგებს.** ასეთი ადამიანების დაუსჯელობა დანაშაულის წახალისებაა და ეს უკვე ძალიან საშიში ტენდენციაა. ამას მომავალში შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს, იმიტომ რომ არავინ იცის, ხვალ-ზეგ კიდევ ვის გაწირავს და გაიმეტებს ეს კაცი სასიკვდილოდ...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**P.S.** ივანიშვილი თავის დროზე ომახიანად აცხადებდა, მალე ევროპასა და ამერიკას დემოკრატიით გავაოცებო. დემოკრატიის რა მოგახსენოთ, მაგრამ პოლიციაში ისევ ნაცმანქურთების ზონდერები რომ თარეშობენ, ფაქტია. ამიტომაა დღეს ეს პოლიცია ისევ ძალადობისკენ მოწოდებული და ამიტომაა ცემა, წამება „ჩვეულებრივი“ ამბავი. თუმცა ეს, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია და მთავარი ჯერ კიდევ წინ გვაქვს — დაუსჯელი დამნაშავე ხვალ-ზეგ კიდევ უფრო საშინელ დანაშაულს ჩაიდენს და კიდევ არაერთი მოქალაქე გამოცდის თავის თავზე ამ განუკითხაობას...

ბებს ისე, რომ ხელისუფლებას, პროკურატურას, ივანიშვილს არ ჰკითხოს. **ივანიშვილმა გამომიშვა იმ ზეწოლის შედეგად, რა ზეწოლაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან იყო.** არჩევნების შემდეგ მთავრობას 3 ძირითადი მოთხოვნა წაუყენეს: პირველი — დაანებე „რუსთავი 2“-ს თავი; მეორე — ახალი პოლიტიკური რეპრესიები აღარ უნდა იყოს ქვეყანაში და მესამე იყო ძველი პოლიტპატიმრების ეტაპობრივი გამოშვება. ახალი პოლიტიკური რეპრესიები ამწუთას ივანიშვილს არ სჭირდება. მესამე მოთხოვნიდან, ლოგიკურია, რომ პირველი ჩემი საკითხი დაიძრებოდა, სხვა უფრო მძიმეა „ოცნებისთვის“. ყველაზე სახიფათო ჩემთვის არის ის, რომ ივანიშვილი, როგორც არაპოლიტიკოსი, არამედ ბიზნესმენი, 3 საკითხიდან ორს თუ კოჭს გაუგორებს, მესამეს შეიძლება დაარტყას, ამიტომ ყველაზე ცუდი მოლოდინი მაქვს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. იმედია, არ გამართლდება“, — განაცხადა გიგი უგულავამ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

თბილისის ყოფილი მერის ამ აღიარებასთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერც ერთ მნიშვნელოვან საკადრო გადაწყვეტილებას აშშ-ის ელჩთან შეუთანხმებლად ვერ იღებს (გაიხსენეთ: თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის პოსტზე მას შემდეგ დაინიშნა, როცა აშშ-ის ელჩი „ყავის დასალევად“ ეწვია ბიძინა ივანიშვილს. ან გადახედეთ შემადგენლობას „ქართული ოცნებისა“, რომელიც სოროსის ფონდისა და სხვა ანტიქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით არის გაძეძგილი), ცხადი შეიქნება, როგორი „დამოუკიდებელია“ საქართველოს ხელისუფლება და როგორი სულისკვეთების ადამიანები მართავენ ქვეყანას.

# რა მიზანს ემსახურება ამერიკელი მაღალჩინოსნების გახშირებული ვიზიტები საქართველოში ტრამპის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე?



**მას შემდეგ, რაც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა და „ლიბერალების“ უკანასკნელ იმედს — ჰილარი კლინტონს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, „დემოკრატიის მღაღადებელი“ ამერიკელი მაღალჩინოსნები წელზე ფეხს იდგამენ, რომ მსოფლიოში ტრამპის საწინააღმდეგო განწყობა გაღვივდეს. ამერიკელი სენატორები, ელჩები თუ დიპლომატები სატელიტ ქვეყნებს რიგრიგობით სტუმრობენ, შეხვედრას შეხვედრაზე მართავენ და ადგილობრივ პოლიტელიტას ახალ-ახალ დირექტივებს აძლევენ. მაგალითად, 2017 წლის 1 იანვარს საქართველოს ერთდროულად ეწვივნენ სენატორები ჯონ მაკკეინი, ლინდსი გრემი და ემი კლობუშარი. იმავე დღეს სამივე ჯერ საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა, შემდეგ კი — პრემიერსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. მოგვიანებით კი შეხვედრა გამართეს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან და ხანგრძლივი აუდიენციის შემდეგ კრწანისის საწვრთნელ ბაზასაც ესტუმრნენ, თუმცა იყო საუბარი დახურულ კარს მიღმაც და, ცხადია, მედიისთვის უცნობია ამ საუბრის შინაარსი.**

**ზუსტად 10 დღის შემდეგ, 11 იანვარს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კისრისტეხით დაეშვა ჯონ კერის თვითმფრინავი. ავარიული დაჯდომის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე დავით ზალკალიანს შეხვდა და ერთობლივი განცხადებებიც გააკეთეს. შეხვედრაზე კერიმ ხაზი გაუსვა საქართველოს პროგრესს დემოკრატიული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზაზე; ასევე წარმატებები უსურვა საქართველოს მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც, მისი შეფასებით, დიდ როლს თამაშობს ქვეყნის სწრაფ და სწორ განვითარებაში...**

**ზემოჩამოთვლილი ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტები, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მიზანს, ამოცანას ემსახურებოდა. კერძოდ, „მეოცნებეებმა“ „ბოსებისგან“ ახალი დირექტივები მიიღეს, ახალი მითითებები და ინსტრუქციები ჩაიბარეს...**

**რატომ მოუხშირეს ამერიკელმა სენატორებმა საქართველოში ვიზიტს ტრამპის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე, რაზე ისაუბრეს მათ დახურულ კარს მიღმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ მომავალში საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე დასავლეთში მიმდინარე ძირეული პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე — ამ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა.**

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— გასაგებია, რაც უნდათ და რისთვისაც ჩამოდიან. უნდათ, როგორმე გავლენა შეინარჩუნონ საქართველოზე. მიაჩნიათ, რომ ეს ქვეყანა მათი კოლონიაა და უნდა გვმართონ.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, ამათი სიბეცე და გონებრივი ჩამორჩენილობა იქიდან ჩანს, რომ დღემდე არ შეხმიანებიან ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტს. ალბათ, ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ტრამპის მოწინააღმდეგეები გარკვეულ ძალაუფლებას შეინარჩუნებენ და შემდეგ არჩევნებზე ისევ დაბრუნდებიან სათავეში. ეს აბსურდია. ტრამპის ოპონენტებს დღეს არანაირი შანსი არ აქვთ, მათი პოლიტიკა და იდეოლოგია გაკოტრებულია, თანაც, არა მხოლოდ ამერიკაში, ევროპაშიც და სრულიად მსოფლიოში...

**— ტრამპის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის არარსებობა საქართველოს მომავალში არ გაურთულებს ვაშინგტონთან ურთიერთობას?**

— საქართველოს არა, მაგრამ „ლიბერასტები“ რომ არიან და „პედერასტები“, მათ უკვე შეექმნათ პრობლემები, გრანტებს ძველებურად ვეღარ მიიღებენ. ტრამპის პოლიტიკის ქვაკუთხედი არის ის, რომ მან უნდა მიხედოს ამერიკას, ანუ „ფერად რევოლუციებსა“ და რაღაც ავანტიურებს დემოკრატიის სახელით აღარ დააფინანსებენ, ამიტომ არიან ეს ჩვენი ე.წ. ლიბერალები შეშფოთებული და მისჩერებიან სენატორებს, იქნებ რომელიმემ ლუკმა გადმოუგდოს. ვფიქრობ, მათი საქმე წასულია და ამას ვერც **მაკკეინი** უშველის, ვერც **კერი** და ვერც **კლინტონი...**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტიკური მიმომხილველი:**

— მათი ვიზიტები, უბრალოდ, წარსულია და ემსახურება ერთადერთ მიზანს: აქ თავიანთ სატელიტ პოლიტიკურ ძალას უთხრან, ნურაფრის გეშინიათ, აქ ვართ და დაგეხმარებითო. არადა, ვინც ნახა ტრამპის ბოლო ინტერვიუ, დარწმუნდებოდა, რომ მან საბოლოოდ გადაუსვა ხაზი ევროკავშირსაც და ნატოსაც.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— რა თქვა და როგორ, ამაზე დეტალური საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ მისი განცხადება იყო მკვეთრად ანტიევროკავშირული და ანტინატოური. საზოგადოდ, ადრე გაკეთებულ განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, ის პოსტსაბჭოთა სივრცეს ერთგვარი ამრეზით უყურებს. ტრამპმა თავის დროზე გარკვევით გამოხატა თავისი პოზიცია უკრაინის მიმართ, როცა საჯაროდ განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო და იქ მიმდინარე პროცესები ამერიკელების საქმე არ არის. ახლა ჩნდება შეკითხვა: თუ კი უკრაინა, ამხელა სახელმწიფო, მათი საქმე არ არის, სამმილიონიანი საქართველო დააინტერესებთ?! ხომ ცხადია, რომ თეთრი სახლის პოლიტიკა ძირფესვიანად იცვლება და ამ ადამიანის მოსვლა ხელისუფლების სათავეში მხოლოდ სახეების ცვლილება არ არის?!

**— რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს მიმართ?**

— ტრამპის პოლიტიკა ორიენტირებულია ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე. წინა ადმინისტრაცია ამას ნაკლებ დროს უთმობდა და კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა აბსურდულ პროექტებზე, ამიტომ გახდა იგი მიუღებელი ამერიკელებისთვის.

რაც შეეხება საქართველოს, **ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება გართულდეს ვაშინგტონთან ურთიერთობა, თუკი ჩვენი პოლიტელიტა აჰყვება კერებისა და მაკკეინების მსგავსი გონგამოცლილი პოლიტიკოსების ავანტიურებს.** სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად იციან ამ ადამიანებმაც და ამიტომ დარბიან ენაგადმოგდებული ხან უკრაინაში, ხან ბალტიისპირეთში და ხან საქართველოში. მათ, რა თქმა უნდა, ხელს აძლევთ დაძაბულობა ტრამპსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, ამით მისი, როგორც პიროვნების და პოლიტიკოსის, დისკრედიტებას ცდილობენ...

**— გამოდის, ამერიკელი სენატორებისა და სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოში მათივე ქვეყნის საწინააღმდეგო კამპანიაა?**

— რასაკვირველია, ამას არც მალავენ. თუმცა კერებსა და მაკკეინებს ამით შეიძლება იმდენი არ დაუშავდეთ, რამდენიც საქართველოს...

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ტრამპის გარემოცვასთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა ჟურნალისტს განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება სერიოზული რეორგანიზაცია სპეცსამსახურებში. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ძირეულად შეიცვლება და სულ სხვა მიდგომები, სხვა პოლიტიკა გატარდება. ტრამპი ძალიან ჯიუტი პიროვნებაა და, ვინც იცნობს მის ბიოგრაფიას, იცის, რომ ძალიან მიზანსწრაფული ადამიანია. ეს არის კაცი, რომელიც თავის სიტყვას ასრულებს, მით უმეტეს, ისეთ საკითხებში, რომლებიც გულზე არ ეხატება. კიდევ ვიმეორებ: ტრამპს აშკარად არ უყვარს ევროკავშირი და ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა მის მიერ რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთის მიმართ გაკეთებულ განცხადებაში. მან თქვა, რომ მიესალმება ბრიტანელთა გადაწყვეტილებას ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე. ასევე ცნობილია მისი სიმპათია **მარინ ლე პენისა** და **ნაიჯელ ფარაჟის** მიმართ.

რაც შეეხება სენატორების ვიზიტს საქართველოში, როგორც გითხარით, ეს არის წარსული დრო და მსგავს პოლიტიკურ ავანტიურებს მომავალი არ აქვს. ეს ყველაფერი საბოლოოდ დამთავრდება, როგორც კი ტრამპის ინაუგურაცია გაიმართება და ძალიან არ მინდა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ინტერესები კონკრეტული პიროვნებების ინტერესებს შეეწიროს.

მოამზადა **ჯაბა ჭვანიამ**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**12 იანვარს „ნაცმოძრაობიდან“ პარტია „ევროპულ საქართველოში“ გადავიდა 21 დეპუტატი, 38 საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და წევრი, „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრთა ნაწილი. რღვევის პროცესი, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება. მნიშვნელოვანია რომ „ნეონაცებს“ შეუერთდა დეპუტატების სამი მეოთხედი, პრაქტიკულად ყველა „მოლაპარაკე თავი“, თითქმის ყველა ლიდერი, რომლებსაც, ასე თუ ისე, ჭკუა მოეკითხებოდათ (გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობის“ შემთხვევაში „ჭკუა“ ერთობ ფარდობითი ცნებაა, მაგრამ მაინც). ის, რომ სააკაშვილის მხარეს „რიგითების“, პოლიტიკური „საზარბაზნე ხორცის“ დიდი ნაწილი დარჩა, არ ნიშნავს, რომ მისი პარტია უფრო ძლიერია.**

# გვამის გაკვეთა

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის დაშლის შემდეგ ძველი სახელი ერთ-ერთ „ფრთას“ დარჩა, ის სულ სხვა პოლიტიკური გაერთიანება იქნება, რომელსაც ძველ „ნაცმოძრაობას“ მხოლოდ გარეგნული ნიშნებით თუ მივამსგავსებთ. ვინაიდან ყოფილი მმართველი პარტიის დაღუპვის გარემოებები ფრიად საეჭვოა, აუცილებელია გვამის გაკვეთა და სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენა.**

## პათოლოგიური სიმბიოზი

ვიდრე ლანცეტს მოვიმარჯვებთ, ორიოდე სიტყვა მიმდინარე მოვლენების მთავარ შედეგზე უნდა ვთქვათ — „ნაცმოძრაობის“ დაშლა, პოლიტიკური სივრცის ზოგად გადაფორმატებასთან ერთად, ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობებს იმისთვის, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** არა მხოლოდ წლევანდელ ადგილობრივ, არამედ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მისთვის სასურველი შედეგი მიიღოს. გავრცელებული მოსაზრება, რომ „ნაცმოძრაობა ბიძინამ დაშალა“, არასწორია, რადგან ეს, მისი ზეგავლენის გარდა, სხვადასხვა ფაქტორის თანხვედრამ და ურთიერთქმედებამ განაპირობა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მაქსიმალურ ბონუსებს შექმნილი სიტუაციიდან სწორედ ივანიშვილი მიიღებს.

მეტაფორის ძიებაში, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ანატომიას აღწერს, ჩვენ შეიძლება გავიხსენოთ გამოჩენილი პოლონელი ფანტასტის — **სტანისლავ ლემის** რომანი „ედემი“ (1958), რომელშიც ის ფრიად უცნაური უცხოპლანეტელების, „დუბელტების“ (ანუ „ორსხეულიანების“), ცივილიზაციაზე მოგვითხრობს. „დუბელტი“ ორი ორგანიზმის სიმბიოზს წარმოადგენს — ერთი, დიდი, მაგრამ „უტვინო“ „მატარებელი-სხეულია“, მეორე კი პატარა და გაცილებით სუსტი — „მოაზროვნე სხეული“, რომელიც დიდი სხეულის შიგნით, ერთგვარ ჩანთაში ცხოვრობს. შესაძლოა, „ნაცმოძრაობა“ სწორედ ამგვარ სიმბიოზს განასახიერებდა: სააკაშვილი და მართლმორწმუნე „მიშისტები“ დიდ სხეულს წარმოადგენდნენ, ხოლო ე.წ. ბოკერიას ჯგუფი — მცირეს. ის, რაც დღეს ხდება, გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, დაშლა, ელექტორატის თუ საოფისე ავეჯის გაყოფა – ეს სიმბიოზის დასასრულია. ოდესღაც ერთიანი „დუბელტის“ ორი ნაწილი ერთმანეთის გარეშეც რომ გადარჩეს (რაც ძალზე სათუოა), მათ პოლიტიკური ევოლუციის გზის გავლა ხელახლა მოუწევთ, ამიტომ მიმდინარე მოვლენები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე „ნაცმოძრაობიდან“ „გირჩის“ ან **ვაშაძის** მცირე ჯგუფის გამოყოფა.

საზოგადოდ, სტანისლავ ლემის ამ ძველ რომანში ბევრი ფილოსოფიური მეტაფორა და ქვეტექსტია, რომლებმაც შეიძლება დააინტერესოს თანამედროვე ქართველი მკითხველი — „დუბელტების“ ხელისუფლების თავდაცვის მთავარი საშუალება არის ის, რომ საკუთარ არსებობას უარყოფს, რაც არაფორმალური მმართველობის ქართულ სისტემასთან საინტერესო პარალელების გავლების შესაძლებლობას იძლევა. საინფორმაციო ნაკადების მართვისა და სოციალური ჯგუფების დაპროგრამების ხელოვნებას ლემმა „პროკრუსტიკა“ უწოდა, ალბათ, იმიტომ, რომ მის მიერ აღწერილი ხელისუფლება მას დაახლოებით ისე იყენებდა, როგორც პროკრუსტე ცნობილ სარეცელს, და მიაღწია იმას, რომ „დუბელტები“ საკონცენტრაციო ბანაკში ნებაყოფლობით რჩებოდნენ, მათ მცველები არ სჭირდებოდათ.

ყველაზე მიშვნელოვანი ამ კონტექსტში, ალბათ, მაინც ისაა, რომ ქართველმა ლიბერალებმა თავის დროზე აირჩიეს სიმბიოზი უტვინო „მატარებელ სხეულთან“, როგორც გადარჩენის და საკუთარი მიზნების მიღწევის ერთადერთი გზა. ეს ეხება არა მხოლოდ **ბოკერიასა** და მის მეგობრებს (90-იანებში), არამედ ძველ რესპუბლიკურ პარტიას. სხვათა შორის, სწორედ რესპუბლიკელებზე წერდნენ ყველაზე ხშირად, რომ ისინი „ლოკომოტივს ეძებდნენ“. მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: წარმოადგენდა თუ არა სიმბიოზი („მოქალაქეთა კავშირთან“, „ნაცმოძრაობასთან“, „ქართულ ოცნებასთან“ — მნიშვნელობა არ აქვს), რომელიც გაუმართლებელ იდეოლოგიურ და ზნეობრივ კომპრომისებს მოითხოვდა, ამ ჯგუფებისთვის ევოლუციის ერთადერთ გზას და შეიყვანა თუ არა ამ გზამ ბოკერია, უსუფაშვილი და სხვები ჩიხში?

პრინციპში, არაფერი ახალი ამაში არ არის, თავის დროზე ბევრმა გერმანელმა და იტალიელმა ახალგაზრდა ინტელექტუალმა (რომელიც ადგილობრივ პერსონაჟებზე ათი თავით მაღლა იდგა) ჩათვალა, რომ დაიმორჩილებდა და დიადი მიზნების მიღწევას დაუქვემდებარებდა ფაშისტური პარტიების უზარმაზარ „უტვინო სხეულებს“ (შიგნიდან შეცვლიდა სისტემას და ა.შ.), თუმცა, შესაძლოა, ეს მიდგომა მხოლოდ ძალაუფლების წყურვილის გაკეთლიშობილების მცდელობას წარმოადგენდა. რაც შეეხება ტაქტიკურ პერსპექტივას, აქ უფრო მნიშვნელოვანია სხვა კითხვა: სერიოზული იყო მიზეზი, რომელმაც **ბოკერიას, უგულავას, ბაქრაძესა** და სხვებს უარი ათქმევინა მრავალწლიან პოლიტიკურ სიმბიოზზე „ნაცმოძრაობასთან“?

## რამდენი კურდღელი დაიჭირა ივანიშვილმა?

წინასაარჩევნო წინააღმდეგობებმა და პოსტსაარჩევნო სკანდალმა მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა „ნაცმოძრაობის“ შიგნით, მაგრამ ის არ იყო საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ მხარეებს უარი ეთქვათ იმ სარგებელზე, რომელიც ერთად ყოფნას მოჰქონდა. გამორიცხული არ არის, რომ ბოკერია-უგულავას ჯგუფის წევრებმა (მათ შეიძლება ნეონაცები ვუწოდოთ, რათა ძველი ნაცებისგან განვასხვავოთ, ასე უფრო გასაგები და მარტივია) სასიკვდილო საფრთხე იგრძნეს და დაინახეს, რომ სააკაშვილი პარტიას, მათ „მატარებელ-სხეულს“ უფსკრულისკენ მიაქანებს. „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დაკნინება ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია ის, რომ სააკაშვილთან დარჩენილები, ისევე, როგორც თავის დროზე შევარდნაძის მიერ იზოლაციაში მოქცეული „ზვიადისტები“, ვერასოდეს ჩამოყალიბდებიან მმართველი ელიტის ორგანულ ნაწილად და, 99%-იანი ალბათობით, მარგინალიზაციისკენ წავლენ.

კურსი რევოლუციაზე, რომელსაც სააკაშვილი თანაპარტიელებს სთავაზობს, ურტყამს არა მხოლოდ მათ პირად უსაფრთხოებას, არამედ მათი ოჯახების ბედსაც — შვილების მომავალს, მათ ბიზნესს და ა.შ. და ეს იმ პირობებში, როდესაც ისინი ხედავენ, რომ „ვარდების რევოლუცია 2“-ისთვის წინაპირობები არ არსებობს. ხშირად ამბობენ, რომ სააკაშვილი ამას ვერ აცნობიერებს, თუმცა, შესაძლოა, ის, უბრალოდ, აღიქვამს თანაპარტიელებს სახარჯ მასალად და მათი უსაფრთხოება არ ანაღვლებს.

საინტერესოა, რომ ახალ ხელისუფლებას არ უცდია ნეონაცებისთვის და მათი გარემოცვისთვის ძირითადი ბიზნესების წართმევა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამისთვის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა და მათ ძალიან ბევრი რამ დარჩათ დასაკარგავი. სააკაშვილი კი თავის დროზე ცდილობდა, ოპონენტები „გაეტყავებინა“ და, ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მათ, ბორკილების გარდა, დასაკარგავს არაფერს უტოვებდა. საინტერესოა, რომელი მიდგომა (მისი უკიდეგანო ცინიზმის მიუხედავად) მიუთითებს წინდახედულობაზე?

საუბარი იმაზე, რომ ნეონაცები სააკაშვილს უნდა დაშორდნენ, წლების წინათ დაიწყო. ეს სავსებით ლოგიკური იყო, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, საქმე ეხებოდა არა იმდენად პოლიტიკური (თუნდაც სტრატეგიული) ალიანსის დაშლას, არამედ სიმბიოზზე უარის თქმას. ამ სიმბიოზის ფარგლებში კი ერთადერთ შესაძლებელ ვარიანტს „მატარებელ-სხეულზე“ სრული კონტროლის მოპოვება წარმოადგენდა. ბოკერიას ჯგუფი სწორედ ამ მიმართულებით წავიდა და სააკაშვილს „ნაცმოძრაობის“ სიმბოლოდ, ერთგვარ „კონსტიტუციურ მონარქად“ გადაქცევას უპირებდა.







აძლევდა თუ არა ეს ხელს ბიძინა ივანიშვილს? რა თქმა უნდა, არა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, გაძლიერდებოდა და ამის ირიბი დადასტურება წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაა — ბოკერიას ჯგუფი მას საკმაოდ გონივრულად წარმართავდა, სააკაშვილი კი ყველაფერს აფუჭებდა, ბოლოს კი თავისი მუქარებით „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა მობილიზაცია უზრუნველყო.

ნეონაცებს პარტიის სრულ გაკონტროლებას რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა, მაგრამ სააკაშვილმა თითქოს გაიღვიძა (ან გააღვიძეს) და გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. რაღაც მომენტში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ყოველივე დასრულდებოდა კომპრომისით ან პარტიიდან მცირე ჯგუფის გარიცხვით, მაგრამ ამ მომენტში ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა ძალიან საინტერესო სვლა, რომელმაც „ნაცმოძრაობის“ დაშლა პრაქტიკულად გარდაუვალი გახადა.

**გიგი უგულავას** გამოსვლა ციხიდან, უბრალოდ, დაემთხვა კრიზისს „ნაცმოძრაობაში“, თუმცა საქართველოში ეს არავის სჯერა. ყველა თვლის, რომ ის ხელისუფლებამ გამოუშვა, რათა ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დაეჭირა.

ბოლო დღეებში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ უგულავას გამოშვებით ხელისუფლებამ:

**1. გააძლიერა „მიშისტებისა“ და (რაც მთავარია) სააკაშვილის ეჭვები იმის თაობაზე, რომ ბოკერია და უგულავა „ოლიგარქს მიეყიდნენ“ და პარტიიდან მათ გასაგდებად „ლეგიტიმური საბაბი“ შექმნა;**

2. „ამბოხებულთა“ და მერყევი აქტივისტების რიგებში საკუთარი ძალების რწმენა გაამყარა — მათ ადგილობრივ არჩევნებში თბილისის მერობის უფრო ძლიერი კანდიდატი (უგულავა) ეყოლებათ, ვიდრე „მიშისტებს“;

**3. დასავლეთში იმ ჯგუფების მოწონება დაიმსახურა, რომლებიც თვეების განმავლობაში უგულავას გამოშვებას მოითხოვდნენ;**

**4.** ადგილობრივი არჩევნების წინ არა მხოლოდ გახლიჩა „ნაცმოძრაობის“ ელექტორატი, არამედ სერიოზული პრობლემები შეუქმნა თბილისის მერობის ჰიპოთეზურ ერთიან კანდიდატს დე- ▶

**დავით ბაქრაძის განცხადების მიუხედავად, რომლის თანახმად, ის „ნაცმოძრაობაში“ დარჩენილებს ივანიშვილთან ბრძოლაში მოკავშირეებად განიხილავს, თვითდამკვიდრება ერთმანეთის ხარჯზე, ყოფილი თანამებრძოლების ჩაძირვა, დიდი ალბათობით, დაშლილი „ნაცმოძრაობის“ ორივე ნაწილისთვის ძირითად საქმიანობად იქცევა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოკრატიული ოპოზიციიდან (ელისაშვილი იქნება თუ სხვა) — გაჩნდა საპარლამენტო არჩევნების ერთგვარი „რიმეიქის“ შექმნის შესაძლებლობა. „მთავარი საფრთხობელის“ როლს ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, უგულავა შეასრულებს, ხოლო ნაციონალების თუ „ევროქართველების“ რევანშის შიშით შეპყრობილი მერყევი ამომრჩეველი ისევ დაანებებს თავს ფიქრს მესამე ძალაზე და იძულებული იქნება, „ქართულ ოცნებას“ მიემხროს;

**5. შექმნა წინაპირობები მწვავე კონკურენციისთვის ნეონაცებს, უსუფაშვილის ახალ პარტიასა და შედარებით სუსტ ჯგუფებს შორის, რომლებიც ერთ ნიშაში, დასავლეთზე ორიენტირებული, ლიბერალური იდეებისკენ მიდრეკილი ამომრჩევლების მოზიდვაზე იმუშავებენ.**

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — „რუსთავი 2“-ის **ქიბარ ხალვაშისთვის** სავარაუდო გადაცემასთან დაკავშირებული კრიზისისას ნეონაცები შეიძლება მხოლოდ სიმბოლური წინააღმდეგობით შემოიფარგლონ, რადგან მათ, სავარაუდოდ, ხელს აძლევთ, რომ სააკაშვილმა იდეების მუდმივი რეტრანსლირებისა და, შესაბამისად, პარტიულ მასებზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი დაკარგოს. დავით ბაქრაძის განცხადების მიუხედავად, რომლის თანახმად, ის „ნაცმოძრაობაში“ დარჩენილებს ივანიშვილთან ბრძოლაში მოკავშირეებად განიხილავს, თვითდამკვიდრება ერთმანეთის ხარჯზე, ყოფილი თანამებრძოლების ჩაძირვა, დიდი ალბათობით, დაშლილი „ნაცმოძრაობის“ ორივე ნაწილისთვის ძირითად საქმიანობად იქცევა. კიდევ ერთი ნიუანსი — ნებისმიერ კომპრომატს ახალი თუ ძველი ნაცების წინააღმდეგ, რომელიც ამიერიდან ინტერნეტში გამოქვეყნდება, საზოგადოება, სავარაუდოდ, დაუკავშირებს „ნაცმოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ ბრძოლას ერთმანეთთან და არა ხელისუფლების მოქმედებას მათ წინააღმდეგ.

## რევოლუცია ლომთა ხვედრია

სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეები დღეს რთულ მდგომარეობაში არიან — ერთი მხრივ, მათ სიამოვნებთ, რომ ნაციონალები ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ, მეორე მხრივ, უგულავას გათავისუფლებაც არ მოსწონთ. ზოგიერთი მათგანი განვითარებული პროცესების მიღმა დიდ შეთქმულებას ხედავს და მიიჩნევს, რომ სააკაშვილი და ბოკერია შეთანხმებულად მოქმედებენ, ხოლო ნეონაცები „ნაცმოძრაობას“ მხოლოდ იმისთვის გამოეყვნენ, რომ პოლიტიკური ბლოკადა გაარღვიონ, გააფორმონ ალიანსი სხვა პოლიტიკურ ძალებთან, სააკაშვილისგან დემონსტრაციული დისტანცირებით გათავისუფლდნენ წარსულის ტვირთისგან, ხოლო გადამწყვეტ მომენტში მის „ნაცმოძრაობასთან“ ისევ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ. ამ, მეტწილად კონსპიროლოგიური, თეორიების უარყოფა საკმაოდ რთულია, რადგან ჯერ არ გასულა საკმარისი დრო იმისთვის, რომ დადასტურდეს —



**«ევროპული საქართველოს» ლიდერების გავლენა ახალ პარტიაში დაუბალანსებელია, ის შეკრულ და «ჩაბეტონებულ» ერთობას არ წარმოადგენს. ასე რომ, მის შიგნითაც შეიძლება ფრიად დრამატული კონკურენცია განვითარდეს, თუმცა ახალი პოლიტიკური გაერთიანების ყველაზე სერიოზული მტერი, ალბათ, მიხეილ სააკაშვილი იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, არ მოისვენებს, სანამ «ღალატისთვის» შურს არ იძიებს**

„განქორწინება“ ძველ ნაციონალებს ძალიან დიდ პრობლემებს მოუტანს, ნეონაცები კი ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილისთვის კვლავინდებურად დარჩებიან სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის განუყოფელ ნაწილად. ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, გაამყაროს მსგავსი თეორიები, რათა მისმა ამომრჩეველმა „ნაციონალებისგან“ მომავალი საფრთხე არ დაივიწყოს და ალტერნატივის ძებნა არ დაიწყოს.

„ევროპული საქართველოს“ გამოყოფა არ არის ჩვეულებრივი გამოკლება, რომლის შემდეგ სააკაშვილს ძველი რესურსების (ციფრები პირობითია) 65% დარჩება, ხოლო „ნეონაცებს“ — 35%. ის გაცილებით ახლოს დგას ქირურგიულ ოპერაციასთან, რომლის დროს პაციენტი კარგავს ბევრ სისხლსა და ენერგიას, ხოლო რეაბილიტაციასა და სრულ გამოჯანმრთელებას თვეები და წლები სჭირდება. „ნაცმოძრაობის“ „ნამსხვრევების“ ავტორიტეტის და მათი ჯამური რეიტინგის დაცემა (თუნდაც წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით) გარდაუვალია.

თანაც მოსაზრება, რომ სააკაშვილს „ნაცმოძრაობის“ მემკვიდრეობის უფრო დიდი ნაწილი დარჩა, შეიძლება მცდარი გამოდგეს. 12 იანვარს „ნაცმოძრაობიდან“ პარტია „ევროპულ საქართველოში“ გადავიდა 21 დეპუტატი, 38 საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და წევრი, „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრთა ნაწილი და რეგვის პროცესი, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ ნეონაცებს შეუერთდა დეპუტატების სამი მეოთხედი, პრაქტიკულად ყველა „მოლაპარაკე თავი“, თითქმის ყველა ლიდერი, რომლებსაც, ასე თუ ისე, ჭკუა მოეკითხებოდა (გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობის“ შემთხვევაში „ჭკუა“ ერთობ ფარდობით ცნებაა, მაგრამ მაინც). ის, რომ სააკაშვილის მხარეს „რიგითების“, პოლიტიკური „საზარბაზნე ხორცის“ დიდი ნაწილი დარჩა, არ ნიშნავს, რომ მისი პარტია უფრო ძლიერია.

ადრე სააკაშვილს ცოტა მაინც სჯეროდა ხელისუფლებაში მშვიდობიანი და ლეგიტიმური გზით დაბრუნების, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მისი გადასვლა „რევოლუციის რელსებზე“ გარდაუვალი გახდა. თუ ბოკერიას და პარტიის ზოგიერთ სხვა ლიდერს მისი გადარწმუნება შეეძლო, **ახალაიების** ჯგუფი, სავარაუდოდ, მის ყველაზე მანიაკურ ინიციატივებსაც კი არ შეეწინააღმდეგება; ბოკერია-უგულავასგან განსხვავებით, ახალაიებს ივანიშვილის მიერ შექმნილ ახალ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შანსი ნაკლებად აქვთ.

ინტერვიუებიდან თუ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ სააკაშვილს არ ესმის, რა არის ნამდვილი რევოლუცია და რით განსხვავდება ის სპექტაკლისგან, რომელსაც დაინტერესებული ზესახელმწიფო ადგილობრივი ელიტის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად ათამაშებს. ის, რაც 2003 წელს საქართველოში, შემდგომ კი (ორჯერ) უკრაინაში მოხდა, ერთგვარი ერზაც-რევოლუციაა, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია მას რევოლუციის დაწყება მისივე პარტიის სრული პოლიტიკური იზოლაციისა და უცხოური მხარდაჭერის არარსებობის პირობებში.

ოდესის გუბერნატორობიდან გადადგომის შემდეგ მან დაიწყო ყვირილი ვადამდელ არჩევნებზე და ახალ „მაიდანზე“ უკრაინაში, მაგრამ მალევე გაჩუმდა, რადგან დაინახა, რომ იზოლირებულია და ნებისმიერი პროვოკაციული ნაბიჯი შეიძლება ძვირი დაუჯდეს; ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი **ფიდელ კასტროს** მსგავსი მამაცი მებრძოლი არ არის. ამ გამოუვალმა სიტუაციამ შეიძლება მიიყვანოს სააკაშვილი საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობამდე, მათ შორის, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით. ამ შემთხვევაში მისი პარტიის პოლიტიკური პერსპექტივები განულდება და ის ჩამოყალიბდება რაღაც საშუალოდ დანაშაულებრივ დაჯგუფებასა და ტოტალიტარულ სექტას შორის.

## ფინიტა ლა ტრაგედია

ყოველივე მომხდარი შეიძლება შეფასდეს, როგორც მიხეილ სააკაშვილის სრული პოლიტიკური კრახი. დღეს ის იმკის იმას, რასაც წლების განმავლობაში თესავდა და ყოფილი თანაპარტიელები, სავარაუდოდ, ისევე დაუნდობლად მოექცევიან, როგორც ის ექცეოდა სხვებს. „მიხეილ სააკაშვილი არის დღეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პრობლემა. მიხეილ სააკაშვილი თითოეული ჩვენგანისთვის არის ადამიანი ტკივილისა... არ არის ლიდერობის ღირსი. ეს ადამიანი აღარ ასხივებს ლიდერობას“, — განაცხადა გიგი უგულავამ („ინტერპრესნიუსი“).

რაც შეეხება „ევროპული საქართველოს“ პერსპექტივებს, აქ მთავარია, მოახერხებს თუ არა ის პოლიტიკური იზოლაციის გარღვევას და ალიანსების შექმნას. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებენ თუ არა მისი ლიდერები დისტანცირებას 2003—12 წლებში რეჟიმის მიერ ჩადენილი ბოროტებისგან. მათთვის, ვინც წინა ხელისუფლებას ებრძოდა, ნეონაცები სამუდამოდ დარჩებიან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეებად, ამიტომ მთავარ მიზნობრივ ჯგუფებად „ევროპული საქართველო“, „ძველი ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების გარდა, სავარაუდოდ, განიხილავს ე.წ. შუაშისტებს, რომლებიც 2012-შიც მზად იყვნენ, ყველაფერი დაევიწყებინათ და ამისთვის მხოლოდ საბაბს ეძებდნენ („ევროპული საქართველოს“ შექმნა სწორედ ასეთი საბაბია) და ის ახალგაზრდები, რომლებიც ნაკლებად აცნობიერებენ, რა ხდებოდა 2012 წლამდე. ეს პარტია, სავარაუდოდ, შეეცდება მკვეთრად ანტირუსული პოზიცია დაიკავოს და ხელისუფლებას ამ მხრიდან შეუტიოს. ყველაზე საინტერესო, ტაქტიკური თვალსაზრისით, იქნება მათი ურთიერთდამოკიდებულება **გიორგი მარგველაშვილსა** და **დავით უსუფაშვილთან** (ალასანია ავანსცენაზე, სავარაუდოდ, ჯერ არ დაბრუნდება) და იმ ჯგუფებთან, რომლებიც მათ უკან განიხილება. ერთი შეხედვით, ისინი კონკურენტები არიან და ამომრჩევლებზე ერთსა და იმავე ნიშაში „ნადირობენ“. მაგრამ ამ ლიდერებს იდეოლოგიური სიახლოვე, ძველი მეგობრობა და ერთი და იგივე უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა აკავშირებს.

მათ მიერ ალიანსის შექმნა ჯერჯერობით ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს, ალბათ, მაინც მოუწევს თავის დაზღვევა და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, ეს საფრთხე რომ გაანეიტრალოს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფები არც ისე მრისხანედ გამოიყურებიან, მათ ალიანსს ექნება სერიოზული პოტენციალი, უცხოეთში მძლავრი მოკავშირეები მოძებნოს. ივანიშვილი, ალბათ, შეეცდება, ისინი ერთმანეთს დაუპირისპიროს და ამისთვის, უპირველესად, დავით უსუფაშვილისა და **თინა ხიდაშელის** ამბიციებს გამოიყენებს. ჯერჯერობით ძნელია იმის პროგნოზირება, რა გამოუვა ამ მიმართულებით ივანიშვილს, მაგრამ ფაქტია, რომ წინააღმდეგობებზე თამაში მას კარგად გამოსდის და „ნაცმოძრაობის“ დაშლა ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპული საქართველოს“ ლიდერების გავლენა ახალ პარტიაში დაუბალანსებელია, ის შეკრულ და „ჩაბეტონებულ“ ერთობას არ წარმოადგენს. ასე რომ, მის შიგნითაც შეიძლება ფრიად დრამატული კონკურენცია განვითარდეს. თუმცა ახალი პოლიტიკური გაერთიანების ყველაზე სერიოზული მტერი, ალბათ, მიხეილ სააკაშვილი იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, არ მოისვენებს, სანამ „ღალატისთვის“ შურს არ იძიებს.

# პარიზში პრეზიდენტის სამდღიან ვიზიტზე 110 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა

**გასული წლის 6-9 დეკემბერს საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტზე 110 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.**

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გასული წლის დეკემბერში პარიზში გიორგი მარგველაშვილის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაწეული ხარჯებისა და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტის ფარგლებში ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი:** დღიური ნორმა — 3720,31 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი — 10341,77 ლარი; პრეზიდენტის მეუღლე **მაკა ჩიჩუა:** დღიური ნორმა — 800,54 ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი აბაშიშვილი:** დღიური ნორმა — 1108,44 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი — 2454,47 ლარი; პრეზიდენტის პრესსპიკერი **ეკატერინე მიშველაძე:** დღიური ნორმა — 862,12 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი — 2454,47 ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი **ლაშა კვერნაძე:** დღიური ნორმა — 862,12 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი — 2454,47 ლარი. გარდა ამისა, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა შეადგინა 63 507,81 ლარი, ხოლო წარმომადგენლობითმა ხარჯმა — 22882,9 ლარი.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: **გიორგი მარგველაშვილი**, პირველი ლედი **მაკა ჩიჩუა**, იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი,** პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი აბაშიშვილი**, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი **დავით რაქვიაშვილი**, პრეზიდენტის პრესსპიკერი **ეკატერინე მიშველაძე**, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის უფროსი **ლაშა კვერნაძე**, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ სანიკიძე**, საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი **მერაბ სუჯაშვილი**, დაცვის ოფიცრები: **ლევან ყაზახიშვილი** და **იასონ ღვინჯილია.**

აღსანიშნავია, რომ დელეგაციის შემადგელობაში არ ირიცხებიან პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც გიორგი მარგველაშვილს აღნიშნული ვიზიტისას ახლდნენ. ასევე, მოწოდებულ ხარჯებში არ შედის უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა ხარჯები, ვინაიდან დელეგაციის წევრების მივლინების ხარჯებს ანაზღაურება (მათ შორის, პირადი დაცვის) შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყვეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც პირველი შავკანიანი პრეზიდენტი, არამედ როგორც პირველი ე.წ. კოჭლი იხვი, რომელიც მაქსიმალურად შეეცადა, დონალდ ტრამპისთვის პრობლემები შეექმნა, რასაც მიაღწია კიდეც საახალწლოდ რუსი დიპლომატების ქვეყნიდან გაძევებით, ახალი სანქციების დაწესებითა თუ ე.წ. ჰაკერების სკანდალით — ერთი სიტყვით, ისე ჩასვარა საქმე კოჭლმა იხვმა, რომ დონალდ ტრამპი პუტინთან დიალოგს, როგორც იტყვიან, სუფთა ფურცლიდან ვერ დაიწყებს.**

**ამერიკაში გაგანია ცივი ომის პერიოდშიც კი არ ჩატარებულა საპრეზიდენტო არჩევნები ისეთი ანტირუსული ისტერიის ფონზე, როგორც შარშან ჩატარდა. აქედან გამომდინარე, თვით ამერიკული მედიაც არასოდეს ყოფილა ერთი კანდიდატის მიმართ ისე აშკარა სიმპათიით განწყობილი, როგორც ჰილარი კლინტონის მიმართ და პირიქით — ნეგატიურად დონალდ ტრამპის მიმართ, ამიტომ ცოტას თუ ჰქონდა დონალდ ტრამპის გამარჯვების იმედი.**

# მოსკოვს ობამას ცრემლების არ სჯერა





**დონალდ ტრამპის** მიმართ სკეფსისს ისიც განაპირობებდა, რომ იგი მხოლოდ თავის თავს წარმოადგენდა, **ჰილარი კლინტონის** უკან კი მთელი უოლ-სტრიტი, ანუ ფინანსური წრეები იდგნენ, ძალები, რომლებსაც მსოფლიოს უჩინარ მთავრობასაც უწოდებენ და რომლებიც პრაქტიკულად განაგებენ სრულიად მსოფლიოს ბედ-იღბალს სსრკ-ის დაშლის შემდეგ დაუძლურებული რუსეთის მდუმარე თანხმობის ფონზე.

თუმცა, განაგებენ კი არა, განაგებდნენ, სანამ 2015 წელს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** მსოფლიოს ნეოლიბერალურ ძალებს (წაიკითხე, აშშ) ხმამაღლა განუცხადა — ახლა მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ აზიაში ე.წ. არაბული გაზაფხულებითო და მეორე დღესვე სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყება ბრძანა, რითაც მსოფლიოს აუწყა ე.წ. ერთპოლუსიანი მსოფლიოს, ანუ აშშ-ის მეოთხედსაუკუნოვანი ერთპიროვნული მბრძანებლობის დასასრულის დასაწყისი...

მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს — რა აღარ დასწამეს დონალდ ტრამპს ჰილარი კლინტონის „პიარშიკებმა“, მექალთანეობიდან დაწყებული და კრემლის აგენტობით დამთავრებული. ამის მიუხედავად, მოხდა სასწაული — დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს და 20 იანვარს, ინაუგურაციის შემდეგ, ოფიციალურად დაიკავებს თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს, მაგრამ...

ვერავითარი მრავალწერტილი ვერ დაიტევს იმ სიბინძურეს, რომელიც დამარცხებულმა დემოკრატებმა ჩაიდინეს უკვე არჩევნების შემდეგ!

ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც პირველი შავკანიანი პრეზიდენტი, არამედ, როგორც პირველი ე.წ. კოჭლი იხვი, რომელიც მაქსიმალურად შეეცადა, დონალდ ტრამპისთვის პრობლემები შეექმნა, რასაც მიაღწია კიდეც საახალწლოდ რუსი დიპლომატების ქვეყნიდან გაძევებით, ახალი სანქციების დაწესებითა თუ ე.წ. ჰაკერების სკანდალით — ერთი სიტყვით, ისე ჩასვარა საქმე კოჭლმა იხვმა, რომ დონალდ ტრამპი პუტინთან დიალოგს, როგორც იტყვიან, სუფთა ფურცლიდან ვერ დაიწყებს.

ნიშანდობლივია, რომ დონალდ ტრამპს სწორედ ის ძალა ებრძვის, რომელიც მის რუს კოლეგა **ვლადიმერ პუტინს**, და ამ ძალას აგრესიული ნეოლიბერალიზმი ჰქვია. ამ ბრძოლაში დემოკრატებს რესპუბლიკელთა ნაწილიც უჭერს მხარს. რესპუბლიკელები, რომელთათვის უცხოა ზედმეტი ლიბერალობა, მაგრამ რუსეთის, პირადად მისი პრეზიდენტის, მიმართ ფობია ისე მძლავრია, რომ იდეოლოგიას არად დაგიდევენ.

ეს რომ ასეა, დასტურად რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ერთობლივი დელეგაციების ვიზიტიც მოწმობს ავადსახსენებელი ჯონი მაკკეინის მეთაურობით ბალტიის ქვეყნებში, უკრაინასა და ბოლოს — საქართველოშიც. ამაზე წინა წერილში ვწერდი და აღარ შევჩერდები.

ამასობაში ბარაკ ობამამ გამოსამშვიდობებელი თეატრალიზებული შეხვედრები მოაწყო თვალზე მომდგარი ცრემლისა და ცხვირსახოცის თანხლებით...

**როგორ ჰგავს ობამას ცრემლი ჩვენი მიშიკოს მიერ დაღვრილ გლიცერინის ცრემლს, ხოლო მისი მავნებლური ქმედება — მიშას საქციელს პრეზიდენტობის ბოლო წელიწადში, როდესაც ვეტოს ვეტოზე ადებდა ახალი პარლამენტის გადაწყვეტილებებს!**

რაც შეეხება ბარაკის ცრემლს, **სატირალი მართლაც აქვს აშშ-ის 44-ე პრეზიდენტს, რადგან მხოლოდ ერთი დაპირება შეასრულეს მან და ჰილარიმ — ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება ზარზეიმით დააკანონეს აშშ-ში და, ალბათ, იმას მისტირის, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვერ შეძლეს ამ „სიკეთის“ დანერგვა და ვეღარც შეძლებენ, რადგან დონალდ ტრამპი და მისი გუნდი, გამონაკლისის გარეშე, ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების მქონე ხალხია და მათ, სხვა ყველაფერთან ერთად, ამისთვისაც მისცა ხმა, ე.წ. ერთსართულიანმა ამერიკამ.**

ინაუგურაციამდე რამდენიმე დღე დარჩა, მაგრამ ნეოლიბერალთა მხრიდან არ წყდება ტრამპის მიმართ აბსურდული ბრალდებების ორკესტრირება — ტრამპი, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად პუტინის მეცადინეობის შედეგად გახდა აშშ-ის პრეზიდენტიო და იმავეს წინასწარმეტყველებენ წლეულს ევროპის რიგ ქვეყნებში. ვერ ხვდებიან, რომ ამით რუსეთის მიმართ შიშს კი არ აღძრავენ საფრანგეთს, გერმანიასა თუ იტალიაში, სადაც თითქმის უეჭველია ნეოლიბერელური ხელისუფლებების ჩანაცვლება მემარჯვენე ნაციონალისტური ძალებით, არამედ პირიქით — მისადმი კეთილგანწყობას უყრიან საძირკველს. უკეთეს რეკლამას, თანაც უფასოს, ალბათ, ვერც ინატრებდნენ რუსები — მათ მიმართ კეთილგანწყობა მატულობს ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში.

მოკლედ, იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ 20 იანვრის ინაუგურაციის შემდეგ ჟამთა ახალი ათვლა დაიწყება.

**უკვე დაწყებულია სამზადისი, რომ ინაუგურაციის შემდგომ პირველ საათებშივე დონალდ ტრამპსა და ვლადიმერ პუტინს შორის გაიმართოს სატელეფონო საუბარი; აგრეთვე, ლაპარაკია ორი ზესახელმწიფოს ლიდერების შეხვედრაზე, სადაც, სავარაუდოდ, შეთანხმდებიან გავლენის სფეროთა ხელახალ გადანაწილებაზე მსოფლიოს პოლიტიკის პატრიარქის — ჰენრი კისინჯერის სცენარის მიხედვით — პოსტსაბჭოთა სივრცეს პლუს აღმოსავლეთი ევროპის რიგი ქვეყნებისა რუსეთს.**

 აი, ზუსტად ისე, როგორც კისინჯერის სახელწიფო მდივნობის პერიოდში მოხდა **ნიქსონსა** და **ბრეჟნევს** შორის ე.წ. განმუხტვა, რომელმაც კარგა ხნით განაპირობა მშვიდობა მსოფლიოში და კეთილდღეობა სსრკ-ში.

აშშ-ის მიერ რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის შესვლის აღიარება, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არ მოხდება, მაგრამ არც დეოკუპაციას უნდა ველოდოთ, რადგან, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ყირიმის თემა დახურულია და რუსეთი ამ საკითხზე არავისთან მსჯელობას არ აპირებს.

უკრაინის საკითხი კი დაკონსერვდება, რაც ხელს არ შეუშლის ორ ლიდერს სხვა საკითხების პრაგმატულ ჭრილში გადაწყვეტაში.

ერთხელ უკვე მოხდა ასე — სსრკ ისე დაიშალა, რომ აშშ-ს არასოდეს ულიარებია ბალტიის ქვეყნები სსრკ შემადგენლობაში, მაგრამ ორი სუპერსახელმწიფო კონსტრუქციულად თანამშრომლობდა სხვა საკითხებში...

დააკვირდით — ტრამპს პრეზიდენტობის პირველი ოთხწლიანი ვადა 2020 წელს უმთავრდება, ანუ მაშინ, როდესაც იმ დროისთვის მეოთხე ვადით არჩეულ ვლადიმერ პუტინს (ეს რომ ასე იქნება, მგონი, ეჭვი არავის ეპარება, სულელის გარდა) საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე 4 წელიწადი ექნება დარჩენილი და, თუ ტრამპს მეორე ვადითაც აირჩევენ, გამოდის, რომ დღეიდან 2024 წლამდე, ანუ 8 წლის განმავლობაში სწორედ ვლადიმერ პუტინი და დონალდ ტრამპი იქნებიან მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველები.

**ამ პერიოდში, იმედია, მოხერხდება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთხელ და სამუდამოდ განადგურება, აგრეთვე, ერთხელ და სამუდამოდ აილაგმება მსოფლიო სახელისუფლე წრეების ლგბტ-ზაცია და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება თუ გეიაღლუმები!**

**ისე კი, ლგბტ-პედერასტებს თავში ქვა უხლიათ, საძინებელში არავინ შეუვარდებათ...**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს რაო? — იკითხავს მკითხველი.

რა და ის, რომ **დასავლეთს არც აქამდე ცხელოდა საქართველოსთვის და მით უმეტეს, არც ხვალ დაცხება. ნატოსა და ევროკავშირზე საუბარიც ხომ შიზოფრენიაა ისევე, როგორც რუსეთის ნების გარეშე ტერიტორიების დაბრუნება.**

აქამდე ერთადერთი გამოსავალი საგარეო პოლიტიკის 180 გრადუსით შებრუნებაში მეგონა — დასავლეთიდან რუსეთისკენ.

ახლა მგონია, **გადავლახეთ ის სამანი, საიდანაც უკან დაბრუნება და რუსეთთან რაღაც პირობებზე საუბარი შეგვეძლო.**

**ახლა ძია სემი და ძია ვანია უჩვენოდ გადაწყვეტენ ჩვენს და არა მხოლოდ ჩვენს ბედს და რისთვის სჭირდება რუსეთს ქართველთა დაგვიანებული სინანული?**

თუმცა, რომ წარმოვიდგინოთ, რუსებმა კვლავ მოიღონ მოწყალება უძღები ქართველი შვილის მიმართ და დაგველაპარაკონ — **ვინ უნდა წავიდეს პუტინთან ან ლავროვთან სალაპარაკოდ — მარგველაშვილი თუ კვირიკაშვილი? ან ნარიშკინთან — კობახიძე?**

ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**დავით მხეიძე**

**P.S.** გერმანულმა „ბილდმა“ და ბრიტანულმა „თაიმსმა“ გაავრცელეს ტრამპის ევროპული მედიისთვის მიცემული პირველი ინტერვიუ, რომლიდანაც აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ საკვანძო ფრაზებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

* ტრამპმა განაცხადა, რომ მთავარ პრიორიტეტად რუსეთთან მჭიდრო კავშირში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლასა და ბირთვულ განიარაღებას მიიჩნევს.

„თაიმსი“ შესაბამის ქვესათაურსაც აქვეყნებს პირველ გვერდზე: „ჩვენ უნდა ვენდოთ ვლადიმერ პუტინს“, — განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა!

* „ბილდმა“ აქცენტი სხვა მიმართულებაზე გაამახვილა — „ანგელა მერკელმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა“, — განაცხადა ტრამპმა გერმანიის კანცლერის საიმიგრაციო პოლიტიკის შესახებ.

* პრეზიდენტმა ტრამპმა ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლის გამო შეაქო და ლონდონის გადაწყვეტილებას „ბრძნული და სწორი“ უწოდა...

* ტრამპმა ნატოს მოძველებული უწოდა და ამ ორგანიზაციის რეფორმირების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

ეს, როგორც ცხონებული შტირლიცი იტყოდა, ნატოზე მეოცნებე პოლიტიკოსებისთვის განკუთვნილი „ინფორმაცია განსჯისთვის“.

**დასავლეთს არც აქამდე ცხელოდა საქართველოსთვის და მით უმეტეს, არც ხვალ დაცხება. ნატოსა და ევროკავშირზე საუბარიც ხომ შიზოფრენიაა ისევე, როგორც რუსეთის ნების გარეშე ტერიტორიების დაბრუნება**

**„გირჩი“, რომელიც ნაცებს გაეთიშა, საკმაოდ გულუხვად დაჯილდოვდა. „ბოროტ ენებს“ ასეთი რამ არ გამოეპარებათ. „გირჩმა“ სატანისტური ტრენდის დამკვიდრებას მიჰყო ხელი. საინტერესოა, რომ მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევენ. უფრო მეტიც, თითქოს მათ საქმეს აკეთებენ კიდეც“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო მანჯავიძე: შევყურებთ ჩვენი ერის განადგურების პროცესს და, სამწუხაროდ, უძლურნი ვართ

**რამდენიმე დღის წინათ პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გვამცნო, — დავით აღმაშენებლის გამზირსა და ვარდების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში ბორდელებია და პროსტიტუციით არასრულწლოვანი გოგონები არიან დაკავებულნიო. პრემიერმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, ამ „ახალი ამბით“ დაინტერესებულიყო.**

**„ჩვენ არ გვყავს არც ერთი დასაკარგი ახალგაზრდა, ამიტომ კატეგორიულად ვითხოვ ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისგან, რეიდების, ძალადობრივი ქმედებების გარეშე, კანონის სრული გამოყენებითა და ამოქმედებით. მინდა, ეს პრობლემა უმოკლეს პერიოდში მოგვარდეს. თუ ეს რაიმე დახურული კლუბია, მაშინ უნდა ჰქონდეს განაწესი, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველასთვის. რა კრიტერიუმით ხდება აქ შემსვლელი ადამიანების შერჩევა, თუ ეს არის ღია, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, მაშინ მთლიანად უნდა დაექვემდებაროს და იმავე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის თვალსაზრისით არ დაარღვიოს საქართველოს კანონმდებლობა. ჩვენ ისეთი არც ტურისტი გვინდა და არც დამატებითი შემოსავალი, რომელიც საქართველოს კანონს არად დაგვიდევს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.**

**პრემიერის ამ განცხადებას უმალვე გამოეხმაურა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში: „უკანასკნელი კვლევებით დგინდება, რომ კომერციულ სექსში ჩართული გოგონებისა და ქალბატონების უმეტესობას დასრულებული არ აქვს ზოგადი განათლების სრული კურსი, მხოლოდ 8-დან 13%-მდე ქალბატონებს აქვთ დასრულებული უმაღლესი განათლება. შესაბამისად, ეს უკავშირდება განათლების პრობლემატიკას“.**

**მოკლედ, თუ სწორად გავიგეთ, პრემიერმა, — ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ჩარჩოში ჩასვითო, ხოლო ჯაშმა, — გავანათლებთ და ტურისტებისთვის მისაღებს გავხდითო.**

**ამ თემაზე გვესაუბრება დედაქალაქის საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე.**



**«დღეს მსოფლიოში ძლიერი ანტიამერიკანიზმია. მსოფლიო იცვლება, ეს ჩვენი ხელისუფლება კი ხვდება სენატორ ჯონ მაკკეინს, თვალებში შეჰყურებს იან კელის, რომელიც მალე თანამდებობაზე აღარ იქნება... გაუგებარია და საეჭვოც ჯონ კერის უეცარი დაშვება თბილისის აეროპორტში და მასთან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — დავით ზალკალიანის ორსაათიანი საიდუმლო შეხვედრა... იქიდან გამომდინარე, რაც ხდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება ძალიან მოწყვლადია, მას ცუდ ძალებთან აქვს საქმე»**

**— პრემირმინისტრმა ახლახან „აღმოაჩინა“, რომ დედაქალაქის ცენტრში ბორდელები მოქმედებს და იქ უცხოელები არასრულწლოვან ქართველ გოგონებს რყვნიან...**

— ვიღაცამ „ახლახან“ გაიგო, მაგრამ ჩვენ, დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობთ და აქციებსაც ვმართავდით. **საქართველოში პროსტიტუცია ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ ჩვენთან ბორდელები ქალაქის ცენტრშია, რაც ყოვლად დაუშვებელია, სისხლის სამართლის დანაშაულია, რომ არაფერი ვთქვათ ზნეობრივ-რელიგიურ დანაშაულზე.**

ბორდელები, თანაც დაუფარავად, სააკაშვილის „გაფურჩქვნის“ პერიოდში გაიხსნა და დღემდე ხელშეუხებელია.

**— მსგავსი საქმიანობისთვის საკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება, როგორც ვიცი, ისჯება. ნუთუ ძნელია იმის გარკვევა, ვის ეკუთვნის ფართობი?**

— ყველაფრის გაგება შეიძლება, მაგრამ არ სურთ. ასეთ საქმიანობას, როგორც წესი, ძალოვანი სტრუქტურები ლობირებენ. წარმოუდგენელია, ვინმემ არ იცოდეს, რა ხდება რეალურად. ყველა ყველას უთვალთვალებს და ის არ იციან, ვის რა ეკუთვნის?!

**— პრობლემა გლობალურ ჭრილში განვიხილოთ. შემთხვევითი არ არის, რომ პროსტიტუციას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ნარკოტიკების ლეგალიზებას ისეთ ქვეყნებს სთხოვენ, როგორიც საქართველოა. ამაზე ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და არა მხოლოდ ისინი...**

— ყველაფერს მოეძებნება ახსნა. საქართველოში ეს ყველაფერი **ჯორჯ სოროსმა** დაიწყო რამდენიმე წლის წინათ. ის მარტო არ არის. **ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მსოფლიოში ნაციონალური სახელმწიფოების ადგილი აღარ არის და მათი განადგურება ადგილობრივი სახელმწიფო რესურსებით გადაწყვიტეს. ამას აღარავინ მალავს, რადგან დაუფარავად მოქმედებენ კიდეც.**

ვხედავთ, რა ამბავია ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე. ეს დიდძალი ფულია. **მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე მიაღწიეს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას და ახლა ლეგალიზებისკენ მიდიან. მიაღწიეს გაეროს შესაბამის სტრუქტურებში მათთვის მისაღები ფორმულირების ჩაწერას, როგორც თავის დროზე მსოფლიოს ჯანდაცვის სტრუქტურებს ამოაღებინეს, ჰომოსექსუალობის, როგორც ავადმყოფობის, დეფინიცია.**

საინტერესოა არგუმენტები, რომლებსაც გვთავაზობენ. **საუბრობენ ღვინით, არყით გამოწვეულ თრობაზე და მას ადარებენ მსუბუქი ნარკოტოკით გამოწვეულ თრობას. ეს კარგად დამუშავებული ფანდია და უვიცებზეა გათვლილი.**

ადამიანის სულიერი მდგომარეობა სხვადასხვაგვარია ნებისმიერი თრობის დროს. რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან განსხვავებულია ალკოჰოლითა და ნარკოტიკით გამოწვეული თრობა. ალკოჰოლით გამოწვეული თრობის შედეგად ადამიანს ტერიტორიის დაცვის იმპულსები უმძაფრდება. მაგალითად, ომში ბრძოლის დაწყების წინ ჯარისკაცები ალკოჰოლს იღებდნენ, სასაცილო იქნებოდა, მათთვის მარიხუანა მიეცათ. **მარიხუანა ადამიანს ასოციალურს, ნიჰილისტურს ხდის, უხშობს ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობებს, რაც ხელს აძლევთ იმ შავბნელ ძალებს, რომლებიც მსოფლიოს მართავენ.**

მათ პროგრამაში შედის ზნეობის მოშლა და ამიტომაც ცდილობენ არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩათრევას.

**ცნობილი „გირჩი“, რომელიც ნაცებს გაეთიშა, საკმაოდ გულუხვად დაჯილდოვდა. „ბოროტ ენებს“ ასეთი რამ არ გამოეპარებათ. „გირჩმა“ სატანისტური ტრენდის დამკვიდრებას მიჰყო ხელი. საინტერესოა, რომ მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევენ. უფრო მეტიც, თითქოს მათ საქმეს აკეთებენ კიდეც.**

20 წელიწადზე მეტია, საქართველოში ჯორჯ სოროსი ოპერირებს. ელექტრონული მედია, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება მისი კადრებით არის დაკომპლექტებული. აღარაფერს ვამბობ საქართველოს ფაქტობრივ მმართველებზე... ყველამ კარგად ვიცით, ვის ხვდება სოროსი, როდესაც საქართველოს სტუმრობს. უპირველესად უნდა დავასახელოთ **დავით უსუფაშვილი.** ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც განუხრელად ატარებს სოროსის ხაზს.

უბედურება გვჭირს — მთელი პოლიტიკური სპექტრი მიიჩნევს, რომ დასავლეთი სოროსია, წარმომადგენელი შავბნელი ძალების, რომლებიც ჩვენნაირი ერების გადაგვარებაზე ზრუნავენ. არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ამ ძალების წინააღმდეგ მსოფლიოა ამხედრებული. ჩვენთან ამაზე არ საუბრობენ.

სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მაკკეინებმა, კლინტონებმა მთავრობა ხელახლა დააკომპლექტეს. მთელი ოთხი წელიწადი ახალი ხიდების გადებას მოანდომეს. სწორედ ამის შედეგი იყო რესპუბლიკელების წინ წამოწევა და მათი დასმა საკვანძო თანამდებობებზე. ახლა ის „ძველი რესპუბლიკელები“ მოაშორეს და ახლები მოიყვანეს, მათზე უარესები, უფრო უტიფრები, მაგრამ მოულოდნელად „უბედურების ზარმა ჩამოჰკრა“ და ამერიკაში **დონალდ ტრამპმა** გაიმარჯვა. მოკლედ, საქართველოს ხელისუფლებას რომ ეგონა, მორჩა, დავასრულეთ მთავრობის დაკომპლექტება და მისია შესრულებულიაო, ტრამპმა ოცნებები დაუნგრია.

**ამერიკის ახალი პრეზიდენტი გაცილებით ქსენოფობიურ-ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებს, ვიდრე ისინი, ვინაც გვამუნათებდა.**

**ძალიან საინტერესო იყო ქართული ტელევიზიებისა და პოლიტიკოსების რეაქცია ტრამპის გამარჯვებაზე. ამერიკაში კლინტონმა დამარცხება აღიარა და ჩვენი ტელევიზიები არ აღიარებდნენ, ამერიკის ელჩის — იან კელის გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და ისევ კლინტონის სადღეგრძელოს სვამდნენ.**

დღეს მსოფლიოში ძლიერი ანტიამერიკანიზმია. მსოფლიო იცვლება, ეს ჩვენი ხელისუფლება კი ხვდება სენატორ ჯონ მაკკეინს, თვალებში შეჰყურებს იან კელის, რომელიც მალე თანამდებობაზე აღარ იქნება... გაუგებარია და საეჭვოც **ჯონ კერის** უეცარი დაშვება თბილისის აეროპორტში და მასთან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — **დავით ზალკალიანის** ორსაათიანი საიდუმლო შეხვედრა... იქიდან გამომდინარე, რაც ხდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება ძალიან მოწყვლადია, მას ცუდ ძალებთან აქვს საქმე.

**— იქნებ ჩვენი ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ცდილობს, რაღაც მაინც შეცვალოს?**

— ხელისუფლებამ რამე რომ შეცვალოს, პირველ რიგში, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება უნდა შეეძლოს. მთავრობის ყველა წარმომადგენელი სადღაც იყურება, ვიღაცის სიტყვას ელოდება. არ გვყავს სასამართლო, პროკურატურა... კონსტიტუცია, რომელიც სააკაშვილმა თავს მოგვახვია, ჩვენნაირი ქვეყნისთვის დამღუპველია. გვყავს ფორმალური ხელისუფლება, ფორმალური ოპოზიცია... ერთი სიტყვით, ქაოსია.

ქვეყანაში შექმნილია საკონსტიტუციო კომისია, მაგრამ ისინი ყველაფერზე საუბრობენ, გარდა კონსტიტუციისა. ყველა ის საკითხი, რომლებზეც ახლა ჩვენ ვისაუბრეთ, კონსტიტუციით არის დასარეგულირებელი.

ჩვენს ქვეყანას სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი. მხოლოდ ჩვენი ფსიქოლოგიის ხალხს შეეძლო, რომ აქ, სამხრეთ კავკასიაში, საპარლამენტო მთავრობა ჰყოლოდა. ინსტიტუციების არარსებობა იწვევს კრიზისს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი მთავრობის ნეოლიბერალური მანტიით შემოსვაზე.

**ბანკირების აშენებული ქვეყანა სწორედ ისეთია, როგორშიც ახლა ვცხოვრობთ. ეს არის ქვეყანა, რომელშიც მილიონი ღატაკია.**

საქართველოში აღარ არის მორალური რესურსი, რამე რომ შეცვალო. სამწუხაროდ, შევყურებთ ჩვენი ერის განადგურების პროცესს და უძლურნი ვართ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნუთუ შინაგანი პროტესტი არ გიკარნახებს, უარი თქვა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც თავს გახვევენ და რომლებიც მიუღებელია, არაბუნებრივია და ორგანულად შეუთავსებელია შენი ქვეყნის ტრადიციებთან, საზოგადოებრივ შეხედულებებთან, რწმენასა და გონთან?! სავარძლის დაკარგვის გეშინია? იმ კეთილდღეობის დაკარგვის, რომელსაც ხელისუფლების სათავეში ყოფნა იძლევა?! მაშინ ნუ იბრალებ, რომ ხალხის სამსახურში დგახარ! ყვარყვარიზმი ესაა სწორედ.**

საქართველოს სასაზღვრო სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა აიძულა, დაეტოვებინა სამშობლო, ახალი წლის კვირაძალს თბილისში ჩამოვიდა.

# ვალერი ჩხეიძე: პოსტსაბჭოთა პერიოდის ჯაშუშების ბუდე თბილისშია

**— როგორი დაგხვდათ, ბატონო ვალერი, თბილისი?**

— კი არის რაღაც-რაღაცები გაკეთებული, კარგი და სასარგებლო, თვალის გასახარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის პეწი და ხიბლი, რომელიც ქალაქს ჰქონდა, ის სიხარული, სახეზე რომ ეხატა რუსთაველზე მოსეირნე ხალხს, დაკარგულია. რუსთაველის პროსპექტი დღეს ურბანული კომუნიკაციის საშუალებაა, რომელზეც გაუცხოებული თანამოქალაქენი დადიან. აღარსადაა ის სითბო, რომლითაც თბილისი ხვდებოდა ქვეყანაში დაბრუნებულ კაცს...

**— და ათქმევინებდა: „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი".**

— ასეა, სამწუხაროდ... გასაგებია, რომ დღეს სასეირნოდ არ გვცალია, მაგრამ ვხედავ, რომ ხალხს რაღაც სევდა ახატია სახეზე, თვალებზე ეტყობა. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ პლეხანოვზე, სადაც ვცხოვრობ, ძალიან ბევრი უცხოელია.

**— ტურისტები ცუდი არ უნდა იყოს.**

— მათ ტურისტობის არაფერი ეტყობა: თურქებიც არიან, ირანელებიც, არაბებიც...

დარწმუნებული ვარ, **ტურისტების 50 პროცენტი უკანონო მიგრანტია. ჩემი პროფესია მიკარნახებს, რომ ისინი დღეს უკვე უქმნიან პრობლემებს ჩვენს ქვეყანას, ახლო მომავალში კი უფრო გაურთულებენ.**

რუსეთმა, ამ უდიდესმა ქვეყანამაც კი, რომელიც მუშახელის უკმარისობას განიცდის და მუშა მიგრანტები სჭირდება, გაამკაცრა უკანონო მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა. ჩვენს ხელისუფლებას კი, როგორც ვატყობ, უფრო მეტი ლიბერალიზაციისკენ უბიძგებენ. არავისთვის დასამალი არ არის, რომ **უკანონო მიგრაციას 5 პროცენტამდე თუ მოაქვს რაიმე დადებითი, დანარჩენი 95 პროცენტი უარყოფითია — ნარკომანია, პროსტიტუცია, რელიგიური რადიკალიზმი და ა.შ. ქალბატონ მერკელის აბსოლუტურად უტვინო პოლიტიკის გამო ევროპაში შექმნილი ვითარება ამის დამადასტურებელია.**

**— თავისი მკვდარი ევროპამ თვითონ იტიროს... მე ის მაინტერესებს, გარედან როგორი ჩანს საქართველო, როგორს ხედავს აქედან წასული კაცი თავის ქვეყანას?**

— ასაკში შესული კაცის ბუზღუნს რომ არ დაემსგავსოს ჩემი პასუხი, აკვიატებულობა რომ არ დამაბრალოთ, ჯერ დადებით მომენტებზე გეტყვით:

მომწონს, რომ ახალგაზრდობამ ალღო აუღო დღევანდელობას, კარგად გაერკვა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში და აქტიურად მოჰკიდა ხელი ბიზნესსაქმიანობას. ამას კანონმდებლობამაც შეუწყო ხელი. ახლახან მოვისმინე, რომ მოქმედ სახელმწიფო პროგრამაში ჩაბმულმა 24 წლის გოგონამ, სახელად **ბაიამ,** სოფელ ოფჩიდან (ჩემი ბაღდადის რაიონიდანაა), ჩამოაყალიბა ღვინის საწარმო, რომელსაც მომგებიანად ამუშავებს. უკვე ცნობილია მისი ბრენდი და პროდუქცია. ტელევიზიით, სოციალურ ქსელებში ვხედავ და ვკითხულობ, როგორი წარმატებით მუშაობენ ახალგაზრდები აგროსექტორში, სოფლის მეურნეობაში და ეს მისასალმებელია...

**— სახელმწიფო პოლიტიკაშიც ახალგაზრდები არიან...**

— ასეა, მაგრამ, ვფიქრობ და აშკარად ჩანს, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით დამოუკიდებლები არ ვართ. პირიქით — როცა რომელიმე პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად უცხო ქვეყნის საელჩოში დადიხარ, რაგინდ დასუსტებული იყო და რაგინდ „ახალგაზრდა დემოკრატიად" გთვლიდნენ, არანორმალურია. არ გაქვს უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება, ცოდნა და უნარი, ნებისმიერი სირთულის პრობლემის გადასაწყვეტი გზები და საშუალებები თავადვე რომ მოძებნო და დასახო?! **ნუთუ შინაგანი პროტესტი არ გიკარნახებს, უარი თქვა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც თავს გახვევენ და რომლებიც მიუღებელია, არაბუნებრივია და ორგანულად შეუთავსებელია შენი ქვეყნის ტრადიციებთან, საზოგადოებრივ შეხედულებებთან, რწმენასა და გონთან?!**

სავარძლის დაკარგვის გეშინია? იმ კეთილდღეობის დაკარგვის, რომელსაც ხელისუფლების სათავეში ყოფნა იძლევა?!

მაშინ ნუ იბრალებ, რომ ხალხის სამსახურში დგახარ! ყვარყვარიზმი ესაა სწორედ.

**— „ოქროს სარაიას" შენთვის რომ იშენებ და ხალხს კი ჰპირდები.**

— ასეთად ვხედავდი ჩემს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას მე, საქართველოდან გადახვეწილი კაცი. და პირდაპირ გეტყვით: ჩვენმა ხალხმა მადლობა უნდა უთხრას **ბიძინა ივანიშვილს**, რომ ის საშინელი პერიოდი მოაცილა ჩვენს ქვეყანას. ამის უთქმელობა და დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა, რაც უცხოა ჭეშმარიტი ქართველობისთვის.

**აბა, გაებედა და იმ ცხრაწლიანი უბედურების ჟამს ვინმეს ეთქვა, რომ ჩვენი ქვეყნის ნორმალური (და არა ცალმხრივი) განვითარებისთვის აუცილებელია რუსეთთან კარგად გათვლილ-აწონილი ურთიერთობის დამყარება. გაბედავდა და, ციხეში ჩასვამდნენ ან რაღაც საშინელებას დამართებდნენ მისი ოჯახის წევრებს.**



**«კაპიკია შენი უსაფრთხოების სტრუქტურის ფასი, რომელიც სრულად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებზე. არადა, ასეა საქართველოში»**

კარგია თუ ცუდი მეზობელი რუსეთი, სხვა თემაა. თავში საცემი იმათაც ბევრი აქვთ, განსაკუთრებით, ჰქონდათ 90-იან წლებში, როცა არანაირი საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციას არ გააჩნდა.

ხშირად მისაუბრია რუსეთში ჩემს კოლეგებთან და მეგობრებთან ამ თემაზე და გეტყვით, რომ ისინიც წუხან, რომ ასეთი არანორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა რუსეთსა და საქართველოს შორის, თუმცა იქაც არიან რადიკალები, ე.წ. ნაციონალისტები, რომლებსაც იმპერიული ამბიციები აქვთ. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა ისტორიულად, თავისი გენეტიკური კოდით ყალიბდებოდა, როგორც „დერჟავა", როგორც იმპერია. შეიძლება ვილაცას ჩემი ნათქვამი არ მოეწონოს და მისაყვედუროს, მაგრამ მაინც ვიტყვი: **რუსი ხალხის მასაში, ძირითადად, კეთილი განწყობაა საქართველოსა და ქართველების მიმართ.**

რუსეთი ერთფეროვანი, ერთგვაროვანი ქვეყანა არ არის. უპირველესად, ეს არის ხელისუფლება, რომელშიც ყველა ერთნაირად არ ან ვერ აზროვნებს, არის რაღაც ნაწილი, რომელიც ანტაგონისტურადაა განწყობილი ჩვენ მიმართ და ყველას ერთი საღებავით ღებავს, **სტალინით** დაწყებული, **შევარდნაძე-სააკაშვილით** დამთავრებული; მეორე ნეიტრალურია, ზოგს კი წარმოდგენა არ აქვს, რა ქვეყანაა საქართველო, არაფერი იცის მის კულტურასა თუ ისტორიაზე, რომელიც არსებობდა ამ ორ ქვეყანას შორის. ასეთივე კატეგორია,ალბათ, ჩვენთანაც მოიძებნება. არადა, იყო დრო, როცა საკავშირო მთავრობაში არ მუშაობდა არც ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ერთხელ მაინც არ იყო ჩამოსული საქართველოში. მწერლებზე, პოეტებსა და კულტურის სფეროს სხვა მოღვაწეებზე არაფერს ვამბობ.

ამჟამად, ცოტა რომ გაიხსნა ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის, მაგალითად, სტავროპოლის მხარეში, სადაც წლების განმავლობაში ვცხოვრობდი, ბევრი დაიძრა საქართველოსკენ. და თვითონ ვარ იმის მომსწრე, როგორი კმაყოფილები და შთაბეჭდილებებით სავსენი ბრუნდებიან ჩვენთან ნამყოფი ტურისტები. დადებითი რეაქცია გაჩნდა.

**ხისტი პოზიცია — ჩვენ არ დაველაპარაკებით, დიპლომატიურ ურთიერთობას არ აღვადგენთ, სანამ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დათმობს, შედეგის მომცემი არც აქამდე იყო (ფაქტის წინაშე ვდგავართ), არც პერსპექტივაში იქნება.**

ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრამ გულახდილად ვთქვათ: აქვს კი ჩვენს ხელისუფლებას გეგმა ამ განდგომილი ავტონომიური ფორმირებების საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების? სტრატეგიული, შორეული პერსპექტიული გეგმა ამ პრობლემის გადაწყვეტისა აქვს მთავრობას? გნებავთ, 50-წლიანი გეგმა, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მოქმედების გეგმა? არ მინდა, დავიჯერო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი გეგმა არ გაგვაჩნია. ადრე იყო გერმანელი დიპლომატი **დიტერ ბოდენი**, ევროსაბჭოს სტრუქტურები ჩართულნი იყვნენ ამ პროცესებში. რაღაც ხორციელდებოდა ორივე მხარის მონაწილეობით.

სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში კი ეს საკითხი საერთოდ გაქრა დღის წესრიგიდან. გაქრა გეგმაც, სურვილიც და ყველაფერი. მერე ივანიშვილის მთავრობამ ამ უმწვავესი პრობლემის გადასაჭრელად კი შექმნა, მაგრამ რად გინდა?! სამინისტროს ისეთი კაცი ჩაუყენეს სათავეში, რომელიც კაბინეტიდან არ გამოდიოდა. საერთო ენის, შეთანხმების, ერთიანი პოზიციის გამონახვაზე შეიძლებოდა ამ დროს ლაპარაკი?!

მთავრობის ყველა სტრუქტურა ყოველდღიურად ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს. ახლა კი რა ხდება? მაგალითად, საქართველო და რუსეთი მოსაზღვრე ქვეყნები არიან, მაგრამ სასაზღვრო სტრუქტურები ერთმანეთს არ ეკონტაქტებიან. შეიძლება სადღაც ქვედა რგოლებში კი არის ეს კონტაქტები (მეეჭვება, მაგრამ მინდა, ასე იყოს) სასაზღვრო საგუშაგოების უფროსების დონეზე — ვასილ, როგორა ხარ? და — გმადლობთ, გივი, კარგად ვარ, ამას იქით საქმე არ მიდის.

ჩემ დროს იშვიათი არ ყოფილა შემთხვევა, როცა პრინციპულად დავპირისპირებივარ რუს კოლეგას სხვადასხვა საკითხის გამო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სამთავრობო კომისიის მუშაობას, რომელსაც ევალებოდა სადელიმიტაციო (საზღვრის დადგენა) პროცედურების ჩატარება ორ ქვეყანას შორის. მიუხედავად სირთულეებისა, ეს მუშაობა არასდროს შეგვიწყვეტია და იმხანად საქართველო-რუსეთის საზღვრის მონაკვეთის 70 პროცენტზე მეტი დავადგინეთ, დარჩენილი გვქონდა მხოლოდ რამდენიმე რაიონი შატილის ზონაში, ფსოუზე, სოფელ ფსუხის მიდამოებში.

**— მამისონის უღელტეხილზე?**

— ჩვენი მესაზღვრეები იდგნენ ზედ მამისონის უღელტეხილზე. პირადად მყავს იქ აყვანილი საგუშაგო და იქ წლების განმავლობაში მსახურობდნენ ქართველი მესაზღვრეები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში, არ ვიცი, ვინ გასცა ბრძანება, მესაზღვრეები იქიდან მოხსნეს. დღეს იქ სხვა ქვეყნის დროშა ფრიალებს. ხომ უნდა აგოს ამაზე პასუხი ვინმემ, ადრე თუ გვიან?

**— ამ თემაზე ჩვენთან არ ლაპარაკობენ... თქვენ თქვით, რომ რუსეთი მრავალფეროვანი კონგლომერატია, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტებიც: გორბაჩოვი, ელცინი, პუტინი. როგორია მათდამი დამოკიდებულება დღევანდელ რუს საზოგადოებაში?**

— საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, **გორბაჩოვი** არის დიდ პოლიტიკაში მოხვედრილი შემთხვევითი პიროვნება, რომელიც ნარცისიზმით იყო დაავადებული, დემაგოგი. **დენ სიაოპინს** უწერია თავის მემუარებში და მისმა შვილმაც გაიმეორა — მამაჩემი გორბაჩოვს ყოველთვის იდიოტად თვლიდაო. დენ სიაოპინი ორჯერ შეხვდა გორბაჩოვს და დაწვრილებით ელაპარაკა ახალ კურსზე, რომე- ▶

**ხშირად მისაუბრია რუსეთში ჩემს კოლეგებთან და მეგობრებთან ამ თემაზე და გეტყვით, რომ ისინიც წუხან, რომ ასეთი არანორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა რუსეთსა და საქართველოს შორის, თუმცა იქაც არიან რადიკალები, ე.წ. ნაციონალისტები, რომლებსაც იმპერიული ამბიციები აქვთ. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა ისტორიულად, თავისი გენეტიკური კოდით ყალიბდებოდა, როგორც „დერჟავა“, როგორც იმპერია. შეიძლება ვილაცას ჩემი ნათქვამი არ მოეწონოს და მისაყვედუროს, მაგრამ მაინც ვიტყვი: რუსი ხალხის მასაში, ძირითადად, კეთილი განწყობაა საქართველოსა და ქართველების მიმართ.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რუსი ხალხის მასაში, ძირითადად, კეთილი განწყობაა საქართველოსა და ქართველების მიმართ»

ელიც სოციალისტურ ჩინეთს ჰქონდა აღებული. მიხეილ სერგეევიჩმა ან ვერ შეისმინა, ან ვერაფერი გაიგო და შედეგად დაიშალა ზესახელმწიფო — სსრ კავშირი. ჩინეთს კი დღეს მსოფლიოში სიმძლავრით მეორე ეკონომიკა აქვს.

გორბაჩოვი, რომელიც სტავროპოლის მხარიდან არის, ერთადერთხელ, ჩუმად და მალულად ჩავიდა ამ მხარის სოფელ პრივოლნოეში, საიდანაც არის წარმოშობით, და ჩუმადვე გაიპარა.

**— რატომ ჩუმად?**

— რამდენი წელიწადია, იქ ვცხოვრობ და ვიცი, რომ სტავროპოლელები მზად არიან, შეხვედრისას მას ობსტრუქცია მოუწყონ და შეაფურთხონ იმ უგუნური პოლიტიკის გამო, რომელსაც ის სხვა ქვეყნის გავლენის აგენტების კარნახით განახორციელებდა...

**— ელცინი?**

— მეც იმ აზრისა ვარ, რომელიც რუსეთში ხალხს აქვს — ლოთი იყო და მოღალატე.

**— დღევანდელ პრეზიდენტზე რას ამბობენ?**

— ძლიერი პიროვნებაა, ძლიერი მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე. ხომ ცნობილია, რომ საერთაშორისო ლიდერებს შორის უკვე ზედიზედ მეოთხედ პირველ ადგილზეა დასახელებული... ცოტა დასალაგებელი აქვს მდგომარეობა ქვეყნის შიგნით — კორუფცია ჭამს სახელმწიფოს. ოლიგარქების პარპაშია ასალაგმი. ველური კაპიტალიზმის სტადია რუსეთში ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომაა განსაკუთრებით ძნელი მასთან ბრძოლა ამ უზარმაზარ ქვეყანაში. ხომ იცით, რა უპასუხა **ფორდმა** ჟურნალისტების შეკითხვას, როგორ გახდით მილიონერიო: „არასოდეს მკითხოთ, როგორ ვიშოვე ჩემი პირველი მილიონი. მომდევნო მილიონები კი ბიზნესია“... პირველი მილიონი სისხლის ღვრით, კანონების დარღვევით არის მოპოვებული. რუსეთი თანდათან, მაგრამ მაინც გამოდის „პირველი მილიონის შოვნის“ სტადიიდან.

**საქართველოში წამოჩიტულ ე.წ. მილიონერებს რომ ვუყურებ და ვიცი, ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, თავისთავად მიჩნდება შეკითხვა — საიდან და როგორ? განა მხოლოდ მე მაქვს ეს ინფორმაცია და ხალხმა არ იცის, ვინ იღებდა სახელმწიფოს გარანტიით თურქულ კრედიტებს და მერე როგორი კანონდარღვევებით ჩამოეწერებოდათ ეს ვალები?**

**— საქართველოდან ახლა უკვე საბოლოოდ გაქცეულ ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს სასაზღვრო ჯარებში მისი ყოფნის ამსახველი ფოტოალბომი საჩუქრად რომ გადაეცით, ამაზეც უნდა გკითხოთ...**

— სააკაშვილი პარადოქსია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ქარიზმული პიროვნება, ძალიან მერყევი ფსიქიკით, სიტყვასა და ქმედებაში არაადეკვატური, არასანდო, როგორც ადამიანურ ურთიერთობაში, ასევე პოლიტიკაში. ის ალბომი, რომელზეც მეკითხებით, ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ გამომატანა სააკაშვილისთვის გადასაცემად. რამ გააცოფა სააკაშვილი, მასში თავმოყრილ ფოტოებს რომ გაეცნო, ამაზე ცალკე ვილაპარაკოთ, დიქტოფონის გარეშე...

**— ბატონო ვალერი, ზურაბ ჟვანია მოკლეს, თუ შემთხვევას ემსხვერპლა?**

— იმ უამრავი ინფორმაციის მიხედვით, რომლებიც საზოგადოებაში ვრცელდება, მოკლეს. უეჭველი.

**— შესწრებიხართ თუ არა ოდესმე ედუარდ შევარდნაძის შემცვლელის საკითხზე საუბარს?**

— შესწრებით არ შევსწრებივარ, მაგრამ ჩემთვის კი უკითხავთ. 2002 წელს მივლინებით ვიყავი ჩასული ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმხანად ჩვენი ელჩი **თედო ჯაფარიძე** იყო. თედომ მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა სურდათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსებს.

შევხვდი. მათ ღია ტექსტით, პირდაპირ მითხრეს, რომ თქვენ, ალბათ, გრძნობთ, შევარდნაძე პროცესებს უკვე ველარ მართავს, ქვეყანაში კორუფცია ყვავის და რა გამოსავალს ხედავთო.

ვუპასუხე, რომ გამოსავალი ერთადერთია და ცნობილი — ალვირი მაგრად უნდა მოქაჩო და დამნაშავემ კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი.

მაგრამ ამისთვის შესაბამისი პოლიტიკური ნებაა საჭირო-მეთქი.

დამეთანხმნენ.

— ხედავთ ვიმეს მომავალ პოლიტიკოსებში, ვინც შეძლებს ამის გაკეთებას შევარდნაძის შეცვლის შემდეგ? — მეკითხებიან.

დავუსახელე ოთხი ადამიანი.

**— ვინ დაასახელეთ, ბატონო ვალერი?**

**— ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, სულხან მოლაშვილი, ლადო ჭანტურია.** ვისაც ვიცნობდი, ისინი.

თავიანთი მოსაზრება ორ მათგანზე მითხრეს (ნუ მომთხოვთ დაკონკრეტებას, რადგან შეხვედრა კონფიდენციური იყო). ესენი არ გამოდგებიანო. დანარჩენ ორზე, — არ ვიცნობთ და ვერაფერს გეტყვითო.

**— ის მაინც მითხარით, ვინ იყო პირველი წყვილი და ამერიკელებმა პლუსით თუ მინუსით დაახასიათეს?**

— ჟვანია და ბურჯანაძე. დახასიათება კი — უფრო მინუსი ნიშნით.

**ამ საუბრისას სააკაშვილი არავის უხსენებია. წარმოდგენაც არ ჰქონდათ, არსებობდა თუ არა ვინმე ასეთი. იმხანად მიშა, როგორც მოკლეშარვლიანი ბიჭი, პარლამენტის შენობის დერეფნებში დაბორიალებდა და კედლებს ლურსმნით ჩხაპნიდა.**

**— მაგრამ გამოჩნდა და მხარი დაუჭირეს.**

— კი, მაგრამ ეს მოხდა შემდეგ. **ბევრი რამ გაირკვა მას შემდეგ, მათ შორის, ისიც, ვინ ხელმძღვანელობდა არჩევნების პროცესს, ვინ აფათურებდა ხელს დიდძალ ფულში, ვინ აწესებდა დეპუტატად არჩევის მსურველისთვის ტარიფის ოდენობას და ა.შ.**

**— ვინ?**

— მერე გეტყვით...

**მას შემდეგ დღემდე საქართველოს პოლიტიკურ ოლიმპზე იმდროინდელი „ნომენკლატურის“ 60-70 პროცენტი ტრიალებს.**

**— სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ დამოუკიდებლობის პერიოდი საქართველოსთვის აღმავლობის ხანა იყო. წარუმატებლობის რომელ მთავარ მიზეზს გამოყოფდით, ბატონო ვალერი?**

— ბევრი მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, არაპროფესიონალიზმი იყო. ეროვნული ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალგაზრდებს არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, თუნდაც მცირე კოლექტივის მართვის (რამდენიმეს გამოკლებით, ცხადია).

კადრების შერჩევა იყო და რჩება საერთო პრობლემად. მახსოვს, როგორი კმაყოფილებით ლაპარაკობდა თავის დროზე სამტრედიის გამგებელი, რომ რკინიგზის გადაკეტვით რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო. პრიმიტივიზმის ნიმუშია. მაშინდელ 24 წლის ბიჭს, რომელიც ახლა მოწიფულ ასაკშია, თავი სერიოზულ და გამოცდილ პოლიტიკოსად მიაჩნია.

შევარდნაძეს ვერ დააბრალებ, რომ არაპროფესიონალი კადრები ჰყავდა შერჩეული. სამაგიეროდ, ვერ მოერია კორუფციას. მიუშვა.

**— კორუფციის თემა, როგორც თქვენი კოლეგები ამბობენ, აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ არის შემოგდებული, როგორც საბაბი ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩასარევად.**

— კარგი, რა! **ყველაზე დიდი კორუფციონერები თვითონ ამერიკელები არიან, მაგრამ ამაზე წამოაგეს „კმარა“, „ოტპორი“ და „ფერადი რევოლუციების“ სხვა ახალგაზრდული მოძრაობები. აშშ-ის პრეზიდენტის ახლანდელმა არჩევნებმა კარგად გამოაჩინა, სადაა დამარხული კორუფციის თავი. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა თავისი სახელი დაარქვა ჰილარი კლინტონის ლობისტურ ძალებს.** ეს მან ისე მკვეთრად და სახელდებით გააკეთა, რომ მისმა კეთილისმსურველებმა ამერიკაშიც და მის საზღვრებს გარეთაც ურჩიეს, გაეძლიერებინა თავისი დაცვის სამსახური.

**კადრების აღზრდის, შერჩევისა და დაწინაურების არავითარი სისტემა არ აქვს ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასაც, რაც ფრიად სამწუხაროა. სააკაშვილის მეთოდებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება — თვითმფრინავში გაცნობილ ან კანადის პურის საცხობში შეხვედრილ გოგოებს მინისტრებად რომ მოგვივლენდა და გვამების კოლექციონერი, უწიგნური მერაბიშვილი ქვეყნის ხერხემლად და გადამრჩენად რომ ჰყავდა აღზევებული.**

**— ეთანხმებით მოსაზრებას, რომ დღეს უმეტესობამ დილეტანტიზმი პროფესიად გაიხადა?**

— სამწუხაროდ, იძულებული ვარ, დავეთანხმო. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში მთლიანად და არა ცალკე აღებულ სტრუქტურაში. არანორმალურია, რომ ქვეყნის ორ ლიდერს — პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს — ამ მიმართულების თავიანთი სტრუქტურა აქვს! არა მგონია, რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში ასეთი სიმახინჯე არსებობდეს.

და, რაც მთავარია: **კაპიკია შენი უსაფრთხოების სტრუქტურის ფასი, რომელიც სრულად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებზე. არადა, ასეა საქართველოში. ვეჭვობ, რომ, როგორც მეორე მსოფლიო ომამდე მსოფლიო ჯაშუშობის ბუდე პარიზში, მარსელსა და სტამბოლში იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი — ვენაში, ამჟამად პოსტსაბჭოთა პერიოდის ჯაშუშობის ბუდე თბილისშია.**

დილეტანტიზმი სწორედ ამ სისტემაში გახდა პროფესია. კადრის რეზერვი ჩვენს ხელისუფლებას არსად, არც ერთ რგოლში არ ჰყავს, ხოლო, უცხოეთში სამთვიანი კურსების გავლა პროფესიონალიზმის უმაღლესი დონის დადასტურებას რომ არ ნიშნავს, ეს, კარგა ხანია, ყველასთვის ნათელია. მაგალითად, ყოფილ პრეზიდენტსა და პოპულისტ-ავანტიურისტ მიხეილ სააკაშვილს დაგისახელებთ, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მისი საყვარელი გამოთქმის შესაფერისად, ჩვენ თვალწინ „მარტივ მამრავლებად დაეშალა“.

**ესაუბრა
არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბატონი ვალერი ჩხეიძე ერთხანს დარჩება საქართველოში და ვიმედოვნებ, ჩვენს მკითხველს კიდევ ექნება მასთან შეხვედრის შესაძლებლობა.**

**«კადრების აღზრდის, შერჩევისა და დაწინაურების არავითარი სისტემა არ აქვს ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასაც, რაც ფრიად სამწუხაროა. სააკაშვილის მეთოდებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება — თვითმფრინავში გაცნობილ ან კანადის პურის საცხობში შეხვედრილ გოგოებს მინისტრებად რომ მოგვივლენდა და გვამების კოლექციონერი, უწიგნური მერაბიშვილი ქვეყნის ხერხემლად და გადამრჩენად რომ ჰყავდა აღზევებული»**

**ყველაზე დიდი კორუფციონერები თვითონ ამერიკელები არიან, მაგრამ ამაზე წამოაგეს «კმარა», «ოტპორი» და «ფერადი რევოლუციების» სხვა ახალგაზრდული მოძრაობები. აშშ-ის პრეზიდენტის ახლანდელმა არჩევნებმა კარგად გამოაჩინა, სადაა დამარხული კორუფციის თავი. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა თავისი სახელი დაარქვა ჰილარი კლინტონის ლობისტურ ძალებს**



## ბუნდესტაგის დეპუტატი: ნატო უნდა დაიშალოს!

**ბუნდესტაგის მემარცხენე ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი სარა ვაგენკნეხტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დაშლისკენ მოუწოდებს, — იუწყება Deutsche Welle.**

პოლიტიკოსის განმარტებით, ალიანსმა არსებობა უნდა შეწყვიტოს და მის ადგილზე კოლექტიური უსაფრთხოების ახალი სისტემა შეიქმნას, რომელშიც რუსეთიც უნდა იყოს ჩართული. სარა ვაგენკნეხტის პოზიცია აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის — დონალდ ტრამპისას დაემთხვა, როდესაც მან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს „პრობლემების მქონე მოძველებული ორგანიზაცია“ უწოდა.

სარა ვაგენკნეხტის მემარცხენე პარტიას გერმანიის პარლამენტში 64 სადეპუტატო მანდატი აქვს და შვიდი დეპუტატი ჰყავს ევროპარლამენტში. ის გერმანიის უმსხვილესი ოპოზიციური პარტიაა.



## მარინ ლე პენი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ყირიმს რუსეთის ტერიტორიად აღიარებს

**საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ყირიმს რუსეთის ტერიტორიად აღიარებს.**

„რეფერენდუმის შემდეგ, რომელმაც აჩვენა ხალხის ნება, შეერთებოდნენ რუსეთს, მეც ასევე ვაღიარებ ყირიმს რუსეთის ნაწილად. ყირიმის უკრაინის შემადგენლობაში ყოფნა მხოლოდ ადმინისტრატიული საკითხი იყო საბჭოთა დროიდან, ნახევარკუნძული არასოდეს ყოფილა უკრაინული“, — განაცხადა მარინ ლე პენმა.

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების გეგმებზეც ისაუბრა. „მე ვაპირებ, საფრანგეთს დამოუკიდებლობა მოვუპოვო აშშ-ისა და ნატო-სგან და აღვადგენ ნორმალურ ურთიერთობებს საფრანგეთსა და რუსეთს შორის. კერძოდ, უსამართლო და უეფექტო სანქციების მოხსნით“, — დასძინა მარინ ლე პენმა.

ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იყო დრო, ილიას, აკაკის, ვაჟას (მართლაც ნამდვილი ლიბერალების) პირით „ქვანი ღაღადებდნენ“ საქართველოს გასაჭირსა და ძნელბედობას და ქართველებს გამოფხიზლებისკენ მოგვიწოდებდნენ. ახლა კი ჯანგირაშვილის, პატარაიას, გაბუნიას (დემაგოგები, რომლებიც ლიბერალების სახელს ისაკუთრებენ) „კლუბთა ღაღადი“ გვესმის მხოლოდ და ქართველებს იმისკენ მოგვიწოდებენ, რომ დავიჯეროთ, როგორი „ბნელები“, „აგრესიულები“, „არაცივილიზებულები“ და საზიზღრები ვართ თურმე.**

**ქართული იუმორის ტიტანს, ნოდარ დუმბაძეს, როდესაც ის ამერიკაში მოგზაურობდა, იქაურ სტუდენტებთან შეხვედრაზე ერთმა სტუდენტმა ასეთი კითხვა დაუსვა: „მისტერ დუმბაძე, მოგეხსენებათ, რუსებმა დაიქადნეს, რომ ისინი მალე ვენერაზე გაფრინდებიან; ამერიკელებმა დაიქადნეს, რომ მაშინ ისინი იუპიტერზე გაფრინდებიან; ამის გამო იაპონელებმა დაიქადნეს, რომ სატურნზე გაფრინდებიან, ქართველები კი სად აპირებთ გაფრენას, მარსზე?“**

# სამოქალაქო თვითმფრინავში იარაღის ტრიალია რომანტიზმი და ღამის კლუბში დათრობა — ტერორიზმი, აბა არა?!

**ნოდარ დუმბაძეს** ღიმილით უთქვამს: თუ გვენდომება, ჩვენი მიწიდან სადმე გაფრენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს სამშობლოს მუდამ რომელიმე მტერი უტევს (ღიად ვერ იტყოდა, რომ მტერი რუსეთია ან ამერიკა და თურქეთი. ერთ შემთხვევაში უსაფრთხოების, მეორე შემთხვევაში კი დიპლომატიური მოსაზრებით). ჰოდა, თუკი ყველანი სადღაც გაფრენას აპირებთ, მაშინ ჩვენ რაღა გვინდა მარსზე და ჯანდაბაში, დავრჩებით აგერ, დედამიწაზე და ვიცხოვრებთ მშვიდადო.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ამერიკელები და რუსები მაინც ვერ იყოფენ დედამიწას და, როგორც ჩანს, არც ვენერასა და იუპიტერზე გადასახლებას აპირებენ.

ეგ კიდევ არაფერი — არც ქართველებს გვაცლიან მშვიდად ცხოვრებას.

მშვიდად კი არა, აგერ, უკვე **ქართველების მლანძღველი ქართველების „ელიტური“ დაჯგუფებებიც შექმნა უკვე ჩვენმა „სტრატეგიულმა მეგობარმა“ და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გასული კვირის მთავარ თემად საქართველოში ქართველ მამაკაცთა სადმე შეშვება-არშეშვება იქცა.**

განგებ ვამბობ სიტყვა „სადმე“-ს, რადგან საქართველოში ქართველს „ქართველობის“ საბაბით რომ არ უშვებენ სადმე, ეს ნამდვილად არის სრულიად ერის მძიმე შეურაცხყოფა და სულერთია, რა ტიპის დაწესებულებაა — ბორდელი, რესტორანი, აფთიაქი თუ კლუბი.

აქვე აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ჩამოთვლილთაგან ბოლო ტიპის დაწესებულებები პოსტსაბჭოთა სივრცეშიც გარკვეული სიახლეა და მით უფრო საქართველოში ჯერაც არ აქვს მყარად ფეხი მოკიდებული. საუბარია „კლუბური“ ტიპის დაწესებულებებზე და ე.წ. ღამის ცხოვრებაზე, რომელიც, საზოგადოდ, ქართველებს ნაკლებად იზიდავს, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას, რომ ამ დაწესებულებებში ადამიანები „ქართველობის“ მომიზეზებით არ შეუშვას.

**საქართველოს დედაქალაქში ბოლო პერიოდში „კლუბებად“ წოდებული დაწესებულებების გახსნამ ცხადყო, რომ აქამდე რუსულ ფენომენად მიჩნეული გამოთქმა „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“, უკვე არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ აგერ, თბილისის ცენტრში გადმოგვიტანეს და დაგვინერგეს.**

არა მგონია, ვინმეს არ ახსოვდეს, როგორი მკაცრი ფორმებით ვაპროტესტებდით ქართველები იმას, რომ მოსკოვის ქუჩებში „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ ერთგვარი „ორდერი“ იყო იმისათვის, რომ ადამიანი გაეჩერებინათ, გაეჩხრიკათ, შეურაცხეყოთ, თუ მოუნდებოდათ მილიციის განყოფილებაშიც გადაეყვანათ და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, ყველაზე ხმამაღლა და მონდომებით ამას სწორედ ის ე.წ. პატრიოტთა ელიტური წრე აპროტესტებდა, რომლის წარმომადგენლებიც ახლა ყველაფერს აკეთებენ, რათა გაამართლონ იმ ღამის კლუბების მეპატრონეები, რომლებიც ქართველ მამაკაცებს თავიანთ დაწესებულებებში არ უშვებენ, ფაქტობრივად, სწორედ „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტის“ მსგავსი მიზეზით.

**პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადება, რომ საქართველოს დედაქალაქში არსებობს დაწესებულებები, რომლებშიც ქართველ მამაკაცებს ეროვნული და გენდერული ნიშნით არ უშვებენ და რომ არის ეჭვი ამ ადგილებში არასრულწლოვანთა პროსტიტუციისა, რატომღაც ძალიან არ ესიამოვნა ქართულ „ლიბერასტულ ელიტას“.**

**ეს სწორედ ის „ლიბერასტული ელიტაა“, რომელმაც ამას წინათ ერთი ამბავი ატეხა ვაკის საცურაო აუზზე გამოკრული განცხადების გამო. იმ განცხადებაში კი მხოლოდ ის ეწერა, ქალბატონებს ვთხოვთ, კრიტიკული დღეების დროს არ ჩავიდნენ აუზში და წყალი არ დააბინძურონო.**

„ელიტურ ლიბერასტთა“ წივილ-კივილის მიზეზი იყო ის, რომ თურმე ამ განცხადების შინაარსში ხაზგასმული სიტყვა „ქალბატონები“ ყოფილა მდედრობითი სქესის დისკრიმინაცია და განცხადებაში უნდა ყოფილიყო მითითებული, რომ „მენსტრუალური ციკლის დროს წყალში ჩასვლა არ შეიძლება“, სქესის მიუხედავად!

აი, ასეთი „ძალიან თანასწორები“, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ქალების მენსტრუალურ ციკლსაც კი და მათ მამაკაცებს „უთანასწორებდნენ“, ამჯერად, რატომღაც ძალიან ცინიკურები აღმოჩნდნენ პრემიერმინისტრის მიმართ და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ცინიკური ხერხებით სცადეს მისი განცხადების გაბიაბრუება.

**„ვაიმე, სასაცილოა, რას აპროტესტებს გიორგი კვირიკაშვილი? იმას, რომ ქართველი მუტრუკი მამაკაცები ვერ შედიან ბორდელში და ვერ იღებენ არასრულწლოვანი მეძავების მომსახურებას? ძალიან გინდათ და არ გიშვებენ? ჰა ჰა ჰა ჰა ჰააა!“**

ასეთი დემაგოგიური და ამაზრზენი, მამაკაცების კიდევ უფრო დამამცირებელი და დისკრიმინაციული ინტერპრეტაციით სცადეს ლიბერასტებმა საქართველოში არსებული მართლაც სერიოზული პრობლემის „ბნელი ღრუზინებისა“ და პირადად გიორგი კვირიკაშვილის „სექსისტურ“ მიდრეკილებებად გასაღება.

ქართველ ფემინისტთა „დედას“ (თუ მამას? ან დედ-მამას ერთად?) — **ბაია პატარაიას** კი ახლაღა გაახსენდა, რომ




თურმე ჩვენს ქვეყანაში უამრავი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს.

„ქვეყანაში, სადაც ამდენი პრობლემაა, ამდენი გაჭირვებული ადამიანია, სადაც ხალხი შიმშილობს, საკითხებზე, თუ ვინ შევა ბორდელში და ვინ ვერა, რატომ უნდა ცდებოდეს ქვეყნის პრემიერმინისტრი? ამაზე არც პოლიცია უნდა ცდებოდეს. ვიღაც ქართველ მამაკაცებს თუ სადმე არ უშვებენ, აწარმოონ ამაზე მოქალაქეებმა სამოქალაქო დავა სასამართლოში და ეგ არის“, — ისეთი სახით განაცხადა პატარაიამ, გეგონება, როდესაც ის ვაკის საცუარაო აუზზე მოსიარულე ქალთა მენსტრუალური ციკლის გამო მთელი ქვეყნიერების დასჯას ითხოვდა, ამ ქვეყანაში ყველა მაძღარი იყო, არავის უჭირდა და არც პრობლემები აწუხებდა სახელმწიფოს.

ნიშანდობლივია, რომ „ლიბერასტთა“ ასეთ წიოკს ჯერ გაუბედავად, ახლა კი უკვე სრულიად აშკარად აუწყო ფეხი ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორმა და „დედამ“ **ნინო ჯანგირაშვილმა.** ჟურნალისტ **გია იაკობაშვილთან** „მაესტროზე“ გამართულ დებატებში **ნინო ჯანგირაშვილი** ცდილობდა, ცინიკური სახე მიეღო და ირონიული ღიმილით გადაეფარა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები, მაგრამ სინამდვილეში ისე საცოდავად გამოიყურებოდა, რომ ბარე ოცჯერ მოუწია გაემეორებინა ფრაზა: „მე მიყვარს კონკრეტიკა და თანმიმდევრული ლოგიკა“. თუმცა, როდესაც ამ „თანმიმდევრული ლოგიკის“ გამოთქმის საშუალება ეძლეოდა, ისეთ სისულელეებს ბჟუტურობდა, ბოლოს მოწინააღმდეგიან-წამყვანიანად ყველას სიცილი აუტყდა და ასე მხიარულად დაასრულეს „სამკვდრო-სასიცოცხლო“ გენდერული დაპირისპირება.

სამაგიეროდ, შეუვალი დარჩა თბილისის ერთ-ერთი ღამის კლუბის მეპატრონე გვარით ქართველი და შეგნებით ღმერთმა უწყის სადაური ქალი, ვინმე **ქეთა გაბუნია**, რომელმაც ტვინს ძალა ვეღარ დაატანა და პირდაპირ ეთერში გააკეთა აშკარა დისკრიმინაციული განცხადება: **„მე არ ვუშვებ ჩემს ღამის კლუბში ქართველ მამაკაცებს, ხოლო უცხოელები მარტივად შემოდიან“.**

აი, ამ პირდაპირი დისკრიმინაციის ახსნა ასეთი ყოფილა: „ქართველი მამაკაცები არიან აგრესიულები, თვრებიან, ჩხუბობენ, ყვირიან, იქცევიან უკულტუროდ, მაშინ, როდესაც ევროპელი მამაკაცები ძალიან ცივილიზებულად იქცევიან“.

ამ ტუტუც დედაკაცებს (ახლა ჩემს ამ სრულიად კონკრეტულ ფრაზასაც „ქალთა დისკრიმინაციად“ მონათლავენ ესენი, მიუხედავად იმისა, რომ ამას ყველა ქალზე არ ვამბობ), როგორც ჩანს, იმდენი ტვინიც არ ჰყოფნით, გაიაზრონ, რომ ასეთი განზოგადება, რომ „ქართველი მამაკაცები“ არიან აგრესიულები და დებოშირები, კიდევ უფრო უარესი დისკრიმინაციული გამოხდომაა.

რა, ნორვეგიაში რომ ჩავიდეთ და ერთი ან თუნდაც ათი ლოთი ნორვეგიელი ვნახოთ, მერე უნდა ვიძახოთ, ყველა ნორვეგიელი ლოთიაო?

ან ის რატომ უკვირს ვინმეს, რომ სადმე ჩასული უცხოელი უფრო თავშეკავებულად იქცევა, ვიდრე ადამიანი, რომელიც თავის ქვეყანაში, თავის ქალაქში, თავის უბანში იმყოფება?!

ეს საქართველოშიც ასე ხდება და ნებისმერ სხვა ქვეყანაშიც. როგორ ფიქრობთ: დავუშვათ, **დანიაში რომ ჩახვიდეთ, იქ ლოთ დანიელს უფრო მეტს გადააწყდებით თუ ლოთ ქართველს? და ეს იძლევა იმის საბაბს, რომ ვინმემ დანიაში, კლუბში არ შეუშვას დანიელი მამაკაცები?**

ან სულაც, იშვიათად გინახავთ ინტერნეტსაიტებსა და საინფორმაციო გამოშვებებში ინფორმაცია უცხოეთში არსებულ ღამის კლუბებში გამართული ფიზიკური დაპირისპირებებისა და დებოშის შესახებ?

მოკლედ, ამ ადამიანების მიზანია, დააკნინონ, დაამცირონ, გაანადგურონ ქართველი მამაკაცის სახე და ამით დააზიანონ სახელმწიფო.

იგივე ქეთა გაბუნია მისთვის იდეალურ სახელმწიფოდ გერმანიას ასახელებდა. „ეს არის ყოველმხრივ მოწესრიგებული, მულტიკულტურული ქვეყანა“, — განაცხადა მან. მინდა, ერთი რამ ვიკითხო: **ქალბატონმა (თუ ქალკაც-უსქესო) გაბუნიამ იმ „მულტიკულტურულ“ სახელმწიფოში ღამის კლუბი რომ გახსნას და იქ ვინმე არ შეუშვას იმ მოტივით, გერმანელი ხარო, ნეტავ, რას უზამენ და როგორ მოიქცევიან ბატონი „მულტიკულტურულები“?**

კიდევ ერთ რამეზეც მინდა გავამახვილო ყურადღება: **ზოგიერთი ტრაგიკული სახით მოთქვამს ხოლმე, — ქართველი ბიჭების სისხლი დაღვარეს რუსებმა და როგორ შეიძლება მათთან რამეზე მოლაპარაკებაო? უკაცრავად, ეგ ის ქართველი ბიჭები ხომ არ არიან, რომლებსაც თქვენ ასე ამაზრზენად ლანძღავთ, აგინებთ, ათრევთ და ლაფში სვრით?**

**ის რუსი ომში მაინც ღვრის ქართველი ბიჭების სისხლს და თქვენ აგერ, მშვიდობიან ვითარებაში ასამარებთ, მარხავთ, კლავთ და ანადგურებთ იმავე ქართველი ბიჭების ღირსებას, თავმოყვარეობასა და სახელს(!).**

იმავე საბჭოთა პერიოდში რომ არსებულიყო რაიმე დაწესებულება, რომელშიც ვინმეს ქართველობის გამო არ შეუშვებდნენ, დღემდე ხომ გექნებოდათ თითზე დახვეული იმის მაგალითად, თუ როგორ ჩაგრავდნენ რუსები ქართველებს საბჭოთა ეპოქაში?

ამიტომ ყველას გასაგონად უნდა ითქვას: აქცენტის გადატანა იმაზე, რომ ეს დაწესებულებები „ბორდელებია“, უბრალოდ, მავანთა უსუსური მცდელობაა, შეფუთონ თავიანთი რეალური მიზნები.

სინამდვილეში, **ქვეყნის მტერია ყველა, ვინც ნებისმიერი „არგუმენტით“ ამართლებს საქართველოში ქართველის (გინდა მამაკაცისა და გინდა ქალის) სადმე არშეშვებას! იქნება ეს „ბორდელი“, რესტორანი, აფთიაქი, სამოთხე თუ ჯოჯოხეთი.**

ერთსლა ვიტყვი: იყო დრო, **ილიას, აკაკის, ვაჟას** (მართლაც ნამდვილი ლიბერალების) პირით „ქვანი ღაღადებდნენ“ საქართველოს გასაჭირსა და ძნელბედობას და ქართველებს გამოფხიზლებისკენ მოგვიწოდებდნენ. ახლა კი ჯანგირაშვილის, პატარაიას, გაბუნიას (დემაგოგები, რომლებიც ლიბერალების სახელს ისაკუთრებენ) „კლუბთა ღაღადი“ გვესმის მხოლოდ და ქართველებს იმისკენ მოგვიწოდებენ, რომ დავიჯეროთ, როგორი „ბნელები“, „აგრესიულები“, „არაცივილიზებულები“ და საზიზღრები ვართ თურმე.

არჩევანი ჩვენზეა — დავიჯერებთ თუ გავაპროტესტებთ, გამოვფხიზლდებით თუ ისევ მხართეძოზე ძილს განვაგრძობთ...

ანუ სულაც, ამდენი ტუტუცი მლანძღველის, გაზულუქებული „ლიბერასტის“, გადაგვარებული ნაქართველარის შემხედვარე, რომლებსაც საკუთარი ერის ლანძღვა სარფიან და შემოსავლიან საქმედ გაუხდიათ, იქნებ სჯობს, ავდგეთ და მართლაც გავფრინდეთ ქართველები მარსზე?!

**P.S. წერილი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც კიდევ ერთმა „დიდმა“ ქართველმა, დავით ტურაშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში მორიგი გამოწვევა გაუკეთა ქართველ მამაკაცებს. კერძოდ, განაცხადა: დიახაც, ქართველები ტეხენ დებოშს ღამის კლუბებში — თვრებიან, ჩხუბობენ და არიან აგრესიულები... ამიტომ არ უშვებენ მათ იქ. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ”**

**საზოგადოდ, ეს კაცი გამოირჩევა ყველაფრისთვის “თავისი სახელის” დარქმევის ჩვევით. მაგალითად, მან „თავისი სახელი“ დაარქვა სამოქალაქო თვითმფრინავში იარაღის ტრიალს და ეს მოვლენა „ქართულ რომანტიზმად“ მონათლა.**

**მართალიც არის — ღამის კლუბში დათრობა და თუნდაც არასწორი საქციელი, გინება და ჩხუბი არის „მუტრუკობა“, „გრუზინობა“ და „აგრესიულობა“, თორემ თვითმფრინავში მშვიდობიან მგზავრებს კეთილი, არააგრესიული, ჯიგარი და კარგი ქართველები აწიოკებენ ხოლმე.**

**ის დროა, დათო ტურაშვილმა დაწეროს მორიგი რომანი „კლუბების თაობა“ და მერე რომელიმე თეატრის სცენაზე შეიძლება სპექტაკლიც დადგან, როგორ „არაევროპულად“ იქცევიან ღამის კლუბებში, იმ 80-იანელი „რომანტიკოსი“ ქართველებისგან განსხვავებით, დღევანდელი „მუტრუკი“ და „სამარცხვინო“ ქართველები...**

**ხელისუფლება, რომელზეც არსებობს კომპრომატები და ეს კომპრომატები აქვს უცხოურ სპეცსამსახურებს, ვერასოდეს იმოქმედებს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საფრთხეა.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დამთავრდა კერების, ბუშებისა და მაკკეინების ლობისტების პერიოდი მსოფლიოში, ახლა სულ სხვა ხანა, სხვა დრო იწყება...**
**ყველასთვის კარგად ცნობილმა „ლგბტ თემის“ დამცველმა გიორგი ტატიშვილმა, იმავე მაცაცომ, ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან სკანდალური რამ განაცხადა. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინათ ორგანიზაცია „ტრანსგენდერ ქალთა ცენტრის“ ოფისში (რომლის ხელმძღვანელიც თავადაა) კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებმა ჩხრეკა ჩაატარეს და ორგანიზაციის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა წაიღეს. როგორც ტატიშვილი ამბობს, ამოღებულ დისკებზე ასახულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა პირისა და, მათ შორის, პოლიტიკოსების შესახებ. „აქ არის პირადი სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიოჩანაწერები, როგორც ჩვენი, ისე პოლიტიკოსების.“ — განაცხადა მან, მაგრამ არ უთქვამს, საიდან, როგორ ან რა გზით ფლობდა მისი ორგანიზაცია მსგავს ჩანაწერებს, მით უმეტეს — პოლიტიკოსებზე და რა მიზანს ემსახურებოდა ამ დისკების არსებობა...**
**რა საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას სახელმწიფოს ამ ჩანაწერებმა, არის თუ არა იგი პოტენციურად კომპრომატი ხელისუფლების წინააღმდეგ და კონკრეტულად რა ზომების მიღებაა საჭირო იმ სახელმწიფო მოხელეების მიმართ, რომლებზეც აღნიშნული კომპრომატი არსებობს ?— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პარტია „ქართული იდეის“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ლევან ჩაჩუა ესაუბრება.**



# ლევან ჩაჩუა: «ოცნებასაც» და «ნაცმოძრაობასაც» ერთი პატრონი ჰყავთ

## უნდა გამოირიცხოს მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუდმივი შანტაჟის ქვეშ მყოფი გარყვნილი ადამიანების დანიშვნა

**— ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, რა გზით შეიძლება ფლობდეს ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგალითად, „ტრანსგენდერ ქალთა ცენტრი“ პოლიტიკოსების, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების, პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს?**

— ყველა ეს ე.წ. ენჯეო ჩვეულებრივი მეხუთე კოლონაა და, რასაც უცხოეთის სპეცსამსახურები ავალებენ, იმას ასრულებენ. ამ ორგანიზაციების წევრთა დიდი ნაწილი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა და მათთვის უცხო არ არის ის, რაც ვიღაცისთვის გადახრად ითვლება. საერთოდ, როგორც ჩანს, ასეთი ადამიანი ბევრია არა მხოლოდ ე.წ. არასამთავრობო სექტორში, არამედ პოლიტიკურ სპექტრშიც და მათაც გარკვეული მიზნებისთვის იყენებენ. ალბათ, ყველა მათგანზე არსებობს გარკვეული ჩანაწერი და ცხადია, ეს ჩანაწერები უმიზეზოდ არ კეთდება...

**— ამჟამინდელ ხელისუფლებაშიც არიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები?**

— ფაქტია: ეს ხელისუფლებაც და წინამორბედიც ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს ყურებით ჰყავდათ დაჭერილი. კანონპროექტებს ვერ ამტკიცებდა პარლამენტი ისე, მათთვის რომ არ დაეძახა და არ ჩაერთო განხილვებში. ამ დროს პატრიარქის ქადაგებას, საპატრიარქოს პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე და სხვადასხვა სასულიერო პირის განცხადებებს არად აგდებდა. რატომ? რით იყვნენ ის „არასამთავრობოები“ ეკლესიაზე უფრო პატივსაცემი?! ანტიდისკრიმინაციული კანონი ავიღოთ,— ყველას გვახსოვს, როგორ მიიღეს. სრულიად საქართველო წინააღმდეგი იყო და მაინც დაამტკიცეს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ არ იცოდა, რომ ამით თავის პოლიტიკურ რეიტინგს სასიკვდილო დარტყმა მიაყენა? ცხადია, იცოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ეს ერთი.

მეორე — უბედურებაა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, როგორ შეიძლება, ადამიანს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაუვრცელოო. **პირადი ცხოვრებაა შენი ოჯახი, საძინებელი, ბოდიში და, საპირფარეშო... რომელიღაც სასტუმროში რომ მამათმავლობ და დედათმავლობ, პირადი ცხოვრება კი არა, გარყვნილება და გათახსირებაა. თანაც, ასეთი ადამიანები პარლამენტში სხედან და გაიძახიან, ამის გამავრცელებლებმა პასუხი უნდა აგონო, იმას კი არ ამბობენ, რომ ამორალურ კაცს და ქალს სახელმწიფო სამსახურში არაფერი ესაქმება, რომ არ შეიძლება, ასეთმა ადამიანებმა მართონ ქვეყანა და მიიღონ კანონები, განსაზღვრონ პოლიტიკური პრიორიტეტები და იდეოლოგია.** ვფიქრობ, ასეთი ადამიანები უნდა ამხილონ და საზოგადოებამ მათ უარი უნდა უთხრას...

**— გინდათ, თქვათ, რომ ასეთი ადამიანების ყოფნა ხელისუფლებაში სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის?**

**— ხელისუფლება, რომელზეც არსებობს კომპრომატები და ეს კომპრომატები აქვს უცხოურ სპეცსამსახურებს, ვერასოდეს იმოქმედებს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საფრთხეა.**

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვინმე წარმოიდგენდა, რომ „ნაცმოძრაობა“ კი არ გასამართლდებოდა, როგორც დამნაშავე რეჟიმი, არამედ ივანიშვილის ძალისხმევით სამად გაიყოფოდა, დაფინანსდებოდა და ოპოზიციური სპექტრის ფლაგმანად გამოცხადდებოდა? ეს არის სამარცხვინო ფაქტი და ჩემთვის გასაგებია, რისთვის სჭირდებოდა ივანიშვილს ამის გაკეთება. **ნეპოტიზმში ჩაძირულ, პოლიტიკურად გაბანკროტებულ ხელისუფლებას სხვა ძალა, გარდა „ნაცმოძრაობისა“, ოპონენტად ვერ გამოადგება.** სწორედ ამიტომ შემოაგდეს თავის დროზე კოაბიტაციის თემაც და ეგონათ, რომ საზოგადოება ამას ნელ-ნელა შეეგუებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა: ხელისუფლებამ არათუ ვერ აღიდგინა დაკარგული ავტორიტეტი, მისი რეიტინგი დღითიდღე ეცემა. ეს ნიშნავს, რომ ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა ამ ხელისუფლების პოლიტიკა და შემდგომ არჩევნებში იგი განწირულია კრახისთვის. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო იმ „მორწმუნე“ ამომრჩევლებს, რომლებმაც ბოლო არჩევნებში ვითომ „ნაცმოძრაობის“ არდაბრუნების მიზნით „ოცნებას“ მისცეს ხმა: **ხომ იმკით, რაც დათესეთ და, რასაც დღეს აკეთებენ ივანიშვილის ხელის ბიჭები, ხომ იმსახურებთ ამ ყველაფერს?! „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ რომ ერთი პატრონი მართავს, ძნელი მისახვედრია?** ამათ რომ ხელისუფლებას ჩააბარებ, უკეთესს რას უნდა ელოდე...

**— დავუბრუნდეთ ფარულ ჩანაწერებს, თქვენი აზრით, რა ზომები უნდა მიიღონ შესაბამისმა სამსახურებმა, რათა ხელისუფლების სათავეში არ მოექცნენ შანტაჟის ქვეშ მყოფი ადამიანები?**

— საქართველოს არ ჰყავს სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი სპეცსამსახურები. დღეს რომელიც გვყავს, უცხოეთიდან იმართება, ისინი გარედან იღებენ მითითებებს, უბრძანებენ — უნდა შეასრულონ.

**— ორგანიზაცია „ტრანსგენდერ ქალთა ცენტრში“ შესვლა და კომპიუტერული ტექნიკის ამოღებაც გარედან იყო ნაბრძანები?**

— თუკი იმ ორგანიზაციაში მართლა არსებობდა რამე ჩანაწერი, შსს-ს ეს დიდი ხნის წინათ ეცოდინებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ისეთი სიტუაცია შეიქნა, რომ ამოღება გახდა საჭირო. ამიტომაც შევიდნენ და წაიღეს, თუმცა, ვფიქრობ, ეს ჩანაწერები სხვაგანაც ინახება. ასე ოფისებში შეჭრით და ჩხრეკით მსგავს ფაილებს სათითაოდ ვერ იპოვიან, ამიტომ ვამბობ, რომ სპეცსამსახურები უნდა იდგნენ ქვეყნის სამსახურში; თუ ვინმეს რამე გადახრა აქვს და ამორალური ცხოვრებით ცხოვრობს, მისი გამოვლენა უნდა მოხდეს. იმთავითვე **უნდა გამოირიცხოს მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუდმივი შანტაჟის ქვეშ მყოფი გარყვნილი ადამიანების დანიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხალხი ყოველთვის იქნება სახელმწიფოს თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი და ყოველთვის იარსებებს საფრთხე, რომ ისინი სერიოზულ ზიანს მიაყენებენ ქვეყანას.**

აქვე მოკლედ შევეხები კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც პოლიტიკური სპექტრი ჯერჯერობით დუმს, საუბარია უცხოელებისთვის მიწების მიყიდვის კანონპროექტზე, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კიდევ უფრო თავისუფლად შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების შესყიდვა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, **თუ ეს კანონი დამტკიცდება, დამატებით მივიღებთ არაბულ, ინდურ და ჩინურ დასახლებებს. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებასაც ეს უნდა. სხვა ახსნა ამას არ აქვს, ესენი შეგნებულად ცდილობენ, ქვეყანა ხელიდან გამოგვაცალონ, ხალხი გააღატაკონ და სამშობლოდან გადახვეწონ.**

**— თქვით, რომ ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ შანტაჟის ქვეშ მყოფი ამორალური ადამიანები. არის დღეს რეალურად პოლიტიკურ სპექტრში „ქართული ოცნების“ ჩამნაცვლებელი ძალა? დასავლეთში ნელ-ნელა ნაციონალიზმი იღვიძებს, საქართველოში თუ ხედავთ მსგავს ნიშნებს?**

— ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, აუცილებლად აირეკლება საქართველოზე, მეტიც, **ტრამპის** გაპრეზიდენტებამ ამერიკაში აქ შეიძლება საბოლოოდ დაუსვას წერტილი არსამთავრობოების ბოგინს. ეს მოხდება იმის ხარჯზე, რომ მათ გადაეკეტებათ ფინანსური დახმარების არხები. არავინ გადაუხდის **ვაჟარაძეებსა** და სხვა მსგავს გადაკეთებულ ბიჭებსა თუ გოგონებს მილიონებს იმისთვის, რომ ეკლესია ლანძღონ და პატრიარქი შეურაცხყონ. თუმცა ეს პროცესი თავისთავად არ წარიმათება, ამას ხელი ჩვენც უნდა შევუწყოთ; აქედანვე უნდა გააქტიურდნენ ჯანსაღი ძალები და უნდა მოახდინონ ძირეული პოლიტიკური გარდაქმნები. ასე მოხდა ამერიკაში და იგივე პროცესები მიდის დღეს ევროპაშიც...

**— საქართველოს ხელისუფლება, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ჰილარი კლინტონს უჭერდა მხარს. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი შეიძლება თუ არა ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში?**

— საქართველოს ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, უკვე აქვს გარკვეული დაბრკოლებები ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტთან ურთიერთობაში. მას დღემდე არ ჰქონია პირდაპირი კომუნიკაცია არც ტრამპთან და არც მის გარემოცვასთან. რატომ? — იმიტომ, რომ კლინტონის დამარცხებით ცივი წყალი გადაესხათ, არ იციან, როგორ მოიქცნენ... ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ დამთავრდა **კერების, ბუშებისა** და **მაკკეინების** ლობისტების პერიოდი მსოფლიოში, ახლა სხვა ერა იწყება. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ეს არის ძალიან რთული, არახელსაყრელი მდგომარეობა და, ბუნებრივია, მათ „თეთრი სახლის“ დღევანდელ ადმინისტრაციასთან წინამორბედის მსგავსი ურთიერთობა ვერ ექნებათ, ამიტომაა აქაც შესაბამისი გარდაქმნები საჭირო და ამიტომაა შესაცვლელი არა მხოლოდ სახეები, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა გააკეთა, არამედ სახელმწიფო პოლიტიკაც. სხვანაირად საქართველო მივა პოლიტიკურ იზოლაციამდე და ეს იქნება კრახი სახელმწიფოსთვის, რომელსაც შეეწირება ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ტრამპის უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთმა წევრმა პირდაპირ განაცხადა, რომ ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამერიკის სპეცსამსახურებში სერიოზული რეორგანიზაცია დაიწყება. ეს ნიშნავს, რომ ძირფესვიანად შეიცვლება ყველაფერი — დაწყებული კადრებიდან, დამთავრებული პოლიტიკით და იმ მიდგომებით, რომლებიც წინა ადმინისტრაციას ჰქონდა. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვნად აისახება საქართველოზე და აქაც გაჩნდება შესაძლებლობა, რომ სპეცსამსახურები ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული ადამიანებით დაკომპლექტდეს.

**«პირადი ცხოვრებაა შენი ოჯახი, საძინებელი, ბოდიში და, საპირფარეშო... რომელიღაც სასტუმროში რომ მამათმავლობ და დედათმავლობ, პირადი ცხოვრება კი არა, გარყვნილება და გათახსირებაა. თანაც, ასეთი ადამიანები პარლამენტში სხედან და გაიძახიან, ამის გამავრცელებლებმა პასუხი უნდა აგონო, იმას კი არ ამბობენ, რომ ამორალურ კაცს და ქალს სახელმწიფო სამსახურში არაფერი ესაქმება, რომ არ შეიძლება, ასეთმა ადამიანებმა მართონ ქვეყანა და მიიღონ კანონები, განსაზღვრონ პოლიტიკური პრიორიტეტები და იდეოლოგია»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯარჯი ზვიადაური, უკვე წლებია, გვარგადაკეთებული — ილიას ილიადისის სახელით ჭიდაობს; ხოლო თურქეთის სახელით მოჭიდავე ბეკირ ოზლუ ჩვენი ბეთქილ შუკვანია. ის შუკვანი, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადიდან რომ გამოიქცა, „ქართული ოცნების" მხარდაჭერის გამო ნაკრებში მდევნიანო, ბიძინა ივანიშვილმა რომ შეიფარა და არჩევნების შემდეგ მისი არსებობა, უბრალოდ, დაივიწყეს. ჰოდა, წავიდა ბიჭი ბედის საძიებლად აზერბაიჯანში, ახლა კი თურქეთშია. ჯარჯი ზვიადაური კი საერთოდ ორ ტატამიში გავცვალეთ და პირველი ძიუდოისტიც გახდა, რომელმაც ბერძნებს სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური ოქრო მოუტანა.**

# პოლიციური წყობა, ანუ ჭიდაობას რა უნდა

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს ძალისმიერი სპორტის ფედერაციის გაკონტროლებას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და სწორედ ამიტომ ფედერაციის პრეზიდენტები ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იცვლებიან. თუ ცვლილება ნებით არ განხორციელდა, ლელო ძალით გააქვთ და შემდეგ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები გვესმის, გაიმარჯვა ჭიდაობის ოჯახმა, ყველა ერთად ვიქნებით და... არც ყველაა ერთად და ახალმოსულმაც იცის, რომ სათავეში მანამ იქნება, სანამ მისი მომყვანი ხელისუფლება არ წავა.**

ბოლო მაგალითი ავიღოთ. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ახალ წლამდე ცოტა ხნით ადრე გაიმართა. წესითა და რიგით, მოქმედ პრეზიდენტს, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** არაფერი უნდა დამუქრებოდა, რადგან მის ხელში ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის ოქროებიც მოვიპოვეთ, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** რიოს ოლიმპიადიდან წამოიღო ოქრო და... სწორედ ამით ფასდება პრეზიდენტის მოღვაწეობა, მაგრამ ნურას უკაცრავად — კვირკველია **გეგა გეგეშიძემ** შეცვალა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში სპორტის მიმართულებით მუშაობდა, ანუ ძალოვან სტრუქტურაში სპორტი ებარა. ისიც ვთქვათ, რომ გეგა გეგეშიძის ძმა **ვლადიმერ გეგეშიძე** კორცხელის (და არამხოლოდ) ინციდენტის ერთ-ერთი „გმირი" იყო.

და მაინც — რა ხიბლი აქვს ჭიდაობის, ძიუდოს ან რაგბის ფედერაციის პრეზიდენტობას?! ეს „ხიბლი" წინა ხელისუფლებამ დაამკვიდრა და, თუ ვინმე შეგვედავება, სახელებითა და გვარებით ვეტყვით: წინა ხელისუფლების პირობებში მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენების უმრავლესობა, ზონდერჯგუფების წარმომადგენელი იყო და მშვიდობიანი მიტინგების დარბევაში აქტიურად მონაწილეობდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თითქოს ეს ტენდენცია გაქრა, მაგრამ მოქმედ ხელისუფლებას ისე ეშინია (სხვა სახელს ვერ დავარქმევთ) იმის, რომ სპორტსმენები, შესაძლოა, კონტროლიდან გავიდნენ და სხვა მხარეს დადგნენ, რომ მაქსიმალურად ცდილობს, ისინი ჩარჩოებში მოაქციოს და ასეც არის. **მოჭიდავეები უკვე ამბობენ, რომ გეგეშიძემ ჭიდაობის ფედერაციაში დიქტატურა დაამყარა და, სამწუხაროდ, ამის შესახებ საჯაროდ არ საუბრობენ ის ვეტერანი სპორტსმენები, რომელთა მხრებზეც ყველა ქარტეხილმა გადაიარა. არ საუბრობენ იმიტომ, რომ ჭიდაობის პრეზიდიუმიდან მოიშორებენ და ულუკმაპუროდ დატოვებენ, ისე, როგორც დატოვეს, ჩვენი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ქართველი ფალავანი, ჭიდაობის მსოფლიო ლეგენდა ლევან თედიაშვილი.**

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ არაერთი ქართველი მოჭიდავე საზღვარგარეთ მიდის და ბედს იქ ეძებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ იმავე რიოს ოლიმპიადაზე, თავისუფალ ჭიდაობაში სომხეთის ნაკრებს ოთხი საგზური ჰქონდა და... ოთხივე ქართველის მოპოვებული იყო. სომხეთის ღირსება **ლევან ბერიანიძემ, გიორგი ქეთიშვილმა, ვალერი ყაზიშვილმა და ასლან კახიძემ** დაიცვეს. რუსეთის სახელით იჭიდავა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით ჩაკვეტაძემ.** ქართველებმა იჭიდავეს უკრაინის ნაკრებშიც, მაგრამ არის ერთი საინტერესო დეტალი — პოსტსაბჭოთა სივრცეში წასულ ქართველებს გვარების გადაკეთებას არ აიძულებენ, სხვა ქვეყნებში კი გვარ-სახელებს უცვლიან. **უკვე წლებია, ასე გვარგადაკეთებული — ილიას ილიადისის სახელით ჭიდაობს ჯარჯი ზვიადაური, ხოლო თურქეთის სახელით მოჭიდავე ბეკირ ოზლუ ჩვენი ბეთქილ შუკვანია. ის შუკვანი, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადიდან რომ გამოიქცა, „ქართული ოცნების" მხარდაჭერის გამო ნაკრებში მდევნიანო, ბიძინა ივანიშვილმა რომ შეიფარა და არჩევნების შემდეგ მისი არსებობა, უბრალოდ, დაივიწყეს. ჰოდა, წავიდა ბიჭი ბედის საძიებლად აზერბაიჯანში, ახლა კი თურქეთშია. ჯარჯი ზვიადაური კი საერთოდ ორ ტატამიში გავცვალეთ და პირველი ძიუდოისტიც გახდა, რომელმაც ბერძნებს სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური ოქრო მოუტანა.**

სხვათა შორის, რუსულ ჭიდაობაში ქართულ გვარებს ხშირად შეხვდებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გოგი კოღუაშვილია** და სწორედ მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის წინათ რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე შვიდი წონიდან შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა; ჩვენთან კი სერიოზულად განიხილებოდა საკითხი, მწვრთნელად უცხოელი მოგვეწვია.

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ რუსეთში ჭიდაობის სამყაროს ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად **გურამ გედეხაური** ითვლება. მსოფლიოს ჩემპიონი გედეხაური კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოდან წასვლას არ აპირებდა, 1993—94 წლებში ჭიდაობის ფედერაციასაც პრეზიდენტობდა, მაგრამ შემდეგ წასვლა აიძულეს, რუსეთში კი სიხარულით მიიღეს და ფედერაციაში მაღალი თანამდებობაც შესთავაზეს. ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ მოისურვა გედეხაურის სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მან პოლიტიკისა და სპორტის გამიჯვანის პირობა დააყენა და, რა თქმა უნდა, უარი მიიღო. უარი მიიღო ახლაც, როცა მეორედ შესთავაზეს სამშობლოში ჩამოსვლა, რადგან პოლიტიკაში ჩართვას კვლავ არ აპირებდა. გედეხაურის შვილები, სამწუხაროდ, რუსეთის სახელით ჭიდაობენ და უფროს ვაჟს მამაზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ — პატარა გედეხაურს ყველა ასაკობრივ ნაკრებში პრაქტიკულად ყველა ტიტული აქვს მოგებული.


გეგა გეგეშიძე

**მოჭიდავეები უკვე ამბობენ, რომ გეგეშიძემ ჭიდაობის ფედერაციაში დიქტატურა დაამყარა და, სამწუხაროდ, ამის შესახებ საჯაროდ არ საუბრობენ ის ვეტერანი სპორტსმენები, რომელთა მხრებზეც ყველა ქარტეხილმა გადაიარა; არ საუბრობენ იმიტომ, რომ ჭიდაობის პრეზიდიუმიდან მოიშორებენ და ულუკმაპუროდ დატოვებენ, ისე, როგორც დატოვეს, ჩვენი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ქართველი ფალავანი, ჭიდაობის მსოფლიო ლეგენდა ლევან თედიაშვილი**


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

**ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ახლა ინდოეთშია საჭიდაოდ წასული საკლუბო დონეზე. ის დღეს ყველაზე ძვირად ფასობს და ტურნირში მონაწილეობის სანაცვლოდ 70 ათასი დოლარიც ერგება, ამ თანხიდან 20 პროცენტი გადასახადებს მიაქვს, 10 პროცენტი — მწვრთნელს, დანარჩენი კი ოფიციალურად მოჭიდავისაა, მაგრამ ეს ოფიციალურად, არაოფიციალურად კი ამბობენ, რომ ვისაც არ ეზარება, ყველა წილში უზის მოჭიდავეებს და საჯილდაო ქვად ქცეული პრეზიდენტობის მიზეზი ესეც არის**

„ლეკიანობა" საქართველოში კვლავ გრძელდება. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არაერთ ნიჭიერ ბავშვს თავისთან ეპატიჟებიან და ისინიც ხშირად უარს არ ამბობენ. მიზეზი კი ის არის, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობენ, ნაკრებისკენ სვლას ვერ ახერხებენ და... ბარემ ისიც ვთქვათ, რაზეც ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ ინფორმაცია საჯაროა და, თუ დაძებნით, მოიპოვებთ. მაგალითად, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ახლა ინდოეთშია საჭიდაოდ წასული საკლუბო დონეზე. ის დღეს ყველაზე ძვირად ფასობს და ტურნირში მონაწილეობის სანაცვლოდ 70 ათასი დოლარიც ერგება, ამ თანხიდან 20 პროცენტი გადასახადებს მიაქვს, 10 პროცენტი — მწვრთნელს, დანარჩენი კი ოფიციალურად მოჭიდავისაა, მაგრამ ეს ოფიციალურად; არაოფიციალურად კი, ამბობენ, რომ ვისაც არ ეზარება, ყველა წილში უზის მოჭიდავეებს და საჯილდაო ქვად ქცეული პრეზიდენტობის მიზეზი ესეც არის. თუ სხვებს დაავიწყდა, ჩვენ გვახსოვს, რომ თავის დროზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოწერილი 90-ათასლარიანი პრემია ძიუდოს ფედერაციამ „მოტეხა", მაგრამ მერე სპორტსმენები აჯანყდნენ და ეს ყველაფერი მწვრთნელისა და ფედერაციის პრეზიდენტის გაშვება-გადადგომით დასრულდა, თუმცა... **ახლა ერთი პარლამენტარია, მეორე — ბიზნესმენი.**

ფურცელზე ყველაფერი ისეა ჩაწიკწიკებული, მტერს შეშურდება, მაგრამ ფეხბურთის დარად, რეგიონებში სპორტის ეს სახეობა მკვდარია. ბავშვები ენთუზიაზმზეც კი ვეღარ ვარჯიშობენ, რადგან კვალიფიციური მწვრთნელების ხელფასი 200-დან 300 ლარამდეა, ამ თანხისთვის კი დღედაღამ დარბაზში ყოფნა, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელია. მით უმეტეს, რომ მაგალითები იმისა, როგორ ვერ ხვდებიან ის ბიჭები ნაკრებში, რომლებიც იმსახურებენ, თვალწინ აქვთ.

**და... ძველებმა თუ არა, ახლებმა მაინც რომ ისაუბრონ ერთხელ მაინც პრობლემებზე საჯაროდ, არა?!**

**ნიკოლოზ იაშვილი**

მსოფლიო




## დონალდ ტრამპი: ნატოს პრობლემები აქვს, ნატო მოძველდა

**აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თვლის, რომ ნატოს პრობლემები აქვს და ალიანსი მოძველებული ორგანიზაციაა. ეს მან გერმანულ Bild-სა და ბრიტანულ Times-თან ინტერვიუში განაცხადა.**

„უკვე დიდი ხანია, ვამბობ, რომ ნატოს პრობლემები აქვს. ნატო მოძველდა, ვინაიდან, როგორც იცით, ეს ორგანიზაცია ბევრი წლის წინათ დაიგეგმა. წევრი ქვეყნები არ იხდიან იმ თანხას, რაც უნდა გადაიხადონ. აშშ იძულებულია, დაიცვას ეს ქვეყნები. ეს უსამართლობა აშშ-ს მიმართ", — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ამჟამად, ტრამპის თქმით, ნატოს მხოლოდ ხუთი წევრი ქვეყანა ხარჯავს თავდაცვაზე იმ თანხას, რამდენიც გადასახდელი აქვთ. **„დიდი ბრიტანეთი იხდის. სულ ხუთი ქვეყანაა, რომელიც იხდის იმას, რაც გადასახდელი აქვთ. ეს ცოტაა",** — აღნიშნა აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა.



**კალაძეს ცხვრები ხომ არ ვგონივართ, ბატონო ბიძინა, შარშან ერთს რომ ამბობდა და წელს მეორეს გვეუბნება? ხომ შეიძლება, კაცურად თქვას, ასეთი წესია, შარშან ანგარიში გაგვიწიეს რუსებმა, წელს კი ველარ მოახერხებენო, მაგრამ მაგას ერთი ადგილი უნდა... ის ადგილი, გრეჩიხიჩს რომ არ აქვს, შეურაცხმყოფელს პასუხი პირდაპირ მოსთხოვოს.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამ კალაქეს ცხვრები ხომ არ ვგონივართ, ბატონო ბიძინა, შარშან ერთს რომ ამბობდა და წელს მეორეს გვეუბნება?

## არც ის გაგიკვირდეთ, ხალხმა თქვენი ნაქები კვირიკაშვილის გინება რომ დაიწყო

**მოგესალმებით, ბატონო ბიძინა. გასულ კვირას იმდენი რამ მოხდა, აღარც კი ვიცი, საიდან დავიწყო. თანაც ვეჭვობ, რაღაცები არ გეცოდინებათ, ახალი ხე გაუყენეთ შეკვეთილის გზას და იმის მოგზაურობით იქნებოდით დაკავებული.**

ტიტის შემდეგ მაგნოლია და კიდევ ცხრა ხე უნდა გადარგოს ბატონმა ბიძინამო, — ამბობენ და, თქმა რად მინდა, ჩემი თვალით ვნახე გადაკეტილი გზა და ბორბლებზე შემდგარი მაგნოლია. რომ გითხრა, ხალხს მოსწონს და ერთი სული აქვს, შეკვეთილში დენდროლოგიური პარკი როდის გაიხსნება-მეთქი, მოგატყუებ. შიმშილის პრობლემა აქვს ხალხს, პური უნდა და არა მაგნოლია.

ისიც არ გეცოდინება, **ბოლო დღეებში თბილისში იმაზე მეტი რომ ისროლეს, ვიდრე ახალ წელს. თბილისში ახალგაზრდა კაცი მოკლეს, გორში — ბიზნესმენის ძმა და ესეც აშინებს ხალხს, შიმშილთან ერთად.** კრიმინალური შემთხვევების მატებამ დააფიქრა ყველა, მაგრამ კავშირში მგონია ეს ყველაფერი ერთმანეთთან — შიმშილი ზრდის ხოლმე, საზოგადოდ, კრიმინალს.

აი, ნაციონალების დაშლაზე მეც ბევრი ვიხალისე და ჩემმა ცხვრებმაც. **სააკაშვილი** პოლიტიკური ჯართიაო, **უგულავამ** რომ თქვა, და რომ დააყოლა,— დიქტატორიაო, რაღაცნაირად გამიხარდა. **გივი თარგამაძემ** ისიც თქვა, მიშა მთლიანად შეიცვალა, სხვანაირი გახდა, ასეთ მიშას არ ვიცნობდიო. არადა, მე ხომ ვიცი, რომ არ შეცვლილა, უბრალოდ, **მიშას შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, დიქტატორული თვისებები ხალხზე გამოევლინა და პარტიის წევრებს მიადგა, ანუ პარტიის წევრებმა და მისმა გარემოცვამ იგრძნო ის, რასაც ხალხი ცხრა წელი გრძნობდა და არ მოეწონათ. ურმის ბორბალი რომ გადაუვლის კამეჩის ფუნას (დიდია კამეჩის ფუნა ძროხისაზე) და გაყოფს, ზუსტად ასე გაიყვნენ ნაციონალები და ახლა, რაც უნდა იძახონ, უკეთესები ვართო, ერთი კამეჩისგან არიან „მოზელილები“ ყველა.** ერთი ეგაა, გამოცდილებიდან გამომდინარე, ვშიშობ, ვინმე არ გადმოვიდეს იქიდან თქვენს ბანაკში და ხელგაშლილმა არ მიიღოთ, გვაქვს მაგის პრაქტიკა და ეგეც ძალიან აბრაზებს ხალხს.

**ნიკა გვარამიას** თავში რომ ჩაარტყეს, კი გეცოდინება. გრეჩიხიჩმა გაიმეტა და მიპარვით თავი გაუტეხა. მერე თქვა თავდამსხმელმა, მათი სუფრიდან ჩემი ოჯახის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზა გავიგონე და ამიტომ ჩავარტყიო. ხომ საინტერესოა? კაცს თურმე ოჯახი შეუგინეს და იმის ერთი ადგილი არ ჰქონდა, პირდაპირ მისულიყო და პასუხი მოეთხოვა, უკნიდან მიეპარა სიბნელეში, ქურდულად... მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ვაშლი ვაშლის ხისგან შორს არ ეცემაო და მე არ გამკვირვებია...

შესაძლოა, ვინმემ, უბრალოდ, გაატარა ერთი ამბავი, მაგრამ ჩემმა ცხვრებმა კი ბღავილი ატეხეს, — ვაი, ვის დღეში ვართო. მოსამართლეებმა გასული წელი შეაფასეს, ერთმანეთს დითირამბები უძღვნეს და მერე, ყველაფერი რომ მორჩა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა **კახაბერ სოფრომაძემ** განაცხადა, ხარვეზები გვქონდა, მოსამართლეების რაოდენობა ცოტაა და ამიტომ მოქალაქეები ბოლომდე დასაბუთებულ და სრულყოფილ განაჩენს ვერ იღებდნენო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს ელიარებინოს, **მოსამართლეები სრულყოფილ და დასაბუთებულ განაჩენებს ვერ ადგენენო, პირველად შევიტყვე და, თუ რომელიმე მოსამართლეს სხვა რესტორანში მიეპარა ვინმე და სრულყოფილად და დასაბუთებულად დაამხო თავზე ღვინის გრაფინი, არ გაგიკვირდეთ.** არც ის გაგიკვირდეთ, ხალხმა თქვენი ნაქები **კვირიკაშვილის** გინება რომ დაიწყო. მთავრობის სხდომაზე პრემიერმა იმ ღამის კლუბებზე გააკეთა აქცენტი, მეც რომ არ შემიშვეს ჩემი კომბლით ამას წინათ, — აქაოდა, ქართველი ხარ და თანაც, კომბლითო. კომბლებით არიან გამოსაყრელი იქიდან ის უცხოელები, ქართველი კაცის დანახვა რომ არ უნდათ და ქალებს ეპატიჟებიან მხოლოდ. მაგრამ ამაზე პრემიერმა მთავრობის სხდომაზე კი არ უნდა ილაპარაკოს და მერე ქართველობა ამტკიცოს, არამედ მშვიდად და წყნარად უნდა გასცეს დავალება და შესაბამისმა უწყებებმა შეასრულონ.

სხვათა შორის, შარშან, „გაზპრომთან“ ხელშეკრულება რომ დაგვიმთავრდა, ახალი



ხელშეკრულების გაფორმებამდე ოპოზიციამ ერთი ამბავი ატეხა, — კაბალურ პირობებს თანხმდებიანო. მაშინ ძველი პირობებით დავრჩით და იმჟამინდელ-ამჟამინელმა ენერგეტიკის მინისტრმა **კახა კალაძემ** ამაყად განაცხადა, — იდიოტები ხომ არ გგონივართ, იმ ხელშეკრულებით წლიურად 160 მილიონით ვზარალდებოდითო. არადა, სწორედ მაშინ თქვეს ექსპერტებმა, რომ ადრე თუ გვიან იმ პირობებზე მოგვიწევს გადასვლა, რომელსაც „გაზპრომი“ გვთავაზობს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ეს პრაქტიკაა მიღებულიო. კალაძის იმჟამინდელმა ომახიანმა განცხადებამ „გაზპრომის“ შეფები, რბილად რომ ვთქვათ, გააბრაზა და ახლა სწორედ ის, მინუს 160-მილიონიანი ხელშეკრულება, გააფორმეს, კალაძე კი გვიმტკიცებს, ძალიან მაგარიაო. გვესმის, რომ სხვა გზა არ იყო, გვესმის, რომ მსოფლიოში ეს პრაქტიკაა მიღებული, მაგრამ **ამ კალაძეს ცხვრები ხომ არ ვგონივართ, ბატონო ბიძინა, შარშან ერთს რომ ამბობდა და წელს მეორეს გვეუბნება? ხომ შეიძლება, კაცურად თქვას, — ასეთი წესია, შარშან ანგარიში გაგვიწიეს რუსებმა, წელს კი ველარ მოახერხებენო, მაგრამ მაგას ერთი ადგილი უნდა... ის ადგილი, გრეჩიხიჩს რომ არ აქვს, შეურაცხმყოფელს პასუხი პირდაპირ მოსთხოვოს.**

იმის თქმა მინდოდა, **გასული წელი ყველაზე მაგარი რომ უნდა ყოფილიყო და ლამის შიმშილით რომ დავიხოცეთ. კი მეტყვით, მთავრობაში აღარ ვარო, მაგრამ პირობა თქვენ დადეთ, ბატონო ბიძინა, და, პირობას ვინც დებს, პასუხისმგებელიც ის არის.** არა, გარკვეული ნაწილისთვის მაგარიც იყო და უმაგრესიც: **34 მილიონზე მეტი პრემია დარიგებულა 22 სახელმწიფო დაწესებულებაში,** მაგრამ მათ რა ქნან, არც სამსახური რომ არ აქვთ, არც შემოსავალი და დილიდან საღამომდე პურს ნამცეცობით ჭამენ, შიმშილით რომ არ დაიხოცონ და მეორე დღეს საკვები რომ ჰქონდეთ? და კიდევ, იცით, რა მიანტერესებს: **ნახევარ მილიარდზე მეტი მოგება დარჩენიათ ბანკებს შარშან და არ შეიძლება, ბანკების შეფებს სთხოვოთ (ან მოსთხოვოთ), რომ თითომ თითო წელს დაახლოებით 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს რეგიონში, მინიქარხანა ააშენოს, 100-მდე კაცი დაასაქმოს? ასი დასაქმებული კაცი 100 კმაყოფილი ოჯახია, ბატონო ბიძინა. თანაც, ამ ბიზნესს კი არ წაართმევთ, იმისი იქნება, დარჩება, მოგებას ნახავს... თორემ ერთ დიდ ბანკად იქცა ქვეყანა და 3,5-მილიონიან სახელმწიფოში ოთხასი მილიონი ონლაინსესხი რომ არის გაცემული, გაჭირვების გამოა, თორემ არავის მოსწონს ვალი, ასე მგონია.**

და მთავარი — ქვემო ქართლის გუბერნატორმა რუსთავში პირველ დაბადებულ ბავშვს შობას საჩუქრები მიუტანა. ძალიან კარგია ეს, ყურადღება არავის აწყენს, მაგრამ იქვე ისიც თქვეს, შობას რუსთავში ხუთი ახალშობილი გაჩნდაო. ასი ათას ადამიანზე მეტი ცხოვრობს რუსთავში, ვაძოვებ ხოლმე მე მანდ ჩემს ცხვარს და მაგიტომ ვიცი. ასი ათასზე დღეში ხუთი ახალშობილი, იცით, რამდენი გამოდის? თვლას როგორ გასწავლით და, 20 ათას მოსახლეზე ერთი ბავშვია მხოლოდ... ჩემი ჭკუით, ამას განადგურების გზა ჰქვია და, თქვენ თუ სხვა სახელი იცით, მომწერეთ...

**ნახევარ მილიარდზე მეტი მოგება დარჩენიათ ბანკებს შარშან და არ შეიძლება, ბანკების შეფებს სთხოვოთ (ან მოსთხოვოთ), რომ თითომ თითო წელს დაახლოებით 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს რეგიონში, მინიქარხანა ააშენოს, 100-მდე კაცი დაასაქმოს? ასი დასაქმებული კაცი 100 კმაყოფილი ოჯახია, ბატონო ბიძინა. თანაც, ამ ბიზნესს კი არ წაართმევთ, მისი იქნება, დარჩება, მოგებას ნახავს... თორემ ერთ დიდ ბანკად იქცა ქვეყანა და 3,5-მილიონიან სახელმწიფოში ოთხასი მილიონი ონლაინსესხი რომ არის გაცემული, გაჭირვების გამოა, თორემ არავის მოსწონს ვალი**

კეთილგანწყობით,
**კომბლე**

მსოფლიო

## საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ისაუბრა

**საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ფრანსუა ფიიონი პირობას დებს, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით წარმართავს და მინიმუმამდე შეამცირებს მიგრაციას.** ოპოზიციური პარტია „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებმა ქვეყნის ყოფილი პრემიერი **ფრანსუა ფიიონი** საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დაასახელეს, პარტიის ეროვნული საბჭოს წინაშე გამოსვლისას ფიიონმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. „ჩვენი პრიორიტეტი — ეს ფრანგებია. ჩვენი პრიორიტეტი — საფრანგეთის გაუმჯობესების პროექტია“, — განაცხადა ფიიონმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამას არ შეცვლის. „მე ფრანსუა ფიიონი ვარ და არა ფრანსუა ოლანდი“, — დასძინა პოლიტიკოსმა. კონკრეტული გეგმების ჭრილში ფიიონმა რადიკალ ისლამისტებთან „შეუწყნარებელი“ ბრძოლა და „მიგრაციის მინიმუმამდე“ შემცირება ახსენა. ფიიონმა განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში საგარეო პოლიტიკაც საფრანგეთის ინტერესების გათვალისწინებით წარიმართება. ამასთანავე, პოლიტიკოსმა ხაზი გაუსვა „რუსეთთან ღია დიალოგის“ აუცილებლობას. გარდა ამისა, ფიიონმა „არმიის (საფრანგეთის) შესაძლებლობების გაძლიერების“ აუცილებლობა აღნიშნა, რამდენადაც ცივი ომისა და 2011 წლის 11 სექტემბრის „შოკის“ შემდეგ მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა. საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნები ორ ტურად გაიმართება — 2017 წლის 23 აპრილსა და 7 მაისს.

ჩეჯლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთი დაკარგულს არ მისტირის. ერთადერთს, რასაც ითხოვს, არის ის, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიები არ გადაიქცეს ნატოს ჯარების პლაცდარმად, რაც უდავოდ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ ძალთა ბალანსს. ძალთა ბალანსის დარღვევა კი ომს ნიშნავს.**



ამლეტ ჭიპაშვილი

# «შემოქმედება», რომელიც არა მხოლოდ ავტორს ჭრის თავს, არამედ ქვეყანასაც

**20 იანვარს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მსოფლიო დიდი ინტერესით ელოდება ამ დღეს, ვინაიდან, თუ ახალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო განცხადებებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, უდავოდ დიდ გარდაქმნებს უნდა ველოდოთ.**

პირველ ქვეყნად წოდებული აშშ-ის როლი აღარ იქნება ისეთი, როგორიც დღემდე იყო. შეიცვლება ამ სახელმწიფოს დამოკიდებულება სხვა ქვეყნების მიმართ, მათ შორის, მათ მიმართ, რომლებსაც დღემდე პარტნიორებად მოიხსენიებდნენ. შეიცვლება ევროკავშირთან, ნატოსთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაც. ცვლილებები იქნება რევოლუციური, ამიტომ ისევე, როგორც სხვების, ჩვენი მზერაც აშშ-ის დედაქალაქისკენ არის მიპყრობილი ჩვენთვის სასარგებლოს მოლოდინში და წამითაც არ ვფიქრობთ იმ მოსალოდნელზე, რომელზეც **დონალდ ტრამპმა** არაერთხელ მკაფიოდ განაცხადა — **რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, პოსტსაბჭოთა სივრცისადმი (სადაც ჩვენც შევდივართ) ზედაპირული დამოკიდებულება.**

ჩანს, ახალი პოლიტიკური ვექტორის გამოძერწვა მოგვიწევს და ეს ვექტორი რუსეთსა და მეზობლებს უნდა დაუკავშირდეს.

**როდესაც სხვა გზა არ გაქვს, ის უნდა აირჩიო, რომელიც შენმა წინაპარმა, და რომელმაც თავის დროზე საქართველო ფიზიკური განადგურებისგან გადაარჩინა. ეს არც ლიტონი სიტყვებია და მით უმეტეს — არც ცრუ ისტორია.**

თუ აშშ აღარ იქნება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ევროკავშირი ხომ იქნებაო, — იტყვის მავანი.

**აშშ-ში შექმნილი ახალი ვითარებიდან და ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებიდან გამომდინარე, თვით ევროკავშირს აქვს უდიდესი პრობლემები, რომლებიც არათუ ასოცირებულ წევრ საქართველოს, არამედ ევროკავშირის წევრებსაც კი კარგს არაფერს უქადის. ანალოგიური ვითარებაა ნატოს მიმართაც. პრეზიდენტი ტრამპი არ აპირებს ამ ორგანიზაციასთან დონორულ ურთიერთობას და არც იმას, რასაც აშშ მის მიმართ აკეთებდა წლების განმავლობაში.**

ევროკავშირთან ასოცირების შედეგები შეაფასა მოლდოვას ახალმა პრეზიდენტმა **იგორ დოდონმა** და ჩათვალა, რომ თითქმის ორწლიანმა „თანამშრომლობამ“ ნეგატიურის მეტი არაფერი მოუტანა მის ქვეყანას...

**არა აშშ, არა ევროკავშირი, მაშ რა? — ისმის კითხვა. პასუხი მარტივია: მეზობლები და, უპირველესად, რუსეთი, დსთ, ევრაზიული სივრცე, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია, რომელიც ესოდენ მომხიბლავად გამოიყურება ისეთი ქვეყნებისთვისაც კი, როგორიცაა თურქეთი, ისრაელი, ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და ა.შ.**

დავუშვათ, ქვეყანამ სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, შესაძლებელი იქნება მისი განხორციელება? კითხვა ლოგიკურია, ვინაიდან პრეზიდენტ **გამსახურდიადან** დაწყებული, ისეთი ანტირუსული ლანძღვა-გინებაა ატეხილი ქვეყანაში, ანტირუსი ამერიკელი სენატორი **მაკკეინიც** კი ვერ ინატრებდა.

**აშშ-ის ჰეგემონისტური პოლიტიკიდან გამომდინარე, 25-წლიანმა ანტირუსულმა ისტერიამ საქართველოში გადააგვარა ხალხის აზროვნება, დაავიწყა მას ყველა სიკეთე, რომლებიც კი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში, შეგნებულად წინ წამოწია მეორეხარისხოვანი საკითხები, ხშირად თითიდან გამოწოვილი და ერთ დროს მფარველი მართლმადიდებელი ქვეყანა და ხალხი ჩვენს დაუძინებელ მტრად გადააქცია.**

**ის, რაც საქართველოს ე.წ. დასავლეთმა დამართა, სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან გაცილებით მეტი არგუნა უკრაინელებს, როცა მოსისხლე მტრად გადაჰკიდა ერთ სისხლსა ხორცს — რუსებს.**

უკრაინელთა ტრანსფორმაცია ძვირი დაუჯდა აშშ-ს, ამერიკელთა განცხადებით, 5 მილიარდი დოლარი. არანაკლები თანხა დაიხარჯა საქართველოსა და მოლდოვას გადასაგვარებლადაც, მაგრამ მოლდოვა, როგორც იქნა, გამოფხიზლდა. ახალმა პრეზიდენტმა მუშაობის დაწყებისთანავე ევროკავშირის დროშა ჩამოახსნევინა პრეზიდენტის სასახლიდან. გამოფხიზლებული მოლდოვა რუსეთთან დამოკიდებულების კარდინალური შეცვლის მომხრეა, ცხადია, უკეთესობისკენ, ვინაიდან, მოლდოველთა აზრით (67%), მხოლოდ რუსეთს, დსთ-ს, ევრაზიულ კავშირს ძალუძს იხსნას მოლდოვა სილატაკისგან.

არადა, **მოლდოვას ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა საქართველოსთვის დასაწუნი არ არის. ეს ქვეყანა, კარგა ხანია, სარგებლობს ვიზალიბერალიზაციით, თუმცა ამან დიდი ვერაფერი შესძინა, თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყანას დახმარებას ევროკავშირის წევრი და სისხლით ნათესავი რუმინეთი უწევს. საქართველოს კი ვინ გაუწევს დახმარებას, ვინ ამოუდგება მხარში განსაცდელის ჟამს?**

ქვეყანას არ ჰყავს არც შორეული და არც ახლო მეზობელი, მონათესავე ერი. პირიქით — მეზობლებს, უპირველესად, ჩვენი მიწისკენ უჭირავთ თვალი. ისე, როგორც დიდი ერეკლეს მეფობის ჟამს, ისევ მართლმადიდებელი, თანაც მძლავრი რუსეთი თუ ჩაითვლება მონათესავედ, რაც არაერთხელ დამტკიცდა 200-წლიანი ურთიერთობისას.

ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო კარგიც და ცუდიც, რაც არ არის გასაკვირი, რადგან იშვიათად მოიძებნება ოჯახიც კი, რომლის წევრებსაც ურთიერთობის პრობლემები არ ჰქონიათ. სახელმწიფო კი ათიათასობით ოჯახისგან შედგება. მიუხედავად ამისა, სიმართლის სასწორზე შემოდებული 2 ქვეყნის ურთიერთობის ისტორია დადებითისკენ გადაიხრება. უფრო მეტიც — რომც არ იხრებოდეს, ქართველმა თავისი გონიერებით, დიპლომატიური ალღოთი და ქმედებით უნდა გადახაროს, ისე, როგორც ეს გააკეთა თავის დროზე ფინელმა ხალხმა. ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

ნაცვლად გონივრული ქცევისა, ქარაფშუტა ადამიანივით ვიქცევით. ვითომდა პატრიოტიზმით გულანთებულები ვლანძღავთ და ვაგინებთ რუს ერს; ვაღვივებთ ერთა შორის სიძულვილს, რომელიც კანონით ისჯება; აბუჩად ვიგდებთ ჩვენს კონსტიტუციას, რომელშიც (პრეამბულა) გარკვევით წერია: „განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა“. ამ „სხვა ხალხებში“ რუსი არ შედის? ან რას გვაძლევს ამ ქვეყნის ხალხისა და ხელისუფლების ლანძღვა და საკუთარი ხალხის რუსეთისთვის მიქსევა?

მსგავსი ექსპერიმენტი ცუდად გვაქვს დაცდილი, მაგრამ ვის ანაღვლებს? იმას ნამდვილად არა, ვინც ღვარძლით სავსე სტატია გამოაქვეყნა 10 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მისი სახელი და გვარი უცნობია პოლიტოლოგიისთვის — არაფრისმთქმელი (ირაკლი ბოკუჩავა). სტატია ასეა დასათაურებული — **„არა განაძლო!“.**

გადავწყვიტე, გზააბნეული კაცისთვის შემეხსენებინა, რომ ქუჩის ჭორებით შეთხზული და გაზეთში დაბეჭდილი სტატია ხელს უშლის ქვეყნის აწმყოსა და მომავალს.

მკითხველი იკითხავს — მაინც რას წერს ეს ავტორი ასეთსო?

მოგახსენებთ.

* „დადგა დრო, რომ ამიერკავკასიაში ქართველების შემოთესლილი ჭირი ქართველებმავე გავაძევოთ და ამისთვის ვიხდით კიდევაც საფასურს“, — წერს ავტორი.

კეთილი, გავაძევოთ, მაგრამ ძალა შეგვწევს ამის? **ვისი გამძლევებლები ვართ ჩვენივე მიწიდან გაძევებულები? ჩვენ ეკონომიკურმა „კეთილდღეობამ“ გაგვაძევა საკუთარი ქვეყნიდან და ბინა სხვა ქვეყნებში დაგვიდო, მათ შორის, რუსეთში, სადაც სამშობლოდან გადახვეწილი ქართველების უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს.**

* „ოსმალო-სპარსეთისგან დანაწევრებული საქართველოს ერთი ნაწილის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დებენ ტრაქტატს, რომლის თანახმად საქართველო და რუსეთი ატარებენ ერთიან საგარეო პოლიტიკას, ხოლო საქართველო ინარჩუნებს თავის შიდა მოწყობას — სამეფოს, სასამართლოს და ა.შ.“, — წერს ავტორი.

არადა, **ტრაქტატის მეოთხე არტიკულის მიხედვით, საქართველოს არ აქვს უფლება, აწარმოოს დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთკავშირები იმპერატორის წარმომადგენლებთან შეუთანხმებლად. საგარეო პოლიტიკა რუსეთის იმპერიის პრეროგატივაა და არა ქართლ-კახეთის ხელმწიფის. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთს არავითარი საგარეო ფუნქციები არ ჩამოურთმევია საქართველოსთვის, ის ტრაქტატითვე იყო განსაზღვრული.**

ავტორი გვახსენებს რუსეთის მიერ, ტრაქტატის საწინააღმდეგოდ, საქართველოს კუთხეების მიერთებას — იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, აჭარის.

დიახ! ეს მოხდა და რუსეთის ქმედებას პოზიტიურად ვერ განიხილავთ, მაგრამ **საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა საქართველო რუსეთის იმპერიის ადგილზე? ცალ-ცალკე დაუწყებდა თავზე ხელის გადასმას მეფობას მოწყურებულ ქართველობას? რამდენი მეფე ან მთავარი უნდა ყოფილიყო ციცქნა საქართველოში, რამდენთან უნდა დაედო რუსეთის იმპერიას ტრაქტატი?**

**რუსეთის შემოსვლამ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, საერთო ჯამში, უდავოდ პოზიტიურად იმოქმედა საქართველოზე. მუსლიმანური ქვეყნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების თავდასხმებისგან შეწუხებულმა ქვეყანამ ამოისუნთქა, გამრავლდა, წელში გაიმართა ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად.** ეს ტენდენცია საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არასოდეს ყოფილა ისეთი ყოველმხრივი განვითარება, როგორიც საბჭოთა პერიოდში. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის მატება რად ღირს! **1977 წელს 5 მილიონი კაცი ცხოვრობდა საქართველოში, 80 წლით ადრე კი სულ მილიონ-ნახევარი იყო. ცუდი ცხოვრება არ აუმჯობესებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს. საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონს შეადგენდა. რა მდგომარეობაა დღეს ე.წ. დამოუკიდებლად არსებობის ჟამს, ყველამ კარგად ვიცით და ყურადღებას არ გავამახვილებ.**

* „ივანე მრისხანედან მოყოლებული... არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ომი და დაპყრობაა მათი დამოკიდებულების ამოსავალი წერტილი მეზობლებთან ურთიერთობაში“, — წერს ავტორი და არაფრად აგდებს რეალობას.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს არც ერთი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის) ტერიტორია არ დაუპყრია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს, რასაც თავისი ახსნა აქვს და ეს ახსნა მარტივია, თანაც — ევროკავშირის სპეცკომისიის მიერ დამტკიცებული. მას საქართველოს აგრესია ჰქვია საკუთარ ხალხზე, რუს მშვიდობისმყოფელთა მუხანათური ლიკვიდაცია ქართველი კოლეგების მიერ, ომამდე სააკაშვილის ხელისუფლების არაერთი პროვოკაციული აქტი რუსეთის გასაშავებლად და ასე შემდეგ.**

**როდემდე უნდა დამალოს თავი ქვიშაში ამ ავტორის მსგავსმა ზოგიერთმა „პატრიოტმა“ და სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული რუსეთს გადააბრალოს? ამ კატეგორიის ხალხთან ფაქტებითაც ჭირს ლაპარაკი, რადგან მათთვის რუსეთი აპრიორი აგრესორი და დამნაშავეა. არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მძინარე ცხინვალზე გახსნილი ცეცხლი და რუსეთი ომში არ ჩაერთვებოდა. არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მედვედევ-სარკოზის შემუშავებული ხელშეკრულებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტის ამოღება (მოლაპარაკების დაწყება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსასაზღვრავად) და არ იქნებოდა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ ქვეყნებად მათი აღიარება.**

* „რუსეთი ვერასდროს ეგუებოდა და ვერც ახლა ეგუება ერთხელ დაპყრობილი მიწის დაკარგვას“, — წერს ავტორი და ავიწყდება, რომ **რუსეთმა თავისი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი, დიდი ქალაქის — ხარკოვის ჩათვლით, უკრაინას გადასცა. ეს ლენინის მმართველობის პერიოდში მოხდა. რუსეთის იმპერიის ნაწილს — ფინეთს კი დამოუკიდებლობა უბოძა. უფრო მეტიც, ხრუშჩოვის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით, იმავე უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული „უფეშქაშა“. და რომ არა დღევანდელი ფაშისტური უკრაინის მხრიდან საკუთარი მოსახლეობის ანტირუსული შევიწროება, ყირიმში არანაირი რეფერენდუმი არ ჩატარდებოდა.**

ვინც პოლიტიკაშია ჩახედული და არ არის აყოლილი დასავლურ ანტირუსულ პროპაგანდას, მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ **რუსეთი დაკარგულს არ მისტირის. ერთადერთს, რასაც ითხოვს, არის ის, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიები არ გადაიქცეს ნატოს ჯარების პლაცდარმად, რაც უდავოდ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ ძალთა ბალანსს. ძალთა ბალანსის დარღვევა კი ომს ნიშნავს.**

ავტორის „შემოქმედებაში“ კიდევ ბევრია უმადურობის, ფალსიფიკაციისა და დაყვედრების მომენტი, ორლობის ჭორიკნობის შესაფერისი. ირაკლი, ვაშა თქვენს მარჯვენას! ეს „შემოქმედება“ არა მხოლოდ ავტორს ჭრის თავს, არამედ ქვეყანასაც...

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**,
პოლიტოლოგი



**მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა ბოლო წლებში რამდენჯერ დაარღვია გაეროს წესდება, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი?! — ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაბომბა და გაანადგურა იუგოსლავია, შეიჭრა ერაყში, ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ჯგუფების გაძლიერებასა და ვითარების არევას... აშშ-მა, უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის სახით, 2001 წელს პირდაპირ თქვა უარი სსრკ-თან 1972 და 1979 წლებში დადებულ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებაზე ანტისარაკეტო სისტემათა შეზღუდვის თაობაზე (SALT-1 და SALT-2, რუსულად — OCB-1 და OCB-2), რომელიც გამორიცხავდა ატომურ სახელმწიფოთა შორის ომს. ობამას ადმინისტრაცია კი პრაქტიკულად შეუდგა ევროპაში ახალი ანტისარაკეტო სისტემის შექმნას ვითომ ირანული „საფრთხის“ გამო.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები პოსტსაბჭოთა სივრცეზე

**საქართველოში გარკვეული წრეების მხრიდან რუსეთის მიმართ ხშირად ისმის პრეტენზია, რომ ეს სახელმწიფო არ იცავს დადებულ ხელშეკრულებებს და თითქოს არ გამოუჩენია სურვილი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე მოეგვარებინა კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალში.**



ბრალდების პირველი ნაწილი იწყება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით, რომელიც რუსეთმა თურმე დაარღვია, გრძელდება 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით (რომელიც 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლით დაირღვა) და სრულდება 1990-იანი წლებით, როდესაც არ შესრულდა 1992 წლის 3 სექტემბრისა და 1993 წლის 27 ივლისის სამმხრივი შეთანხმებები აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რამაც გაგრისა და სოხუმის დაცემა გამოიწვია.

ამ ბრალდებებში ზოგი სერიოზულად განსახილველია, ზოგიც — ნაკლებად, მაგრამ სრული აბსურდია, ვივარაუდოთ, რომ რუსულ სახელმწიფოს ახასიათებს ხელშეკრულებების დარღვევა და ეს მოვლენა რუსული პოლიტიკის ექსკლუზივია. საერთაშორისო ურთიერთობებში იურიდიულ ხელშეკრულებას დიდი ძალა აქვს, მაგრამ ცნობილია, რომ „რეალპოლიტიკის“ ფარგლებში ნებისმიერი სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ცდილობს, თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს ესა თუ ის ხელშეკრულება ან, თუკი ვითარება იძლევა ამის საშუალებას, ცალმხრივად აუაროს გვერდი იურიდიულ ნორმებს და განახორციელოს თავისი ეროვნული ინტერესი, რომელიც უფრო მაღლა დგას, უფრო პრიორიტეტულია საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის სახელმწიფოსთვის, ვიდრე ნებისმიერი იურიდიული დოკუმენტი.

ამის დამადასტურებელი მაგალითები ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც ბევრი მოიპოვება რუსეთის გარეშეც. **მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა ბოლო წლებში რამდენჯერ დაარღვია გაეროს წესდება, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი?! — ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაბომბა და გაანადგურა იუგოსლავია, შეიჭრა ერაყში, ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ჯგუფების გაძლიერებას და ვითარების არევას... აშშ-მა, უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის სახით, 2001 წელს პირდაპირ თქვა უარი სსრკ-თან 1972 და 1979 წლებში დადებულ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებაზე, ანტისარაკეტო სისტემათა შეზღუდვის თაობაზე (SALT-1 და SALT-2, რუსულად — OCB-1 და OCB-2), რომელიც გამორიცხავდა ატომურ სახელმწიფოთა შორის ომს. ობამას ადმინისტრაცია კი პრაქტიკულად შეუდგა ევროპაში ახალი ანტისარაკეტო სისტემის შექმნას, ვითომ ირანული „საფრთხის“ გამო.** ამასთანავე, ამერიკამ უარი თქვა, რუსეთისთვის მიეცა გარანტია, რომ აღნიშნული ქმედებები არ იქნება მიმართული რუსეთის საწინააღმდეგოდ (სამაგიეროდ, ვაშინგტონი თვალთმაქცობას განაგრძობს და სიტყვიერად ადასტურებს, რომ რუსეთი არ არის ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის მიზანი).

რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** ჯერ კიდევ 2007 წელს მიუნხენში აღნიშნავდა, რომ დასავლეთმა რუსეთი მოატყუა და არ შეასრულა დანაპირები, რომ თავის რიგებში არ მიიღებდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მაგალითად, ბალტიისპირეთის. ამასთანავე, როდესაც რუსეთს ბრალს სდებდნენ, რომ მას სატრანზიტო გაზსადენებისა და ნავთობსადენების ახალი მარშრუტები ენერგეტიკის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენების მიზნით სჭირდება, პუტინმა ყველას შეახსენა, რომ საბჭოთა პერიოდიდან რუსეთს არც ერთი ხელშეკრულება არ დაურღვევია და ევროპა რუსული ენერგოშემცველებით შეუფერხებლად მარაგდებოდა და მარაგდება.

აქედან გამომდინარე, **ძნელია, მხოლოდ რუსეთი დაადანაშაულო მისწრაფებაში, დაარღვიოს ან გვერდი აუაროს დადებულ ხელშეკრულებებს. ეს, ელემენტარულად, წამგებიანია რუსეთის ეროვნული ინტერესისთვის.**

რაც შეეხება რუსეთის მიერ სამშვიდობო პროცესების ინიცირებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რუსეთი ამა თუ იმ ფორმით ჩართული იყო სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის შეიარაღებულ კონფლიქტებში (ყარაბაღის ომში მისი მონაწილეობის კვალი კიდევ უფრო სუსტია). რუსეთი არ ყოფილა არც ერთი ამ კონფლიქტის უშუალო მონაწილე მხარე, ეს არც ერთ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტში არ არის აღნიშნული. **საქართველომ და მოლდოვამ თვითონ მიანიჭეს რუსეთს „მშვიდობისმყოფელის“ სტატუსი აღნიშნულ რეგიონებში და რუსული სამხედრო შენაერთები იქ ლეგალურად განთავსდნენ სამშვიდობო მანდატით. ეს მდგომარეობა საქართველოში დაირღვა 2008 წელს, როდესაც გაჩაღდა საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონში და ამას რუსეთის არმიის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოკვეთა მოჰყვა ცნობილი შედეგებით.** ყოველივე ამას აღვნიშნავ, როგორც ფაქტობრივ მხარეს, ყოველგვარი შეფასების ან მინიშნების გარეშე. რუსეთი დაინტერესებული იყო, არ დაეშვა კონფლიქტების გაღვივება და დე ფაქტო ვითარება, რომელიც არც საქართველოს და არც სეპარატისტულ რეგიონებს მაინცდამაინც ხელს არ აძლევდათ, დაკონსერვებული ყოფილიყო.

**1997 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი აფხაზეთის იმჟამინდელ ლიდერ ვლადისლავ არძინბასთან ერთად თბილისში ჩამოფრინდა, ეს იყო სენსაცია — ომის დასრულებიდან, სულ რაღაც, 5 წლის შემდეგ (და ომის დაწყებიდან, 1992 წლის 14 აგვისტოდან, ზუსტად 6 წლის თავზე) საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს და დაიწყეს მოლაპარაკებები**

მაგრამ გამოავლინა კი რუსეთმა კონფლიქტების დარეგულირების სურვილი? კონსერვაცია ერთია (მაგალითად, დაგომისის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება გავიხსენოთ, რომლის ძალითაც ცეცხლი შეწყდა სამაჩაბლოში და ქართულ-ოსური კონფლიქტი დაკონსერვდა), მაგრამ სხვაა კონფლიქტის მოგვარება, საბოლოო შეთანხმების მიღწევა და შეიარაღებული შეტაკების თეორიული გამორიცხვა. ქართულ-ოსური დიალოგი 1990-იანების შუა ხანებში მიმდინარეობდა განსაკუთრებული წარმატების, მაგრამ, ასევე, დიდი პრობლემების გარეშე. გავიხსენოთ, რომ ცხინვალში შედარებით ლოიალური, ქართველებისადმი კეთილად განწყობილი ხალხი იყო ხელისუფლებაში **ლუდვიგ ჩიბიროვის** მეთაურობით. აქვე თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ, ოსებს გარდა, არ მეგულება სხვა ეთნოსი, რომელთანაც ქართველებს ამდენი შერეული ოჯახი ჰქონდეთ და ისტორიულად ასე მჭიდროდ ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი. ასეთ ხალხებს შორის კონფლიქტის წარმოშობა ორმაგი დანაშაულია...

რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზების შედარებით უფრო ხისტი პოზიცია იმთავითვე ცნობილი იყო, მაგრამ საქართველომ მიაღწია იმას, რომ 1996 წლის იანვარში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტზე საქართველოს ინიციატივითა და რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით აფხაზეთის წინააღმდეგ შემოიღეს ეკონომიკური სანქციები. ამ სანქციებმა აფხაზები ურთულეს ვითარებაში ჩააგდო, აფხაზეთის ეკონომიკა რამდენიმე წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ ვითარდებოდა. სეპარატისტული ხელისუფლება შეშფოთებული იყო საქართველოს გავლენის ზრდით. ამ ფონზე ისევ და ისევ რუსული დიპლომატიის დახმარებით მოხდა დადებითი რამ: ***1997 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი თბილისში ჩამოფრინდა აფხაზეთის იმჟამინდელ ლიდერ ვლადისლავ არძინბასთან ერთად. ეს იყო სენსაცია — ომის დასრულებიდან, სულ რაღაც, 5 წლის შემდეგ (და ომის დაწყებიდან, 1992 წლის 14 აგვისტოდან, ზუსტად 6 წლის თავზე) საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს და დაიწყეს მოლაპარაკებები.*** ამასთანავე, „პირველი ვიოლინოს“ ფუნქციას სწორედ საქართველო ასრულებდა. არძინბა არ ყოფილა მიღებული, როგორც სხვა სახელმწიფოს პრეზიდენტი, მაგრამ აფხაზთა დელეგაცია იყო მეტად წარმომადგენლობითი, თვითონ არძინბა კი — კონსტრუქციული. **აფხაზთა ლიდერმა საქართველოს ტელევიზიის საშუალებით მიმართა ქართველ ხალხს, მისი სიტყვა იყო შემრიგებლური და კეთილგანწყობილი. განსაკუთრებით საინტერესოა, არძინბას მიერ გაკეთებული კომენტარი ქართულ-აფხაზური შეხვედრის შესახებ ხელმოწერილი განცხადების შემდეგ:**

(ედუარდ შევარდნაძესთან პირისპირ მოლაპარაკება) **„ძალზე საჭირო იყო აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, ჩვენ შორის გაიმართა პრობლემათა ნაყოფიერი განხილვა, რომელმაც უაღრესად კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. (...) ადრე თუ გვიან ჩვენ აუცილებლად მოვძებნით ყველა პრობლემის გასაღებს, მათ შორის, ომისგან დაზარალებული ადამიანებისთვის ნორმალური ცხოვრების აღდგენისა და მათი საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობას“ (SIC!).**

**ევგენი პრიმაკოვი:** „რუსეთი მიდის იმ კურსით, რომ აღდგეს მშვიდობა და სტაბილურობა. რუსეთს არავითარი სხვა მიზანი არ აქვს. (...) სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ყველა საკითხში შეთანხმების მიღწევა, მაგრამ მუდმივი კონტაქტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წინსვლას ამ შეთანხმებებისკენ“.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** დაუყოვნებლივ გამოუგზავნა წერილი ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიც მხარი დაუჭირა მის მცდელობებს, კონფლიქტი დაერეგულირებინა რუსეთის დახმარებით: **„გაერომ, რომელიც უნდა დაეყრდნოს რუსეთის შემდგომ ძალისხმევას, ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს სამშვიდობო პროცესში. მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტ ელცინის 1 აგვისტოს განცხადება აფხაზეთის თაობაზე შეიცავს პრინციპებს, რომლებიც, ჩვენი შეფასებით, ჭეშმარიტი პროგრესის საფუძვლად გამოდგება“.** ამასთანავე, კლინტონი მიესალმა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, არ მოითხოვოს კონფლიქტის ზონიდან დსთ-ს სამშვიდობო ძალების გაყვანა, — იუწყებოდა შევარდნაძის პრესსამსახური... ამ დროს კი თბილისში უკვე იმყოფებოდა ამერიკელი სენატორი **მიჩ მაკკონელი,** რომელიც ასევე მიიღო პრეზიდენტმა შევარდნაძემ. მაკკონელმა მოინახულა ზუგდიდი და „ამ რეგიონის უსაფრთხოების მდგომარეობითა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებით დაინტერესდა“, — იუწყებოდა 1997 წლის 16 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკა“. შემდეგ გაზეთი განაგრძობს: „ამერიკელი სენატორის განცხადებით, იგი მხარს უჭერს აფხაზეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას, მაგრამ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს. იმისათვის, რომ აფხაზეთში დსთ სამშვიდობო ძალებად წოდებული რუსეთის შენაერთები საერთაშორისო ძალებით შეიცვალოს, საჭიროა, საქართველოს პრეზიდენტმა ამ სურვილით აშშ-ის მთავრობას მიმართოს **(sic!),** რომელიც, როგორც ირკვევა, მზად არის **(sic!),** მხარი დაუჭიროს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარების გაყვანასა და მის ნაცვლად საერთაშორისო ძალების შემოყვანას“.

**პოლიტიკურ ლექსიკონში ამგვარ რამეს პროვოკაცია ეწოდება. საბოლოოდ შევარდნაძე წამოეგო კიდეც, ამერიკელების პროვოკაციებს.**

**გულბაათ რცხილაძე**

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მსოფლიო ეწევა სიბილწის კულტივირებას და მას აძლევს ოფიციალურ საფუძველს ლგბტ საზოგადოება (ლესბოსელები, ჰომოსექსუალები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები). ეს ადამიანები უარყოფენ მორალს და ტრადიციული ოჯახის ზნეობრივ საფუძვლებს, ბოროტებას სათნოებას უწოდებენ, უკუნს — სინათლეს, სიბილწე და გარყვნილება კულტის რანგში აჰყავთ, ცოდვის გამართლებას ესთეტიკით ცდილობენ“.**

# «სოდომი» — შემაძრწუნებელი ფილმი, რომელიც განგაშის ზარებს არისხებს




**ბიბლიაში ნათქვამია, რომ საუკუნეების წინათ იქ, სადაც ახლა მკვდარი ზღვაა, მდებარეობდა ორი ქალაქი — სოდომი და გომორა. ამ ქალაქებში მდიდარი, პატივმოყვარე, ხარბი, ცოდვილი ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი უცერემონიოდ ეპყრობოდნენ მოსულებს — სცემდნენ და ართმევდნენ ქონებას, ეწეოდნენ გარყვნილებას: მამაკაცს მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, ქალს — ქალთან, ზოგიერთს კი — ბავშვებთან. დღეს ასეთებს პედოფილებს უწოდებენ... ხომ არაფერი გეცნობათ? სწორედ ასეთია ამჟამად მსოფლიო. რა დაემართათ ადამიანებს? რატომ სცოდავენ ასე ხშირად? რით არის დაკავებული ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში? რისთვის სჭირდებათ გეებს შვილები? როგორია ე.წ. ფერადი რევოლუციის თანამდევი უარყოფითი ეფექტები? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა რუსი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი არკადი მამონტოვი დოკუმენტურ ფილმში „სოდომი“.**

რეალობა, რომელიც ნაჩვენებია ფილმში, შეგაძრწუნებთ, შეგაძრწუნებთ იმიტომ, რომ რეალობაა. ფილმის შემქმნელებს არაფერი შეუთხზავთ: დაუფარავად ლაპარაკობენ ე.წ. ბოიფრენდები, რომლებმაც ბიჭუნა იშვილეს; დირექტორი კლინიკისა, რომელშიც აწარმოებენ ბავშვებს „შეკვეთით“; ფილმში ნაჩვენებია კონტეინერი-მაცივარი ემბრიონებით. ლუთერანი ჰომოსექსუალი პასტორი კი ამბობს, რომ მოციქული პავლე შეცდა, როდესაც ჰომოსექსუალიზმს ცოდვა უწოდა.

მაგრამ იქვე ისმის სხვა მოსაზრებებიც. მრავალშვილიანი ოჯახები გვიზიარებენ ოჯახური ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს. პროფესიონალი ფლორისტი ამბობს, რომ უარი თქვა, მომსახურებოდა ერთნაირსქესიანებს ქორწილში, რადგან ეს მის სინდისსა და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. თავის ისტორიას ჰყვება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჰომოსექსუალური ვნებისგან ქრისტეს რწმენამ განკურნა.

ფილმი „სოდომი“, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა და მსოფლიოში გავრცელდა, არის შოკი, ეს არის ჩხვლეტა, რომელიც საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. ფილმში ნაჩვენებია, როგორ უწევენ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას სოდომიას...

ფილმი ბევრ ადამიანზე იმოქმედებს დამთრგუნველად, რადგან მასში მართლაც საშინელებებზეა ლაპარაკი:

ადამიანის ხელოვნურ სელექციასა და ამ სფეროში მეცნიერების „მიღწევებზე“, სუროგატულ „დედობაზე“, ინფანტოფილიაზე (ახალშობილების მიმართ ძალადობაზე), ბავშვებით ვაჭრობასა და დედის შეცვლაზე „ბიოლოგიური კონტეინერით“; იმაზეც, როგორ აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტებით სამხედრო ტყვეებსა და პატიმრებს აშშ-ის საპყრობილეებსა და ამ ე.წ. მსოფლიოს ჰეგემონის (უკვე ყოფილის) კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში, უკრაინაში, ერაყში, და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გაეტეხათ ადამიანების ფსიქიკა; იმაზეც, რომ სოდომის სენი გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდებოდა მსოფლიოში.

ეს ფილმი განგაშის ზარების დარისხებაა. და არა იმიტომ, რომ პანიკა დათესოს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი რაღაცებიც ხდება. აქ სულშიჩამწვდომად ისმის პავლე მოციქულის სიტყვები: „**ნუ შეეცდებით, ღმერთს ვერ შეურაცხყოფთ, რადგან, ვინც რას დათესავს, მასვე მოიმკის**“ *(გალატ. 6;7)*.

გთავაზობთ ფილმ „სოდომის“ ტექსტურ ვერსიას:

## სოდომი, გომორა და მოლოხი

„ეს უცნაური ადგილია. აქ არ ისმის ჩიტების გალობა, ჰაერი გაჟღენთილია უცნაური კვამლით, ზღვის ფერიც უჩვეულოა — ლითონისფერი. ამ წყალსატევის სიღრმე 378 მ-ია. წყლის აორთქლებისას ჰაერში გოგირდის სუნი იგრძნობა. მკვდარ ზღვაში ყველაზე მეტი ნატრიუმის ქლორიდია, ანუ მარილი. ასეთ წყალში არაფერი ცოცხლობს, ამიტომაც უწოდებენ მას მკვდარს. ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას ათასობით წლის წინათ იყო ორი ქალაქი — სოდომი და გომორა. მცხოვრებნი იყვნენ მდიდრები და პატივმოყვარენი, უცერემონიოდ ეპყრობოდნენ მოსულებს — ართმევდნენ, რასაც მოისურვებდნენ. და კიდევ — სოდომისა და გომორას მოქალაქეებს ერთმანეთი უყვარდათ, ოღონდ უცნაური სიყვარულით: მამაკაცს — მამაკაცი, ქალს — ქალი. მოქალაქეთა შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ ადამიანებს, რომლებსაც ხასად ჰყავდათ ბავშვები — ბიჭები და გოგონები. ასეთებს დღეს პედოფილებს უწოდებენ... მაგრამ ერთხელ სოდომში ცოლსა და ქალიშვილებთან ერთად მცხოვრები მართალი ლოტის სახლში სამი ანგელოზი მივიდა. სოდომელები, როცა ეს ამბავი შეიტყვეს, ლოტის სახლთან მივიდნენ და სტუმრების გადაცემა მოითხოვეს, რათა მათზე ეძალადათ. ლოტმა მათ უთხრა: „მე და ჩემი შვილები წაგვიყვანეთ, ოღონდ სტუმრებს ხელი არ ახლოთ“, მაგრამ სოდომის მცხოვრებლებმა უკან არ დაიხიეს და სახლი ალყაში მოაქციეს. როდესაც დაბინდდა, ანგელოზებმა ლოტს უთხრეს, სოდომიდან გასულიყო. როგორც კი ლოტის ოჯახმა დატოვა ქალაქი, სოდომსა და გომორას ციდან ცეცხლის ზღვა დაატყდა. მას შემდეგ 4 ათასი წელი გავიდა, მაგრამ სისხლით გაუმაძღარი მოლოხი (მზის, ცეცხლისა და ომის ღვთაება, რომელსაც მსხვერპლად ბავშვებს სწირავდნენ — ნ. კ.), ეს დემონი, რომელიც მუცელს ადამიანების მსხვერპლით იყორავდა, ახლაც ნთქავს ახალგაზრდებსა და ბავშვებს. **მსოფლიო ეწევა სიბილწის კულტივირებას და მას აძლევს ოფიციალურ საფუძველს ლგბტ საზოგადოება (ლესბოსელები, ჰომოსექსუალები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები). ეს ადამიანები უარყოფენ მორალს და ტრადიციული ოჯახის ზნეობრივ საფუძვლებს, ბოროტებას სათნოებას უწოდებენ, უკუნს — სინათლეს, სიბილზე და გარყვნილება კულტის რანგში აჰყავთ, ცოდვის გამართლებას ესთეტიკით ცდილობენ“.**

## ცნებების აღრევა

ყველაზე საშინელი, რაც დაემართა ევროპულ ქრისტიანულ ცივილიზაციას, ეს ცნებების აღრევაა.

ამჟამად ხვთისმსახური შეიძლება იყოს ჰომოსექსუალი.

ბერლინის ევანგელისტური ეკლესიის პასტორი, ვინმე **ნილს ჰუხტჰაუზენი** თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენაა, ის ამახინჯებს წმინდა წერილის აზრს: „ლესბოსური და ჰომოსექსუალური წყვილები ღვთისგან არიან კურთხეულნი. მათი ქორწინებები ისეთივეა, როგორიც ქალსა და მამაკაცს შორის. თვით მღვდლებსა და მღვდელ ქალებსაც კი აქვთ ამის უფლება. მე თვითონ, უკვე წლებია, ჩემს ქმართან ვცხოვრობ, ჩვენი ურთიერთობა რესგისტრირებულია“.

**სოდომისა და გომორას ბიბლიური ქრესტომათიული მაგალითი, დაღუპვა ამ ორი უძველესი ქალაქისა, რომლებშიც გარყვნილები ისე ცხოვრობდნენ, როგორც დღევანდელ ევროპაში, ვერაფერში არწმუნებს ბერლინის ევანგელისტური ეკლესიის მღვდელმსახურს.**

„სოდომი და გომორა? — თუ ამ ისტორიას გადავხედავთ, იქ ლაპარაკი არ არის სიყვარულზე, თანაც სიტყვა „სიყვარული“ არც კია ნახსენები, ანუ, როგორც საპასუხისმგებლო პარტნიორობის აღმნიშვნელი. იქ ლაპარაკია გაუპატიურებაზე, შელახულია ადამიანის ღირსებები. ეს სრულიად სხვა ისტორიაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს იმასთან, რაზეც ახლა ვმსჯელობთ“, — ასეთია ევანგელისტი მღვდლის თვალსაზრისი.

**ბიბლიაში წერია, რომ მამათმავლობა ცოდვაა, მომაკვდინებელი ცოდვა. „ასეთებს ზეციურ სასუფეველში არავინ მიიღებს“, — ამბობს მოციქული პავლე.**

„ეს სისულელეა! მე კატეგორიულად არ ვეთანხმები. სამი ადგილია ახალ აღთქმაში, კიდევ არის ერთი, სადაც პავლე ამბობს ისეთ რაღაცას, რაც იესოს არასოდეს უთქვამს. იესოსგან ამის შესახებ სიტყვაც კი არ მოგვისმენია. იესო ამბობს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“... პავლე კი ერთ ადგილას ამბობს, რომ ეს კარგი არ არის, რომ ეს ცოდვაა. მაგრამ, თუ ქრისტეს სიტყვებით ვიხელმძღვანელებ, შემიძლია აქ პავლეს შევეკამათო: „ძვირფასო პავლე, შენ აქ მართალი ხარ?“ — ასკვნის ევანგელისტი მღვდელმსახური.

**დეკანოზი დიმიტრი (სმირნოვი):**

— თუკი ის უარყოფს პავლე მოციქულის სიტყვებს და ჰყოფნის თავხედობა, რომ ეს სიტყვები სხვაგვარად განმარტოს... „მცირედში სანდო დიდშიც სანდოა. და მცირედში უნდო — დიდშიც უნდო“ (ლუკა. 16; 10). უფალიც და მოციქული პავლეც გვაფრთხილებდნენ, რომ ასეთი ადამიანები გამოჩნდებოდნენ. და ისინი ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ეკლესიამ გაძლო. როგორც უნდა მოახერხონ ტვინის კომპოსტირება, ჭეშმარიტება მაინც ჭეშმარიტებაა. ადამიანები მაინც მიდიან ჭეშმარიტებამდე. რომელი რელიგიის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ისინი, ეს გარდაუვალია.



ნილს ჰუხთაუზენი — ბერლინის ევანგელისტური ეკლესიის პასტორი

## ლგბტ-მოძრაობის სიმბოლო – ცისარტყელას დროშა – 1978 წელს დაამკვიდრეს

სოდომისტები დიდ ყურადღებას უთმობენ მისტიციზმსა და სხვადასხვა სიმბოლოს. მაგალითად, ცისარტყელას ფერებიანი ჯვრით შემკულ ბიბლიაში, რომელიც ჰომოსექსუალებმა გამოსცეს ამერიკაში, სხვაგვარადაა გადმოცემული წმინდა წერილის სიტყვები. **ბიბლიაში წერია: „არ დაწვე მამაკაცთან ისე, როგორც ქალთან. ეს სიბილწეა“! გეების ბიბლიაში წერია: „არ დაწვე მამაკაცთან ისე, როგორც ქალთან მოლოხის ტაძარში“, ანუ სოდომისტები ამით ამბობენ, რომ მოლოხის ტაძარში არ შეიძლება დაკავდე პედერასტიით, ტაძრის გარეთ კი ეს დასაშვებია.**

აი კიდევ ერთი მაგალითი:

**„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი“, — წერია პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ** (თავი მეექვსე). **გეების ბიბლიაში კი ეს სიტყვები შეცვლილია ასე: „თავს ნუ მოიტყუებთ ზნეობრივად სუსტნი“.**

**სკოტ ლაივლი, იურისტი, აქტივისტი მოძრაობისა „ანტიგეი“ (აშშ):**

— ეს ღმერთის შეურაცხყოფაა. ჰომოსექსუალებისთვის წმინდა არაფერია, უკან არაფერზე დაიხევენ თავიანთი პროგრამის შესასრულებლად. ისინი ვერ იტანენ ვერანაირ ოპოზიციას, სურთ, დაამარცხონ თითოეული მოწინააღმდეგე და სული, რომელმაც შექმნა ეს გეიწიგნი, ეს გეიიდეოლოგია. ეს არის ღვთისმგმობლობა და ქრისტიანობაზე თავდასხმა“.

**ამერიკელი ჰომოსექსუალებისთვის №1 მტერი ეს ადამიანია — სკოტ ლაივლი.**

„ეს არის კულტურის დაპყრობის 5-ეტაპიანი პროცესი. ყველაფერი იწყება **ტოლერანტობით.** გეებმა, როგორც კი შეძლეს საზოგადოებისგან ტოლერანტობის მაღალი დონის მიღწევა (ტოლერანტობა კი არის უფლება, თავი დაგანებონ და პასუხი არ მოგთხოვონ), წამოაყენეს ▶




სკოტ ლაივლი — ჰომოსექსუალების დამცველი კომპანიის მთავარ შტაბთან

ბიბლიაში წერია: „არ დაწვე მამაკაცთან ისე, როგორც ქალთან. ეს სიბილწეა“! გეების ბიბლიაში წერია: „არ დაწვე მამაკაცთან ისე, როგორც ქალთან მოლოხის ტაძარში“, ანუ სოდომისტები ამბობენ, რომ მოლოხის ტაძარში არ შეიძლება დაკავდე პედერასტიით, ტაძრის გარეთ კი ეს დასაშვებია.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



გეების ქორწინების რეგისტრაცია გერმანულ მმაჩის ბიუროში

◀ მოთხოვნა **მიღებაზე, ანუ თანასწორუფლებიანობაზე**, შემდეგ მოდის **აღიარება**, ანუ ყველამ არა მხოლოდ უნდა მიიღოს ჰომოსექსუალიზმი, არამედ ხელი შეუწყოს მისი ფასეულობების წინ წაწევას; შემდეგია **იძულებითი მონაწილეობა**, ანუ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა გეიკულტურაში; დასასრულ — **სასჯელი: ყველა, ვინც არ ეთანხმება გეებს, უნდა დაისაჯოს.** რუსეთი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა, ამჟამად იმყოფება პირველ, ყველაზე დაბალ ეტაპზე, იქ საზოგადოებისგან ითხოვენ ტოლერანტობას, ამიტომ სსრკ-ის ბევრ ქვეყანაში ამას პრობლემად არ აღიქვამენ, მაგრამ პრობლემა არსებობს. **ეს ჰგავს მიწაში ჩაგდებულ თესლის მარცვალს. ეს მარცვალი არის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. სექსუალურ ორიენტაციაზე“.**

სოდომისტებისა და პედოფილების წინააღმდეგ მებრძოლმა ლაივლიმ გადაწყვიტა, დოკუმენტური ფილმის ავტორებისთვის ეჩვენებინა კომპანია, რომელიც იცავს და ავრცელებს ჰომოსექსუალიზმის იდეებს მსოფლიოში.

**„აშშ-ში გეითანამეგობრობის ნებისმიერი კრიტიკა უკვე დანაშაულია. ბევრი ამერიკელი ნეგატიურად არის განწყობილი ჰომოსექსუალიზმის მიმართ, მაგრამ ამის შესახებ საჯაროდ საუბრის ეშინია, რადგან გეებს იმდენი ძალაუფლება აქვთ, რომ შეიძლება დააზარალონ. ბევრმა იცის, რომ, თუ ამის შესახებ საჯაროდ ილაპარაკებ, მოგძებნიან და დაგსჯიან. ამის ბევრ ადამიანს ეშინია, განსაკუთრებით მათ, ვინც ხელისუფლებაშია ან გავლენიან კომპანიაში მუშაობს. თუ იტყვიან, რომ ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგი არიან, დაუსჯელი არ დარჩებიან, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა, უბრალოდ, დუმს.** აი ახლა ჩვენ ვართ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის (Human Rights Campaing) მთავარ შტაბთან, ჰომოსექსუალების ერთ-ერთ აგრესიულ დამცველთან.

ადამიანის უფლებების დამცველ ამ კომპანიას სურს ისეთი ამერიკა, რომელშიც ლესბოსელებსა და ჰომოსექსუალებს ექნებათ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და სამსახურსა თუ საზოგადოებაში ისინი თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ. სრულიად მსოფლიოში გრძელდება ადამიანის უფლებების დარღვევა — კლავენ, შეურაცხყოფენ ადამიანებს, რომლებიც იძულებულნი არიან, გაიქცნენ სამშობლოდან, გადაკვეთონ საზღვარი, იცხოვრონ ლტოლვილთა ბანაკებში. ეს ორგანიზაცია კი იმის ნაცვლად, რომ ასეთ ადამიანებს, მათ რეალურ საჭიროებებს მიაპყროს ყურადღება, ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ ჰომოსექსუალიზმი ადამიანის უფლებაა. ისინი კოლოსალურ თანხას ხარჯავენ ამ პროგრამის განსახორციელებლად მსოფლიოში, იმის ნაცვლად, რომ დაიცვან ადამიანის ნამდვილი უფლებები“, — ამბობს სკოტ ლაივლი.

## გერმანია. ჩვეულებრივი გერმანული მმაჩის ბიურო (STANDE SAMT)

მმაჩის ბიუროს ხელმძღვანელი **გორდონ ჰოლანდი** მიმართავს გეიწყვილს: „ძვირფასო მეგობრებო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტემპელჰოფ-შიონებერგის მმაჩის ბიუროში. გაზაფხულის ამ მზიან და მშვენიერ დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ განსაკუთრებული საბაბის გამო — თქვენ გსურთ, ერთმანეთთან კავშირი გააფორმოთ. ვიმედოვნებ, ჩემმა კოლეგებმა სრულად გაგაცნეს ინფორმაცია გვარის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ. თქვენ გადაწყვიტეთ, თქვენი პარტნიორობისთვის აიღოთ გვარი **ლუკაზელსკი** და მე ვალდებული ვარ, შეგეკითხოთ: ხომ არ გადაიფიქრეთ?

ისმის გეიწყვილის პასუხი: „არა!“ და მათი ნათესავებისა და ახლობლების აპლოდისმენტები.

ფილმის ავტორი ეკითხება გორდონ ჰოლანდს: „ამ მმაჩის ბიუროს კედელზე ტრადიციული ოჯახების ფოტოები კიდია. იმხანად შეიძლებოდა თუ არა, რომ სხვა ტრადიციული ორიენტაციის ადამიანები დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც ოჯახი?“

გორდონ ჰოლანდი: „ამას, ალბათ, ვერ წარმოიდგენდნენ. თუ ჩემს მშობლებს შევეკითხებოდი, ისინი კი სწორედ იმ პერიოდში ცხოვრობდნენ, მიპასუხებდნენ, რომ ეს მათთვის წარმოუდგენელია. დღეს კი ეს ჩვენთვის სრულიად მისაღებია“.

ამ მმაჩის კედლებზე მალე აღარ იქნება ტრადიციული ოჯახების ფოტოები. იქნება სხვა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ნიკა კორინთელი**

# «დღე უშარვლოდ»

**ლონდონში გაიმართა ყოველწლიური ფლეშმობი „მეტროპოლიტენში უშარვლოდ“. მისი მონაწილეები მეტროპოლიტენში ქვედა საცვლების ამარა ჩავიდნენ.**



ფლეშმობის მონაწილეები ერთმანეთს ლონდონის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურში შეხვდნენ და დაიწყეს თავიანთი მარშრუტი. გამვლელები ირონიით შეჰყურებდნენ ნახევრადშიშველ ადამიანებს, რომლებმაც, სიცივის მიუხედავად, გადაწყვიტეს, გაეხადათ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ყოველწლიურ ფლეშმობში.

ანალოგიური ფლეშმობი გაიმართა ნიუ იორკსა და ბერლინში. მსგავსი აქცია პირველად 2002 წელს ნიუ იორკში გაიმართა, შემდეგ კი გავრცელდა ევროპის 60 ქვეყანაში.











# სქესშეცვლილმა ბრიტანელმა განაცხადა, რომ ორსულადაა




**20 წლის ბრიტანელმა ჰაიდენ კროსმა, რომელმაც სქესი შეიცვალა და მამაკაცად გადაიქცა, განაცხადა, რომ ორსულადაა, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Mirror-ი.**

ჰაიდენი ამბობს, რომ ქვეყანაში პირველი მამაკაცია, რომელიც დაორსულდა. გამოცემა განმარტავს, რომ კროსი ფიზიოლოგიურად ჯერ კიდევ ქალია და ამიტომ დაფეხმძიმდა. ის ახლა 4 თვის ფეხმძიმეა. კროსი მარტოხელა მშობელი იქნება, რადგან ბავშვი ჩაისახა სპერმის დონორისგან, რომელიც მან სოციალური ქსელის მეშვეობით იპოვა.

ჰაიდენ კროსი 17 წლის იყო, როცა სქესის შეცვლა გადაწყვიტა და 3 წლის განმავლობაში აუცილებელ ჰორმონულ პრეპარატებს იღებდა.

შეიცვალა პასპორტიც, რომელშიც მითითებულია მისი ახალი გენდერული კუთვნილება, თუმცა დაამუხრუჭა სქესის შეცვლის პროცესი, რადგან გააცნობიერა, რომ ბავშვის გაჩენა სურდა. მისი თქმით, ბავშვის გაჩენის შემდეგ დაასრულებს სქესის შეცვლის პროცესს — მოიკვეთს მკერდსა და საკვერცხეებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონში ბევრი არ არის დაინტერესებული შედეგების მიხედვით აშშ-ის „ლიდერობის“ შეფასებით, ურჩევნიათ, ის მათი ზრახვების მიხედვით განსაჯონ. მიჩვეულნი არიან იმაზე ფიქრს, რომ ჩვენი „ლიდერობა“ — ეს არის სწორი და საჭირო რამ, აუცილებელი მსოფლიო წესრიგის მხარდასაჭერად. შეიმჩნევა უდიდესი წინააღმდეგობა და სურვილის უქონლობა იმ მტკიცებულებების აღიარებისა, რომ აშშ-ის მოქმედებები ხშირად ძირს უთხრის საერთაშორისო სამართლის ნორმებს და აზიანებს ბევრ ქვეყანას.**




**The American Conservative:**

# ამერიკული «ლიდერობის» კულტი საერთაშორისო წესრიგს ემუქრება

**ამერიკული გამოცემის აზრით, ვაშინგტონს კარგა ხნის წინათ უნდა ელიარებინა, რომ საერთაშორისო არენაზე ყოვლისშემძლე არ არის.**

ზოგჯერ ღირს დასაფიქრებლად, რა ხეირი ნახა აშშ-მა თავისი სავარაუდო „ლიდერობისგან“ დიდ ახლო აღმოსავლეთში. **აშშ-ის „ლიდერობის“ წყალობით ერაყი გადაიქცა სასაფლაოდ, ლიბია და მისი ზოგი მეზობელი აღმოჩნდა დესტაბილიზებული, ხოლო იემენი ამჟამად საუდელებისა და ჩვენ მიერ მხარდაჭერილი მათი მოკავშირეების მოქმედებების შედეგად შიმშილით კვდება. ბოლო 15 წლის განმავლობაში ის ქვეყნები და რეგიონები, რომლებსაც აშშ „ეხმარებოდა“, უფრო მეტად გადაიქცა ძალადობისა და ქაოსის ადგილებად, ვიდრე ადრე იყო, სანამ ჩვენი „ლიდერობის“ სიკეთით ისარგებლებდნენ.** არანაირი რწმუნებულება არ არსებობს იმისა, რომ სხვებს ეს უკეთ გამოუვიდოდათ, მაგრამ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთი მეორეზე მიყოლებული მნიშვნელოვანი მარცხის შემდეგ კიდევ ვინ იფიქრებს, რომ ამერიკის „ლიდერობაზე“ დაყრდნობა სწორი არჩევანია მათთვისაც და ჩვენთვისაც?

უბედურება არის ის, რომ ვაშინგტონში ბევრი არ არის დაინტერესებული შედეგების მიხედვით აშშ-ის „ლიდერობის“ შეფასებით, ურჩევნიათ, ის მათი ზრახვების მიხედვით განსაჯონ. მიჩვეულნი არიან იმაზე ფიქრს, რომ ჩვენი „ლიდერობა“ — ეს არის სწორი და საჭირო რამ, აუცილებელი მსოფლიო წესრიგის მხარდასაჭერად. შეიმჩნევა უდიდესი წინააღმდეგობა და სურვილის უქონლობა იმ მტკიცებულებების აღიარებისა, რომ აშშ-ის მოქმედებები ხშირად ძირს უთხრის საერთაშორისო სამართლის ნორმებს და აზიანებს მრავალ ქვეყანას. ვაშინგტონში არსებობს კონსენსუსი, რომლის ფარგლებშიც მიღებულია, ჩათვალო, რომ სამოქალაქო ომი სირიაში გაჭიანურდა, უპირველესად, ამერიკული „ლიდერობის“ უკმარისობის გამო. ობამას საყვედურობდნენ, რომ ის არ გამოხატავდა კონფლიქტში აშშ-ის ჩარევის გაზრდის სურვილს, თუმცა არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ზედმეტი „ლიდერობა“ გააუმჯობესებდა სიტუაციას. პირიქით — გაამძაფრებდა კიდეც.

როგორც კი მიხვდებით, რომ ასე ბრმად არ უნდა გწამდეთ ამერიკის „ლიდერობის“, თქვენთვის გაცილებით ადვილი მისაღები იქნება ის ფაქტი, რომ არსებობს საერთაშორისო პრობლემები, რომლების გადაჭრაც აშშ-ს არ შეუძლია, მეტიც, არც კი უნდა ეცადოს მათ მოგვარებას.

# «СУ-27»-მა ბალტიის თავზე აშშ-ის სადაზვერვო თვითმფრინავს გზა მოუჭრა



**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავი RC-135W-ი, რომელიც სპეციალიზებულია რადიოელექტრონულ დაზვერვაზე, დიდხანს იყო კალინინგრადის ოლქის საზღვრებთან.**

თვითმფრინავი, რომლის ნომერია 62-4138, ბრიტანეთის ავიაბაზა „მილდენჰოლიდან“ გამოფრინდა. გადალახა რა ნიდერლანდების, გერმანიისა და პოლონეთის საჰაერო სივრცე, მიუახლოვდა კალინინგრადის ოლქის საზღვრებს. აქ RC-135W-ი 9,7 ათას მეტრის სიმაღლეზე რადიოტექნიკურ დაზვერვას აწარმოებდა. ამერიკული მზვერავი თვითმფრინავისთვის გზის მოსაჭრელად კი კალინინგრადის ოლქის ავიაბაზიდან რუსული მოიერიშე Су-27-ები აფრინდნენ.

ამ მეოთხე თაობის მრავალფუნქციური მოიერიშე თვითმფრინავის შექმნაზე რუსებმა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს მუშაობა და ეს იყო საპასუხო ნაბიჯი ამერიკის F-15 Eagle-ზე. ოფიციალურად ის 1990 წლის 23 აგვისტოს მიიღეს შეიარაღებაში. თვითმფრინავი გამოირჩევა მაღალი მანევრირებით. სწორედ ამ საჰაერო აპარატით იყო დემონსტრირებული უმაღლესი პილოტაჟის ახალი ფიგურა „კობრა“ (დინამიკური მუხრუჭი).

**ლაზერული მანძილმზომი და სითბოს დამჭერი მოწყობილობა Су-27-ის პილოტს საშუალებას აძლევს, ეძებოს და აღმოაჩინოს მოწინააღმდეგე ფარულ რეჟიმში, საბორტო რადიოსალოკაციო სადგურის ჩაურთველად და თავის გაუმჟღავნებლად. თვითმფრინავი შეიარაღებულია საშუალო და მცირე სიშორის „ჰაერი-ჰაერი“ რაკეტებით — P-73-ითა და P-27-ით, ასევე საშუალო სიშორის რაკეტა P-77-ით.**



**The American Spectator:**

# მერკელი ყველაზე ცუდი მეორე კანცლერია გერმანიის ომისშემდგომ ისტორიაში

**გამოცემის აზრით, გერმანიის ლიდერის ბოლო წარუმატებლობები „საშინელი მასშტაბების ტრაგედიაა“.**

1949 წლიდან დღემდე გერმანიამ რვა კანცლერი აირჩია. მათგან 6 გერმანული ინტერესების გამტარებელი იყო, მაგრამ მათ რიცხვს ანგელა მერკელი არ ეკუთვნის.

მერკელი კარგი ადამიანია, მაგრამ — წარუმატებელი.

გერმანიის, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილის წინაშე, ოთხი ძირითადი საშინაო პრობლემაა:

**1. სახელმწიფო კეთილდღეობის არასტაბილურობა;**

**2. შობადობის დაბალი მაჩვენებელი;**

**3.დიდი და მზარდი მუსლიმანური მოსახლეობა, რომელიც არ ადაპტირდება დასავლურ ფასეულობებთან;**

**4. მშიშარა პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომელსაც იმის აღიარებაც კი არ შეუძლია, რომ ეს პრობლემები ევროპას შიგნიდან ანგრევს.**

გერმანიისთვის ჯერ კიდევ არ არის გვიან, შეცვალოს სიტუაცია. 1945 წელს მისი პრობლემები დღევანდელზე გაცილებით უარესი იყო — გერმანია გაჩანაგებული ქვეყანა გახლდათ. კანცლერმა **კონრად ადენაუერმა** (1949—1963წწ) და მისმა უშუალო მემკვიდრემ, კანცლერმა **ლუდვიგ ერჰარდმა** (1963—1966წწ) შექმნეს გერმანული „ეკონომიკური საოცრება“ — ომის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ გერმანიის ეკონომიკას მთელი ევროპა შურით უმზერდა.



მსგავსი წარმატებებით ტრაბახი შეუძლია მერკელს? მაგალითად, მერკელის იმიგრაციულმა პოლიტიკამ გერმანია იქამდე მიიყვანა, რომ 2015 წელს ქვეყანაში 1,1 მილიონი დევნილი შევიდა. 2010 წელს მერკელმა აღიარა, რომ მულტიკულტურიზმი „სრულიად არ შედგა“, მიუხედავად ამისა, ის კვლავ მიიჩნევს, რომ გერმანული საიმიგრაციო კანონების გამკაცრების შემთხვევაში „კომპანიები სამუშაო ძალის საძებნელად სხვაგან წავლენ“.

ბოლოს და ბოლოს, **თუკი გერმანია ვერ შეძლებს ლტოლვილთა ასიმილირებას, მისი უსაფრთხოება და დემოგრაფიული მაჩვენებლები მხოლოდ გაუარესდება:**

*რაც შეეხება უსაფრთხოებას, 2016 წელს გერმანიის ტერიტორიაზე 6 ტერაქტი მოხდა;

* დემოგრაფიის მხრივ კი ირკვევა, რომ გერმანიაში ლტოლვილთა მასობრივ შემოსვლამდე ქვეყანაში დაბადებულ ბავშვთა მესამედი იმიგრანტებზე მოდიოდა.

იმიგრაცია — ეს არის ერთადერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის მატება, მაგრამ ამანაც ვერ შეძლო ბოლო წლებში მოსახლეობის რაოდენობის შემცირების შეჩერება. გერმანელები დიდხანს ცოცხლობენ და ცოტა შვილი ჰყავთ. გერმანიის ხელისუფლება უძლური იქნება, შეინარჩუნოს სახელმწიფო კეთილდღეობა საკმარისი ეკონომიკური ზრდისა და იმ იმიგრანტების რაოდენობის ზრდის გარეშე, რომლებიც დასავლურ ფასეულობებს იზიარებენ. იმიგრაციასთან ერთად, პოლიტკორექტულობით ასევე დაინფიცირდა მერკელის საშინაო პოლიტიკა. გერმანიას ჰყავდა ლიდერები, რომლებიც გაცილებით კვალიფიციურნი იყვნენ, როცა საქმე საგარეო პოლიტიკას ეხებოდა. მაგალითად, კანცლერმა **ვილი ბრანდტმა** (1969—1974წწ) ნობელის პრემია მიიღო იმ მოლაპარაკებებზე ხელის მოწერისთვის, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიასთან, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა.

მისგან განსხვავებით, **მერკელმა ბრიყვულად დაასუსტა რუსეთზე გერმანიის ზემოქმედების ბერკეტები მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა, ეტაპობრივად უარი ეთქვა გერმანულ ატომურ ელექტროსადგურებზე**. შედეგად გერმანია უფრო დამოკიდებული გახდა რუსულ ბუნებრივ აირზე. გერმანიის ბოლო ორი კანცლერი, უბრალოდ, საშინელი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. **გერჰარდ შრედერი** (1998—2005წწ) ომისშემდგომ ერთადერთი კანცლერია, რომელიც მერკელზე უარესია. მერკელმა პოლიტკორექტულობა გერმანიის ინტერესებზე მაღლა დააყენა, მაშინ, როცა შრედერმა ქვეყნის ფინანსებზე მეტად თავის ფინანსებს მიანიჭა უპირატესობა.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში გერმანელები უდიდეს ლიდერებს ირჩევდნენ. სწორედ ამის გამო წარმოჩნდა ანგელა მერკელის წარუმატებლობები მსოფლიოს წინაშე საშინელი მასშტაბის ტრაგედიად.

**მერკელმა ბრიყვულად დაასუსტა რუსეთზე გერმანიის ზემოქმედების ბერკეტები მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა, ეტაპობრივად უარი ეთქვა გერმანულ ატომურ ელექტროსადგურებზე**

## იმპერიების მონატრებას, სევდიან მზერას წარსულისკენ ამწვავებს ცვლილებები, რომლებიც ზემოქმედებს ძალთა გლობალურ ბალანსზე. ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება თანდათან ინაცვლებს დასავლეთიდან აზიისკენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**Natural News:**

# ობამას ადმინისტრაციის პერიოდში რეგულარულად შიმშილობდა თითქმის 19 მლნ ადამიანი



**Natural News ხაზს უსვამს ობამას ადმინისტრაციის უუნარობას ამერიკელთა აქტუალური პრობლემების მოგვარებაში.**

2009 წელს აშშ-ის მოსახლეობის თითქმის 11%-მა მიიღო კვების ტალონები, რომლებიც გაიცემოდა ინვალიდებსა და მათზე, ვისაც დაბალი შემოსავალი ჰქონდა. დამატებითი სასურსათო დახმარების პროგრამა SNAP-ში ქვეყნის 300 მლნ მოსახლეობიდან 33 მლნ მონაწილეობდა. 2016 წელს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ პროგრამაში, 44 მლნ-ით გაიზარდა, რაც 32%-ით მეტია 2009 წლის მაჩვენებელზე. ობამას ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ამერიკაში უმუშევრობა 2009 წელს 10%-ით შემცირდა, ხოლო 2016 წელს კიდევ — 5%-ით.

ჩნდება კითხვები: **მაშინ ამდენ ადამიანს რატომ სჭირდება დახმარება? თუკი შრომის ბაზარი, ობამას მტკიცებით, იზრდება, რატომაა, რომ სულ უფრო მეტ ადამიანს ესაჭიროება სახელმწიფოს დახმარება?**

ამასთანავე, დახმარების აღების უფლების მქონეთაგან SNAP-ის დახმარებით 2009 წელს მხოლოდ 75%-მა ისარგებლა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ წელს SNAP-ის ფარგლებში დახმარება არ მიუღია 11 მლნ ადამიანს. ამჟამად ქვეყანაში მოსახლეობის ზრდას თუ გავითვალისწინებთ, ობამას ადმინისტრაციის პერიოდში რეგულარულად შიმშილობდა თითქმის 19 მლნ ადამიანი. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ პრეზიდენტმა ობამამ და მისმა ადმინისტრაციამ ვერ შეძლეს აშშ-ის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება.



**Daily Mail:**

# ახალი რუსული რაკეტა — დასავლეთის თავის ტკივილი

**რუსეთმა ახალი რაკეტა შექმნა, რათა დასავლეთს გაუსწროს.**

**რუსმა სამხედრო სპეციალისტებმა შექმნეს ზებგერითი რაკეტა, რომელსაც 13 წუთში შეუძლია დიდ ბრიტანეთამდე მიაღწიოს. გაზეთი Daily Mail-ი იუწყება, რომ „ობიექტი 4204“ რამდენიმე ათას მილზე გაუშვეს ბაზა „იასნიდან“ შორეულ აღმოსავლეთში, კამჩატკამდე. კრემლში განაცხადეს, რომ გაშვება წარმატებული იყო.**

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ რაკეტას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკული სისტემა ვერ გააკონტროლებს, რადგანაც ის ისეთ მაღალ სიჩქარეს ავითარებს, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია მისი გამოჭერა.

**ამ ახალ სარაკეტო აღჭურვილობასთან შედარებით ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბი „ბავშვების სათამაშოა“.**

### რაკეტა „სარმატი“

**ახლახან გაირკვა, რომ ძალიან მალე რუსეთში გამოჩნდება მძლავრი ბირთვული რაკეტები, რომლებსაც შეეძლება საფრანგეთის ან ტეხასის ოდენა ტერიტორიის განადგურება. აშშ-ის დასავლეთ სანაპირომდე ისინი 12 წუთში მიფრინდებიან. რაკეტები მზად იქნება 2018 წლისთვის.**

რაკეტა „PC-28“-ს წამში შეუძლია 4,3 მილი (7კმ) სიჩქარე განავითაროს და გამიზნულია, რაკეტსაწინააღმდეგო ფარის როლი შეასრულოს. მას შეუძლია გადაიტანოს 40 მეგატონამდე ქობინები — თითქმის ორი ათასჯერ მძლავრი ატომურ ბომბზე, რომელიც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოაგდეს 1945 წელს.

ცნობილია, რომ ამ რაკეტების სერიული წარმოება იგეგმება ძველი მოდელის — „CC-18“-ის საფუძველზე. „რაკეტების კონსტრუირების ცენტრის“ ელექტრონულ ვებგვერდზე გავრცელებული ფოტოებისა და ხელისუფლების განცხადების მიხედვით, რაკეტა „სარმატს“ შეუძლია 16 ბირთვული ქობინის გადატანა.

საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ЯPC PC-24 წითელ მოედანზე გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე გამოჩნდა. 6213 მილის (10 ათასი კმ) სიშორეზე მოქმედი რაკეტები მოსკოვს საშუალებას მისცემს, თავს დაესხას ლონდონს და სხვა ევროპულ ქალაქებს, ასევე მიაღწიოს აშშ-ის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებამდე.

### ძველი იარაღი

სამხედრო ექსპერტი **იგორ სუტიაგინი** ამბობს: „რაკეტა „CC-18“, 30 წლიწადია, მუშავდება და უკვე მისი გაყიდვის დრო იგეგმება“. თუკი ნატოსა და რუსეთის ურთიერთობაც მოგვარდება, რაკეტების მოდერნიზების სურვილი არ დაიკარგება და პუტინი მოხარული იქნება, ხაზგასმით ისაუბროს ამ სამუშაოს შედეგებზე. სუტიაგინმა ისიც დასძინა, რომ „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისთვის ძნელია, აღმოაჩინოს რაკეტა არამხოლოდ მისი სიჩქარის, არამედ მისი რთული ტრაექტორიის გამოც“.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო „PC-28“-ის დასრულებას 2018 წლისთვის გეგმავს, ხოლო „CC-18“-ის უკანასკნელ ნიმუშს 2020 წლისთვის მოიშორებს.

ჩვენ უკვე ვიყავით მოწმე რუსეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობისა, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **ტერეზა მეიმ** გააკრიტიკა **პუტინი** სირიის კრიზისის რეგულირებაში დასავლეთის ძალების მონაწილეობაზე უარის თქმისთვის.

### ადგილობრივი წარმოება

იგორ სუტიაგინი, ასევე, ამბობს, რომ რუსული რაკეტები „CC-18“ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა დნეპროპეტროვსკის ქარხანაში - 1988 წელს. სარაკეტო კომპლექსი „PC-28“ მუშავდება ხრუნიჩევის სახელობის ქარხანაში.



**Le Figaro:**

# ეროვნულ მიზნებზე ფოკუსირებული პოლიტიკა

**ნაციონალიზმის ნოსტალგია ყველა კონტინენტზე ყვავის, — წერს Le Figaro-ს მიმომხილველი იზაბელ ლასერი.**

ვლადიმერ პუტინი პირობას იძლევა, რომ „რუსეთს ძველ დიდებას დაუბრუნებს“. ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს სურს, თავის ხალხს „დიდი განახლება“ შესთავაზოს. უნგრეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი თავის გამოსვლებში ხშირად იხსენებს „დიდ უნგრეთს“, ჯერაც დაუნგრეველს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ტრიანონის მოლაპარაკების შედეგად. რეჯეფ თაიფ ერდოღანი ოსმალური იმპერიის დიდებას აღორძინებს, ხოლო დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის ლოზუნგი ისეთივე იყო, როგორც რუსეთის პრეზიდენტისა — „აქციოს ამერიკა კვლავ უძლიერესად“.

ყველა კონტინენტზე ყვავის ნოსტალგია ნაციონალურ პატრიოტიზმისა. აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით წარსულის პატრიოტული მოწონებები, ეროვნული დიდების აღდგენის სურვილი სულ უფრო ჯიუტად გაისმის. **ირანი** აცოცხლებს თავის იმპერიულ წარსულს და ახლო აღმოსავლეთში თავდაჯერებით მოქმედებს. ქვეყანა „იქცა იმპერიად, რომელსაც ის წარმოადგენდა ისტორიის მანძილზე“, — სიამოვნებით აღნიშნა ერთ-ერთმა ყოფილმა პრემიერმინისტრმა.

**ინდოეთში** ხელისუფლების მეთაური **ნარენდრა მოდი** სულ უფრო ხშირად იხსენებს დიდებულ ინდუსტურ წარსულს. მისი იაპონელი კოლეგა **სინძო აბე** ნაციონალური გამოცოცხლების პირობას დებს. მისთვის საუკეთესო მაგალითის მიმცემია **მეიძი**, რომელმაც XIX საუკუნეში იაპონია დომინანტად აქცია კონტინენტზე. ბრექსიტიც კი იჟღინთება წარსულის მონატრებით, რადგან „ბრიტანული გლობალიზმის“ გაგება აბრუნებს იმ ეპოქაში, როცა დიდი ბრიტანეთი იყო გაბატონებული მსოფლიო პოლიტიკური ძალა — იმპერია, რომელიც თავისი აყვავების პიკზე ყველა კონტინენტზე ბატონობდა.

ამის უამრავი მიზეზი არსებობს. უპირველესად, საუბარია მონატრებაზე, რომლის დროსაც მსოფლიო იქცევა ხოლმე ერთ სოფლად: საზღვრები უქმდება, ჩნდებიან მიგრანტები და იწყება ფინანსური კრიზისები.

ამ მკაცრ ცვლილებებთან შეჯახებისას ბევრმა ქვეყანამ სცადა სტაბილური წარსულის გაცოცხლება, თუმცა ნაკლებად გაურკვეველი, მაგრამ უფრო ერთგვაროვანი და ნაციაზე ფოკუსირებული.

იმპერიების მონატრებას, სევდიან მზერას წარსულისკენ ამწვავებს ცვლილებები, რომლებიც ზემოქმედებს ძალთა გლობალურ ბალანსზე. ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება თანდათან ინაცვლებს დასავლეთიდან აზიისკენ.

აშშ-ში მსგავსმა თანდათანობითმა დინებამ **ობამა** აიძულა, დაეჩქარებინა ამერიკის „გამოსვლა“ მსოფლიო გლობალური კრიზისებიდან. მეორე მხრივ, სწორედ ეს პოლიტიკა ამოძრავებს დონალდ ტრამპს, როცა ამერიკას ძველი დიდების აღდგენას ჰპირდება. **ჩინეთსა** და ინდოეთში ხელისუფლებების შეცვლა პოლიტიკოსებს კულტურული და ეროვნული დიდების აღდგენის შესაძლებლობას აძლევს, რომელიც დასავლური იმპერიალიზმის ეპოქაში ჩრდილში იყო. აშშ-ის უმოქმედობა ახლო აღმოსავლეთში სამხედრო და პოლიტიკურ ინვესტირებას აიძულებს რუსეთს, ირანსა და თურქეთს.

სწორედ **დაპყრობილი ან გამქრალი იმპერიების შთამომავლები აპირებენ რევანშის აღებას დასავლეთში, „დამცირების“ ჩამორეცხვას, რომელიც, მათი აზრით, თან სდევდა ოსმალეთის იმპერიას, სსრ კავშირის დაშლასა და დასავლეთის ჩარევას სპარსეთის პოლიტიკაში.**

აღმოჩნდნენ რა ხალხების უსუსურობისა და დემოკრატიის დამბლის წინაშე, ყოფილმა იმპერიებმა, რომელთაც დამოუკიდებლად არ შესწევთ ძალა, კრიზისები გადაჭრან, ფრთები გაშალეს, დასავლეთზე შურისძიების სურვილით აღფრთოვანებულებმა. ამ ეროვნული პატრიოტიზმის დაბრუნება ზოგს 1930 წელს აგონებს, იმ პერიოდს, როცა ნაცისტებს თავი მიაჩნდათ შუასაუკუნეების გერმანელი ტევტონი რაინდების მემკვიდრეებად, ხოლო **მუსოლინის** იტალია პატივს მიაგებდა ანტიკური რომის დიდებას. ისევე, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში, დემოკრატიის კრიზისს თან სდევს ახალი პოლიტიკური მოდელის ძიება.

მაგრამ შედარება ყოველთვის არ არის გონივრული საქციელი. განსაკუთრებით მაშინ, როცა **პუტინს** ადარებენ **სტალინს**, ხოლო **დონალდ ტრამპს — ჰიტლერს.** 2017 წლის მსოფლიო უფრო 1914 წლის მსოფლიოს ჰგავს, როცა იმპერიები, მოიპოვებენ რა გავლენას, დენთით სავსე კასრთან ასანთს გაჰკრავენ.



**გვერდები მოამზადა დარეჯან ანდრიაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საბჭოთა კავშირში ჩატარდა გამოკითხვა — ტროცკი თუ სტალინი? სულ გამოიკითხა 730 000 კომუნისტი, გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სტალინის მომხრე კომუნისტებიც და ტროცკის მომხრეებიც, რომლებიც კონტროლს აწესებდნენ გამოკითხვაზე. გამოკითხვის შედეგები კი ასეთი იყო: 730 000 კომუნისტიდან სტალინს მხარი დაუჭირა 724 000-მა, ხოლო ტროცკის — მხოლოდ 4000-მა, 2600-მა თავი შეიკავა. ტროცკის გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარმა პროცენტმა დაუჭირა მხარი. გამოკითხულთა მხარდაჭერამ პოლიტბიუროს მისცა შესაძლებლობა, ქვეყნიდან ტროცკის გაძევების გადაწყვეტილება მიელო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (377)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

**1933 წელს დიდი კულტურის მქონე გერმანელმა ერმა დემოკრატიული პრინციპების დაცვით ფიურერად აირჩია ადოლფ ჰიტლერი, რომელსაც უკვე დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი და ქვეყნის სამოქმედო პროგრამა წიგნში „ჩემი ბრძოლა". გერმანელმა ხალხმა ადოლფ ჰიტლერი ბელადად სწორედ გამბედაობის, გაბედული განცხადებების გამო აირჩია.**

ჰიტლერი საქვეყნოდ გაჰკიოდა, გერმანელი ხალხი კატასტროფულად განიცდის ტერიტორიების დეფიციტს და ევროპის ყველაზე ცივილიზებულ ერს ამ პირობებში არ შეუძლია არსებობა, გერმანიამ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწებიო. რატომ უნდა ფლობდნენ ფრანგები და ინგლისელები გერმანელების ყოფილ მიწებს, რატომ უნდა ჰქონდეთ მათ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში კოლონიები და იქ მცხოვრებ ხალხებს მონურად აცხოვრებდნენ, როდესაც ჩვენ, გერმანელებს, უკეთ შეგვიძლია ჩვენს ყოფილ მიწებზე მცხოვრები ხალხების დასაქმებაც და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაცო.

**„როდესაც ახალი მიწების შემოერთებასა და ჩვენი არსებობის უზრუნველყოფაზე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, ვვარაუდობ, პირველ რიგში, დავიპყროთ რუსების მიერ ჩვენი მიტაცებული მიწები და მასთან ერთად რუსეთის მიერ დამონებული სხვა ქვეყნები, რომლებიც რუსების უღელქვეშ გმინავენ",** — ამბობდა ადოლფ ჰიტლერი.

ფიურერის მიზნები და ამოცანები აღაფრთოვანებდა არა მხოლოდ გერმანელებს, არამედ ის მსოფლიოს მოევლინ ახალი ქვეყნისა და ცხოვრების შემქმნელ მესიად.

საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის მთავრობას ჰიტლერის მიზნებისა და ამოცანების შესახებ და ზოგიერთ საკითხზე განმარტება მოსთხოვა, მაგრამ ნაცისტურმა გერმანიამ საბჭოელთა მოთხოვნები არად ჩააგდო. ფიურერის მუქარაზე, გერმანულ მიწებს გერმანული ხმალი დაიბრუნებსო, სტალინმა თავის ახლო გარემოცვასთან საუბრისას მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა თვალსაზრისი, გერმანული ხმლის საწინააღმდეგოდ სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ მტკიცე ფოლადისგან საბჭოთა ხმლის გამოჭედვასო.

**როდესაც ჰიტლერი მიწების დაბრუნებაზე გაჰკიოდა, გულისხმობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ყირიმის ნახევარკუნძულს, რომლიდანაც უნდა გაესახლებინათ იქ მცხოვრები ხალხი და ჩაესახლებინათ, მათი აზრით, უმაღლესი რასის წარმომადგენლები — გერმანელები. ეს საქვეყნო განცხადებები მხოლოდ ჰიტლერის შიზოფრენიკული აზროვნების ნაყოფი არ იყო, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე ლაშქრობის მოსამზადებლად ჰიტლერს ზურგს უმაგრებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები.**

ჰიტლერმა დიდი სამუშაოები ჩაატარა პოლონეთში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში. ამ სახელმწიფოებში მან თითქმის შეუფერხებლად შექმნა დიდი „მეხუთე კოლონები", რომელთა აქტიური მოქმედების შედეგად ეს ქვეყნები გერმანულმა ჯარებმა მარშით შემოიარეს, ზოგიერთი კი თოფის გაუსროლელად ჩაბარდა ფაშისტებს. ჰიტლერი ტრაბახით იკლებდა მსოფლიოს, გერმანიამ შექმნა არმია, რომელსაც ყველა ქვეყნის არმიები, რომც გაერთიანდნენ, ვერაფერს დააკლებსო.

სტალინი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ჰიტლერის ვერაგულ სვლებს და სრულიად ადვილად უვნებელყოფდა მის მიერ დაგებულ ფარულ ხაფანგებს.

საბჭოთა კავშირში მეხუთე კოლონის შექმნის საქმეში გერმანიასთან ერთად ჩართული იყო ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვა დიდი სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირში მეხუთე კოლონის ძირითად ძალას შეადგენდა თეთრგვარდიელთა დიდი ნაწილი, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ განიარაღებულნი და უშუალოდ **ლევ ტროცკის** განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ტროცკი მარქსიზმის იდეებით აბრუებდა კულაკების ნარჩენებსა და ბურჟუაზიის ნაწილს, რომლებიც დღე-დღეზე ელოდებოდნენ „თიხის ფეხებზე" შემდგარი საბჭოთა კოლოსის მიწაზე დანარცხებას. ამას ემატებოდა ის შეთქმული სამხედროები, რომლებიც მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდნენ დიდ თანამდებობებზე და იმხანად უმუშევრები იყვნენ, მაგრამ უარს ამბობდნენ წითელ არმიაში სამსახურზე. მარქსიზმის ლოზუნგი, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ სოციალიზმი ვერ შეინარჩუნებდა ხელისუფლებას და მალე დაინგრეოდა, ნოყიერ ნიადაგს პოულობდა განაწყენებულ პარტიელებში, რომლებიც რევოლუციის შემდგომ პერიოდში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ, მაგრამ, რადგან საქმეს თავი ვერ გაართვეს, გაათავისუფლეს მაღალი თანამდებობებიდან. ასე რომ, მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების დახვეწა იყო საჭირო, რუსეთში მძლავრი მეხუთე კოლონის ჩამოსაყალიბებლად.

ტროცკის თავაშვებული აგიტაცია-პროპაგანდა უკვე აუტანელი იყო როგორც სტალინისთვის, ისე ყველა ნამდვილი კომუნისტისთვის.



დაჭრილი ტროცკი



რამონ მერკადერი

**საბჭოთა კავშირში ჩატარდა გამოკითხვა — ტროცკი თუ სტალინი? სულ გამოიკითხა 730 000 კომუნისტი, გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სტალინის მომხრე კომუნისტებიც და ტროცკის მომხრეებიც, რომლებიც კონტროლს აწესებდნენ გამოკითხვაზე. შედეგები კი ასეთი იყო: 730 000 კომუნისტიდან სტალინს მხარი დაუჭირა 724 000-მა, ხოლო ტროცკის — მხოლოდ 4000-მა, 2600-მა თავი შეიკავა. ტროცკის გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარმა პროცენტმა დაუჭირა მხარი.** გამოკითხულთა მხარდაჭერამ პოლიტბიუროს მისცა შესაძლებლობა, ქვეყნიდან ტროცკის გაძევების გადაწყვეტილება მიელო.





ჰიტლერის „მაინ კამპფი"

აღსანიშნავია, რომ **სტალინის დიდი გავლენისა და საბჭოთა კავშირის დიდი ავტორიტეტის ფონზე ტროცკის ევროპის არც ერთმა ქვეყანამ არ მისცა თავშესაფარი და იგი იძულებული შეიქნა, შორეულ მექსიკაში დაედო ბინა. იმპერიალისტებისა და მსოფლიოს „ფარული ხელისგან" გულუხვად დაფინანსებული ტროცკი შხამის ნთხევასა და უკადრისის კადრებას არც მექსიკაში ანებებდა თავს, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ რამონ მერკადერმა (1913—1978) თავი ძალაყინით გაუჩეხა და სიცოცხლეს გამოასალმა.**

ქვეყანა თითქოს დაწყნარდა და საფრთხეც ნაწილობრივ განეიტრალდა, მაგრამ სიფხიზლე არ უნდა მოდუნებულიყო. ღიად ჩატარებულმა გამოკითხვამ სტალინს უკარნახა, შეეცვალა არჩევნების სისტემა. **თუ 1936 წლამდე არჩევნები ღიად ტარდებოდა და მასში ყველა არც მონაწილეობდა, ახალი კონსტიტუციით, რომელიც სტალინურ კონსტიტუციად არის ცნობილი, სტალინის ინიციატივით ჩაიწერა, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს საყოველთაო და ფარული,** ამასთანავე, არა ერთმანდატიანი, არამედ — მრავალმანდატიანი. პოლიტბიუროზე ამ საკითხის განხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ყველა თავისი სავარძლის სიმყარეს გაუფრთხილდა და ნაადრევად მიიჩნია ფარული არჩევნები, რადგან შეიძლებოდა მთავრობაში ბევრი მიუღებელი კანდიდატურა შემოპარულიყო. საკითხი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაიტანეს განსახილველად და მან წარმოუდგენელი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. სწორედ მაშინ გაისმა პირველად ეპითეტი „ხალხის მტრები". აღმოსავლეთი ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა **რობერტ ეიხემ** პირველმა წამოჭრა საკითხი, რატომ ასახლებენ ციმბირში ხალხის მტრებს და რატომ ადგილზე არ ხდება მათი ლიკვიდაციაო. მან დაასახელა ის მავნებლური ჯგუფები და საბოტაჟის მომწყობები, რომლებსაც დიდი ზიანი მოჰქონდათ სახელმწიფოსთვის. ეიხემ განაცხადა, რომ საჭიროა, აღმოსავლეთი ციმბირისთვის გამოიყოს კონტინგენტი, რათა დაიწყოს მხარეში დისციპლინის დამყარება. მას მხარი თითქმის მთელმა პარტიულმა აქტივმა დაუჭირა. განსაკუთრებით აქტიურობდა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი **ნიკიტა ხრუშჩოვი**, რომელმაც 41 ათასი კაცის დაპატიმრების უფლება მოითხოვა.

სტალინი არჩევანის წინაშე დადგა — დაეთმო პარტიული აქტივისათვის თუ თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. როგორც აღვნიშნეთ, „ძველი გვარდია" თავისი პრინციპების დაცვის საკითხში სრულიადაც არ ჰგავდა შემდეგდროინდელ კომუნისტებს, მათ შეეძლოთ სტალინის პარტიიდან გარიცხვაც კი და ქვეყანაში სისხლის კალოს დატრიალება. მსგავს შემთხვევებზე სტალინს არაერთი ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ არ სურდა ფართომასშტაბიანი რეპრესიების დაწყება.

მოსახდენი მაინც მოხდა.

პირველივე პროცესმა უამრავი შემზარავი ფაქტი გამოავლინა. სტალინი მიხვდა, რომ საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე ეგონა. როდესაც სხვადასხვა არხიდან მიღებულ ინფორმაციას შეადარა საგამოძიებლო ორგანოებიდან მიღებული ცნობები. ისინი იდენტური აღმოჩნდა. ამის გამო სტალინმა მოითხოვა მეხუთე კოლონის ძირფესვიანად გამომზეურება. ათასობით ნამდვილ დამნაშავეს გარკვეული რაოდენობის უდანაშაულო ადამიანებიც მიჰყვებოდნენ.

სამხედრო მაღალჩინოსანთა მოღალატეობრივმა საქმიანობამ სტალინს მოთმინების ფიალა აუვსო. დაპატიმრების სანქციები გასცა მხედართმთავრებზე, რომლებზეც იდგა წითელი არმია, მათ შორის იყო მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი.**

ბოროტების გორგალი დიდი და გრძელი აღმოჩნდა. ერთმა მეორე „ჩაუშვა", მეორემ — მესამე... და ასე ჩამოყალიბდა ეს საშინელი 1937 წელი.

გადაწყდა, პირველ საქმეზე სასამართლო პროცესი მსოფლიოს მედიის წარმომადგენლების, მწერლების, პოლიტიკური მიმომხილველებისა და გამოჩენილი ადამიანების თანდასწრებით ჩატარებულიყო. მოსკოვში ჩავიდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსკოვში ჩავიდა ასეულობით ადამიანი, რომლებზეც შეუფერხებლად გაიცა აკრედიტაციები.

ასევე ჩატარდა მეორე პროცესი, რომელსაც პირველად ესწრებოდა ცნობილი გერმანელი მწერალი **ლიონ ფოიხტვანგერი.** მან შემდგომ დაწერა წიგნი „მოსკოვი, 1937 წელი".

**სტალინის დიდი გავლენისა და საბჭოთა კავშირის დიდი ალმავლობის ფონზე ტროცკის ევროპის არც ერთმა ქვეყანამ არ მისცა თავშესაფარი და იგი იძულებული შეიქნა, შორეულ მექსიკაში დაედო ბინა. იმპერიალისტებისა და მსოფლიოს «ფარული ხელისგან» გულუხვად დაფინანსებული ტროცკი შხამის ნთხევასა და უკადრისის კადრებას არც მექსიკაში ანებებდა თავს, რაც იმით დასრულდა, რომ რამონ მერკადერმა ძალაყინით თავი გაუჩეხა და სიცოცხლეს გამოასალმა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**არავინ არაფერი იცის. თვით „მასწავლებლის სახლშიც“ კი რიგ კითხვებზე ასეთ პასუხს მიიღებთ: „ეს მე არ მეხება, ამიტომ არ ვიცი“. თხოვნაზე: „მომეცით იმის ტელეფონის ნომერი, ვისაც ეხება“, პასუხია: „არ ვიცი“. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა. ეგებ ახლა გადახედონ იმ უაზრო მოთხოვნებს და დიდი სიფრთხილით მოეკიდონ არსებულ პრობლემებს.**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის“ (ნაწ. I და II, 2015 წ.) ყველა შეუსაბამობა და აბსურდი რომ განვიხილო, გაცილებით მეტი მოცულობის წიგნის დაწერა მომიწევს, ვიდრე ხსენებული „გზამკვლევია“.**

# შეწყდეს მასწავლებლების შეურაცხყოფა და დამცირება



**მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მესვეურთ არც მასწავლებლის განათლებისა და არც მისი წინსვლის პრობლემა ადარდებთ. მათ მიაჩნიათ, რომ პედაგოგი უნდა იქცეს რობოტად, რომელიც აგროვებს კრედიტქულებს, რომელთა დაგროვება ამ დაწესებულების და მათი ქვეშევრდომების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და არა საქმისადმი ობიექტურ მიდგომაზე**

ჯერ სათაური რას ნიშნავს? აქამდე საქართველოში მასწავლებელი არ არსებობდა თუ საქართველო უწიგნურთა ქვეყანაა, რომელშიც ვიღაც უვიცებს სურთ მასწავლებლობა? არ გვაქვს უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიც ასწავლიან სპეციალობას და პედაგოგიკის საფუძვლებს? არ ტარდება მომავალი პედაგოგების ცოდნისა და უნარების შეფასების გამოცდები? მაშინ დავწეროთ მსგავსი „გზამკვლევები“ ეკონომისტებისთვის, იურისტებისთვის, ინჟინრებისთვის და ა.შ., ვაწერინოთ საკუთარი საქმიანობის შეფასებები, ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები, თვითშეფასების გეგმები, **„რომელსაც არავინ წაიკითხავს“** — ასე გვარწმუნებენ „გზამკვლევში“. ყველა სპეციალისტს მუდამ ვაბარებინოთ სხვადასხვა სახის გამოცდა, ვატაროთ **„ტრენინგებზე“**, ვაგროვებინოთ სტატუსის შესანარჩუნებელი ქულები, გამოვუყოთ **„ტრენერები“**, დავუწესოთ შემმოწმებლები, შემმოწმებლებს — გადამმოწმებლები, გადამმოწმებლების შემმოწმებლები („გზამკლევის“ ტერმინოლოგიით: ფასილიტატორები, შიგა შემმოწმებლები, გარე შემმოწმებლები, შეფასების ჯგუფები...) და ყველა მათგანს დავუნიშნოთ ხელფასი თუ არა — წამახალისებელი ქულები. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ მასწავლებელმა „კარგად“ ასწავლოს და მიიღოს ისეთი ანაზღაურება, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, გაწვდება კომუნალურ გადასახადებს. თუკი ამ პირობებს არ დააკმაყოფილებს პედაგოგი, „დამოკლეს მახვილიც“ გაგვიმზადეს: პედაგოგის „სტატუსის“ შესაბამისობას განიხილავენ, ხოლო მის ადგილზე ახალ ვაკანსიას გამოაცხადებენ(?!).

ყოველივე ამას სათავეში უდგას მაღალი ანაზღაურების მქონე **„მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი“.**

**როგორც იქნა, მავანმა გაიღო მოწყალება და პედაგოგებს „მოგვიმატეს“ ხელფასი. ამ ხელფასის მომატებას გვამადლის ყველა: ისიც, ვინც ცდილობს, ამით ქულები დაიწეროს, და ისიც, ვინც მასწავლებლისკენ ქვების სროლას არ იშურებს.** მერწმუნეთ, ეს შეურაცხმყოფელია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვით თანხა დამამცირებელია და, რაც მთავარია, პედაგოგის ღირსებისა და ავტორიტეტის შემლახველი.

ამ ხელფასების „მომატებას“ საფუძვლად მასწავლებლების სტატუსებად (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი, მენტორი) დაყოფა დაუდეს, რაც თავისთავად მიუღებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ამას იმდენი ადამიანის უფლებების დარღვევა, ზღვარგადასული მოთხოვნა და შეუსაბამობა დაურთეს, რომ მეტის მოთმენა შეუძლებელია.

ეს — საზოგადოდ.

ახლა კი ვისაუბრებ მხოლოდ უფროსი მასწავლებლის „სტატუსის“ შესახებ.

„გზამკვლევის“ გვ. 20, ტ. 1, ა, ბ, გ პუნქტებში დეტალურად აღწერილია, რატომ მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოქმედ პედაგოგს, მოკლედ კი ასეა: **უნდა გქონდეს ან სპეციალობაში გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი, ან დოქტორის დიპლომი.**

ჩნდება კითხვა:

**რატომ გაუთანაბრეს დოქტორის ხარისხი ე.წ. სერტიფიკატს?**

სად არის ამ ორ საბუთს შორის იდენტურობა?

თუ სერტიფიკატს 5-საათიანი წერითი გამოცდის შედეგად მიიღებ (აქ არ ვსაუბრობ იმაზე, როგორი ხარისხისაა სერტიფიცირების პროცესი და შესაბამისი შედეგები; ეს ცალკე თემაა), სადისერტაციო ნაშრომის (რომელსაც იკვლევ 3-5 წლის განმავლობაში) მხოლოდ დაცვის უფლების მოსაპოვებლად ვაბარებდით სამ გამოცდას (სპეციალობას, უცხო ენასა და ფილოსოფიას. ახლა ეს მოთხოვნა გამარტივებულია) და თემის გარშემო, სულ ცოტა, 3 სამეცნიერო ნაშრომს ვაქვეყნებდით დარგობრივ ჟურნალებში, ხოლო რეკომენდაციას გამოქვეყნებაზე ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები გვაძლევდნენ.

გეკითხებით, რის საფუძველზე ხდება ე.წ. სერტიფიკატით შემდეგი დიპლომების დევალვირება:

**ა) უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შედეგად უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომის?**

**ბ) უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის?**

ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ამ შემთხვევაში არ ირღვევა უმაღლესი განათლების მქონე პირისა და დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანის უფლებები, შეურაცხყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ?!

მოკლედ, **„დაგვალაგეს“ ე.წ. სტატუსების მიხედვით და საპილოტე წელი გამოგვიცხადეს. ზემოთ ხსენებული შეურაცხყოფა არ იკმარეს და, თუ რაიმე მიღწევა გვქონდა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ასპარეზზე, ყველაფერი უკუაგდეს, უარყვეს. აქვე ვადები დაგვიწესეს.** „გზამკვლევის“ გვ. 28, ტ. 1: „უფროსი მასწავლებელი... ვადაში აგროვებს 13 კრედიტქულას იმისათვის, რომ შეინარჩუნოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი“ (აი „დამოკლეს მახვილიც“!), თუ კი მოინდომებს, მოიპოვოს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, მაშინ უნდა მოაგროვოს 13+6=19 ქულა, რომელსაც შესაბამისი ვალდებულებები ერთვის: „გარდა შენარჩუნებისთვის საჭირო აქტივობებისა, უნდა ჩაატაროს პრაქტიკის კვლევა, დამატებით გაიაროს მესამე შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და დამატებით საქმიანობებში მოაგროვოს შენარჩუნებისთვის საჭირო 4 კრედიტქულაზე დამატებით 2 კრედიტქულა“ („გზამკვლევის“ გვ. 31, ტ. 1, სტილი შენარჩუნებულია). დასასრულ, თუ უფროსი მასწავლებელი სტატუსის შესანარჩუნებლად ვერ მოაგროვებს საჭირო რაოდენობის კრედიტქულებს, მაშინ ამოქმედდება „დამოკლეს მახვილი“ და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შეწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია“ („გზამკვლევის“ გვ. 32, ტ. 1).

გეკითხებით: **თუ ისეთი მონაცემები მქონდა, რომ ერთხელ გავხდი უკვე უფროსი მასწავლებელი, ახლა, როდესაც ველარ ვაგროვებ (რატომ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ) ამ ავბედით ქულებს, ადრე შეძენილმა ცოდნამ ან ჩატარებულმა შრომამ ჩემში არანაირი კვალი არ დატოვა? თუ ერთი ღილაკის დაწკაპუნებით ყველაფერი წაიშალა?**

გადავწყვიტე, გამეგო, რამდენად მისაღწევია ეს, ერთი შეხედვით, „უწყინარი“ მოთხოვნები.

სკოლაში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ინკლუზიურ სწავლებას ეხებოდა. ამ ტრენინგის ქულა სკოლის შიდა კომისიამ არ ჩამითვალა, რადგან 20-საათიანია და მე კი მითხრეს, — საათების რაოდენობა არ არის საკმარისიო. „მასწავლებლის სახლში“ კი მიპასუხეს: „ჩვენ მიერ ჩატარებული ტრენინგები ყველა გეთვლებათ“-ო. ვინ ამბობს სიმართლეს?

**ვთარგმნე ქართულიდან რუსულად მ. კოსტავას წიგნი გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ (მერაბ კოსტავა „გზა ჭეშმარიტებისა“, თბილისი, „ზენაარი“, 2015 წ., გვ. 71-132. წიგნი გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე). წიგნს ისტორიის კათედრაზე იყენებენ, როგორც ორენოვან წყაროს, მაგრამ ესეც არ ჩამითვალეს, იმიტომ, რომ ფიზიკას არ ეხებაო. ხოლო ის, რომ ვფლობ რუსულ და ინგლისურ ენებს, აქ რა მოსატანია.**

მერე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადდა კონკურსი-შერჩევა CERN-ში გასაგზავნი პედაგოგებისთვის (ქულებიც ეწერებოდა მონაწილეს). შევიტანე განცხადება, დამიბარეს გასაუბრებაზე, მოისმინეს პრეზენტაცია, გაარკვიეს, რომ თურმე მუსიკალური განათლებაც მქონდა. ძალიან გაუკვირდათ ისიც, Linux-ის პროგრამის ცოდნა რაში მჭირდებოდა. არც კი იცოდნენ, რომ იყო დრო, როცა სკოლაში Linux-ს იყენებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე ცინიკური და მეტად შეურაცხმყოფელი პასუხი:

„სამწუხაროდ, თქვენ ვერ გადალახეთ კონკურსის(?) მეორე ეტაპი. იმედი გვაქვს, კვლავ დაინტერესდებით და მონაწილეობას მიიღებთ ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში“.

**ვერაფრით დავიჯერებ, რომ დელეგაციის ათივე მონაწილე ჩემზე უკეთესი CV-ით და სლაიდ-შოუთი წარდგა, რომ ათივე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება NORLEG-ის (ინგლისი) წევრი იყო, რომ ათივეს 34-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და პუბლიკაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ინგლისისა და ამერიკის სამეცნიერო ჟურნალებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე აქვთ გამოქვეყნებულ-მოხსენებული, რომ ათივე რუსულ და ინგლისურ ენებს ისე ფლობს, რომ საჭირო ლიტერატურას დედანში კითხულობს, სხვა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მიღწევებზე არაფერს ვამბობ, თუმცა კომისიას ეს მხარე სულაც არ აინტერესებდა.** ნეტა, რა იყო კიდევ საჭირო ამ კონკურსში გასამარჯვებლად?! როდესაც ერთ პიროვნებას ვთხოვე, გაეგო, რატომ მითხრეს უარი (დარეკვით ხომ ვერ დარეკავ — მათი ტელეფონები მხოლოდ აქეთ რეკავენ), პასუხი არანაკლებ გამაოგნებელი მივიღე: **„შერჩევა გენდერული პრინციპით მოხდა, მამაკაცი გაუშვეს“. რა თქმა უნდა, ამის გამო სქესს ვერ შევიცვლი.**

რადგან, ჩემს 34 სამეცნიერო ნაშრომთან ერთად, ყველაფერს უგულებელყოფენ, გადავწყვიტე, იმავე დაწესებულების მიერ გამოცხადებულ მასწავლებელთა მეოთხე ეროვნულ კონფერენციაში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამჯერად ცინიკური პასუხიც კი არ იკადრეს. ნეტავ, რატომ?! ამჯერად პასუხის მისაღებად არავინ შემიწუხებია.

მსგავსი შემთხვევების შესახებ კოლეგებისგანაც მსმენია.

როგორც ჩანს, **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მესვეურთ არც მასწავლებლის განათლებისა და არც მისი წინსვლის პრობლემა არ ადარდებთ. მათ მიაჩნიათ, რომ პედაგოგი უნდა იქცეს რობოტად, რომელიც აგროვებს კრედიტქულებს, რომელთა დაგროვება ამ დაწესებულებისა და მათი ქვეშევრდომების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და არა საქმისადმი ობიექტურ მიდგომაზე.** ერთი ანეკდოტისა არ იყოს: „თუ კარგად მოიქცევით, აუზში წყალს ჩაგისხამთო“, ანუ, თუ „კარგად მოვიქცევით“ (ნეტა როგორ?) ქულებსაც დაგვაგროვებინებენ, თუ არა და... ზემოთ უკვე მოგახსენეთ მომზადებული „დამოკლეს მახვილის“ შესახებ.

კიდევ ერთი შეუსაბამობა. ჩვენი ხელფასი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ძირითადი ხელფასია, მეორე კი — ე.წ. სერტიფიცირების დანამატი. თუ პედაგოგი ავადმყოფობის გამო გადადის ბიულეტენზე, მას ხელფასის ორივე ნაწილიდან ექვითება შესაბამისი თანხა. ბიულეტენის წარდგენის შემდეგ ხდება ხელფასის მხოლოდ ძირითადი ნაწილიდან დაქვითული თანხის გაცემა და არ გაიცემა სერტიფიცირების ნაწილიდან დაქვითული თანხა. რატომ?!

აქ აღწერილი მეტისმეტად მცირე ნაწილია იმ პრობლემებისა, რომლებიც თვით „გზამკვლევშია“ თავმოყრილი და სკოლაში დაგროვილ პრობლემებთან ერთად დამატებით შექმნა ნაჩქარევად და დაუფიქრებლად განხორციელებულმა „სქემამ“. **არავინ არაფერი იცის. თვით „მასწავლებლის სახლშიც“ კი რიგ კითხვებზე ასეთ პასუხს მიიღებთ: „ეს მე არ მეხება, ამიტომ არ ვიცი“. თხოვნაზე: „მომეცით იმის ტელეფონის ნომერი, ვისაც ეხება“, პასუხია: „არ ვიცი“.** სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა. ეგებ ახლა გადახედონ იმ უაზრო მოთხოვნებს და დიდი სიფრთხილით მოეკიდონ არსებულ პრობლემებს.

შედეგი არ დააყოვნებს. ისედაც მძიმე მდგომარეობაში არსებული განათლების სისტემა საბოლოოდ დაგვემხობა თავზე. პრობლემა ბევრია. მართალია, ჩვენ, პედაგოგები, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ვცდილობთ ამ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ვინ გვაცდის?..

**პატივისცემით,**

**ქეთევან ჯინორია,**
**თბილისის კლასიკური გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი, ფიზიკოსი, აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოცენტი**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არდაველის დალაშქვრამ დაარწმუნა ქართველები, აგრეთვე, ჩვენი მოკეთეებიცა და მტრებიც, რომ მისი დამმარცხებელი ძალა იმჟამინდელ ახლო აღმოსავლეთში არავინ იყო. ამან გაათამამა ქართველები და დიდი ირანის დალაშქვრა მოიწადინეს.**

## ისტორიული პერსონები



## აბო თბილელი

**21 იანვარს ქართული სამოციქულო ეკლესია თბილისის მფარველი წმინდანის — აბო თბილელის ხსენების დღეს აღნიშნავს.**

იმ დროს, როდესაც ზოგს — ძალადობით, ზოგს — მოტყუებით, ზოგს კი ანგარებით დაატოვებინეს ქრისტეს სჯული და გაამაჰმადიანეს, როდესაც შეშინებული ქართველები „ირყეოდნენ, როგორც ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, გამოჩნდა ადამიანი, ტომით არაბი, რომელიც ეწამა ქრისტეს სჯულისთვის და თავისი მოწამეობრივი სიკვდილით ქართველი ერი ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ მოაბრუნა და მაგალითი მისცა, როგორ უნდა იცხოვროს მორწმუნე ქრისტიანმა.

ნელსაცხებლის ოსტატმა აბომ ბაღდადში გაიცნო ნერსე ქართლის ერისთავი და მსახურად დაუდგა მას. წმინდანი ბაღდადიდან ქართლში ჩამოჰყვა ნერსეს. ის ერისთავს ახლდა ხაზარეთსა და აფხაზეთშიც. დროთა განმავლობაში აბომ შეისწავლა ქართული ენა, წაიკითხა წმინდა წიგნები, სალოცავად დადიოდა ეკლესიაში და ძალიან მალე მართლმორწმუნე ქრისტიანად მოინათლა.

როდესაც ნერსე ერისთავის თბილისში დაბრუნების საკითხი გადაწყდა, აბოს აფხაზეთში დარჩენა ურჩიეს, ვინაიდან იმხანად თბილისი არაბების ხელში იყო და ტომით არაბ აბოს არ აპატიებდნენ მაჰმადის რჯულის დატევებას, მაგრამ ვერ გადააფიქრებინეს თბილისში წასვლა: „მრავალი ოქრო და ვერცხლიც რომ მომცენ ან კიდევ მტანჯონ და მგვემონ, ვერ გამინელებენ ჩემი უფლის სიყვარულს“.

სამი წელი მოღვაწეობდა აბო თბილისში და ქადაგებდა ქრისტიანობას. ძველმა თანამემამულეებმა დაასმინეს იგი, შეიპყრეს და სატუსაღოში ჩააგhდეს, მაგრამ სტეფანოზ ერისთავის თხოვნით გაათავისუფლეს. სულ მალე თბილისში ახალი ამირა დასვეს. ქრისტიანებმა შეიტყვეს, რომ ამირა შეპყრობას უპირებდა ნეტარ აბოს, გააფრთხილეს და ურჩიეს, დამალულიყო, მან კი ასე უპასუხა: „არა მარტო მზად ვარ ქრისტესთვის სატანჯველად, არამედ სასიკვდილოდაც“.

ამირას მსახურებმა შეიპყრეს ნეტარი აბო და მსაჯულს წარუდგინეს. არაბებმა მოსთხოვეს, მაჰმადიანობას დაჰბრუნებოდა. აბომ უარი განაცხადა. 786 წლის 6 იანვარს (ახალი სტილით 21 იანვარს), განრისხებული მსაჯულის ბრძანებით, აბოს თავი მოჰკვეთეს, ცხედარი დაწვეს, ხოლო ძვლები, რომელთა დაწვაც ვერ შეძლეს, ცხვრის ტყავში გამოკერეს და მტკვარში გადაყარეს.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39 (2016 წ.) - №01 (2017 წ.)

# «შიში და ზარი მეფისა თამარისა იყო ყოველთა სულტანთა ზედა»

1202 წლის 12 აპრილს, იმ დროს, როდესაც, ქართველები კარის (ყარსის) აღებით იყვნენ დაკავებულნი, ჯვაროსნებმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე **ბოდუენ ფლანდრიელი** ავიდა. მან ვერ შეძლო იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება და ქვეყანა დაიშალა. შეიქმნა საფრთხე, ამით ესარგებლათ სელჩუკებს (იგულისხმება იკონიის სასულთნო) და დასუსტებული ბიზანტიის ხარჯზე გაეფართოებინათ სამფლობელოები, მაგრამ ქართველებმა მათ აქაც დაასწრეს. თამარის სამეფო კარმა მიიღო თამამი და დროული გადაწყვეტილება: ქართველთა ლაშქარმა მოაწყო „სამხედრო რეიდი“ შავიზღვისპირა ტერიტორიებზე, რომლებიც თავის დროზე პონტოს სამეფოს კუთვნილება იყო და ქართველური ტომებით (ძირითადად, ლაზებით) იყო დასახლებული. ეს გაკეთდა კომნენოსთა ვასალური სახელმწიფოს — ტრაპიზონის იმპერიის შექმნის მიზნით, რომელიც უნდა გამხდარიყო ბუფერი საქართველოსა და იკონიის სულთანს შორის.

**თამარ მეფემ** უცხოეთში ქართული სავანეებისთვის (კერძოდ, ისტორიულ ანტიოქიასთან ახლოს მდებარე შავი მთის მონასტრისთვის) დიდძალი ოქრო- ვერცხლი გაიღო, მაგრამ მას ფულხარბი და გულხარბი ბიზანტიის იმპერატორი **ალექსი ანგელოსი** დაეპატრონა (იმპერატორის ერთგულმა ხალხმა მიიტაცეს ეს განძი და ალექსი ანგელოსს მიუტანეს კონსტანტინოპოლში). ეს, რა თქმა უნდა, „საკმარისი საბაბი“ იყო ლაშქრობის დასაწყებად. ბუნებრივია, ქართული ჯარისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. დაპყრობილი ტერიტორიები სამართავად თამარის ნათესავს — **ალექსი კომნენოსს** გადაეცა. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა კი კიდევ ერთი გამარჯვება იყო იკონიის სასულთნოსთან ჭიდილში.

1204 წელს მიიცვალა **დავით სოსლანი**, ღირსეული მეუღლე თამარისა და საქართველოს უპირველესი მხედართმთავარი: „კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული, წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი და სიკეთით აღმატებული“.

დავით სოსლანის სიკვდილმა გაათამამა მტერი. მაიფარიკინისა და ხლათის სულთნები იმ სომხური მიწებისთვის დაერივნენ ერთმანეთს, რომლებიც საქართველოს გავლენის სფეროში შედიოდა. ეს კი საქართველოსთან ომის განახლებას ნიშნავდა.

1207 წელს, პირველი მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, მაიფარიკინის სულთანმა **ნეჯმ ად-დინ აიუბმა** სასტიკად დაამარცხა ხლათის სულთანი **ბალბანი**, რომელმაც, თავის მხრივ, დასახმარებლად მოუხმო არზრუმის გამგებელ **მუღის ედ-დინ თოღრულ შაჰს.** ხლათელებმა და არზრუმელებმა შეერთებული ძალებით უკუაქციეს ნეჯმ ად-დინ აიუბი, მაგრამ მუღის ედ-დინმა მოკავშირე ბალბანი მოკლა და ხლათს თვითონ დაეპატრონა. ხლათის მოსახლეობამ არზრუმელი არ გაიმეფა, იგი გააძევა და ქალაქი ნეჯმ ად-დინ აიუბს გადასცა. ამას სომეხი ხალხის აჯანყება მოჰყვა. აჯანყებულებმა აიღეს ვანი და არჭეში. სომხებს მიეშველნენ ქართველები, რომლებმაც ხელთ იგდეს თვით ხლათი და მაშინვე გადასცეს აჯანყებულ სომხებს, მაგრამ ახალი საომარი ძალებით მოიჭრა ნეჯმ ად-დინ აიუბი, ხლათი დაიბრუნა და სომეხი მოსახლეობის ჟლეტას შეუდგა.

როგორც კი ამ ამბავმა თამარის ყურამდე მოაღწია, მაშინვე საომარი სამზადისი ბრძანა. ლაშქარს მსახურთუხუცესი **ივანე მხარგრძელი** უსარდლა და სამხრეთისკენ აფრინა. ქართველებმა ქალაქი არჭეში აიღეს. ნეჯმ ად-დინ აიუბმა ხლათიდან გამოსვლა და არჭეშის გადარჩენისთვის ზრუნვა ვერ გაბედა. ივანე მხარგრძელმა ეს საკმარისად მიიჩნია და თურქი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული უკან დაბრუნდა.

1208 წელს ივანე მხარგრძელმა ისევ მოაწყო ხლათის საულთნოზე ლაშქრობა. იქ უკვე ახალი სულთანი იჯდა — **მელიქ ალ-ავჰადი.** ქართველებმა ალყა შემოარტყეს ხლათს. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ქალაქი დღე-დღეზე უნდა დანებებულიყო, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა: ერთ დღეს სადილი გაუგრძელდა ქართველთა მთავარსარდალს. **ღვინოს მიეძალა ივანე მხარგრძელი. სალამოს ცხენს მოახტა და ხიდზე გადასვლა მოინდომა. თანამებრძოლნი არ ანებებდნენ, — მდინარის მეორე ნაპირს შეიძლება თურქები არიანო ჩასაფრებული, მაგრამ ივანემ არ დაიშალა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ხიდზე შეაჭენა. ის იყო, სარდალი ხიდის ნახევარს გასცდა, რომ მდინარეში ჩავარდა. თურმე თურქებს ხიდის ფიცრები აეყარათ და ზედ თივა წაეფარებინათ. ქართველთა ბანაკში გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ისე დააცხრნენ ჩასაფრებული თურქები წყალში ჩავარდნილ მხარგრძელს, შეიპყრეს და ქალაქში შეათრიეს.**



მოულოდნელი წარმატებით გახარებულმა ალ-ავჰადმა წინ დაისვა ქართველთა მთავარსარდალი და საზავო პირობები უკარნახა: ივანეს 5 000 თურქი ტყვე უნდა გაეთავისუფლებინა, 100 000 დინარი გადაეხადა, რამდენიმე ციხეც უნდა დაებრუნებინა და მისი პირმშვენიერი ასული თამთა სულთნისათვის ცოლად მიეთხოვებინა. ივანე ტყვეობიდან თავდახსნას ძალიან ჩქარობდა. მას ამ სამარცხვინო საქციელის გამო თანამდებობის დაკარგვის შეეშინდა, ამიტომ ნაკარნახევ ზავს უყოყმანოდ დათანხმდა. ალ-ავჰადმა ქართველ სარდალს მძევლები ჩამოართვა და გაათავისუფლა, რადგან ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მუქარამ შეაშფოთა, ჩემს ძმას რამე არ დაუშავდეს, თორემ ყველას ამოგწყვეტთ, თქვენი ქვეყნის მიწას კი საქართველოში წავაღებინებო!..

ივანემ ზავის ყველა პირობა აღასრულა. თამარმა დისდსულოვნად აპატია სამარცხვინი დამარცხება თავის ერთგულ ყმას. მთავარი მაინც ის იყო, რომ მიზანი მიღწეული იყო: ქართველებმა ვანის ტბასა და მანასკერტამდე თურქ-სელჩუკთაგან მეტ-ნაკლებად გაწმინდეს სომხეთის მიწა. გარდა ამისა ე.წ. 30-წლიანი ზავით საქართველომ დიდი ხნით უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთით საზღვრების უსაფრთხოება, მაგრამ მშვიდობიანი პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას საფრთხე სულ სხვა მხრიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაემუქრა.

XIII საუკუნის დასწყისში სომხეთი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში იყო და მის უსაფრთხოებაზე საქართველოს მეფე ზრუნავდა. ერთხელაც, როდესაც სომხეთის ბატონ-პატრონები, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, გეგუთში, თამარ მეფის რეზიდენციაში იმყოფებოდნენ და ანისში ქართული სამხედრო გარნიზონი არ იდგა, არდაველის სულთანმა ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და მდინარე რახსის (არაქსის) გაყოლებით ჩუმად გაემართა ანისისკენ. გზად არც ერთ დასახლებულ პუნქტს არ გაეკარა, მიადგა ანისს და ღამით იდუმალ ქალაქთან ახლოს დაბანაკდა.

სულთანი აღდგომას, გარიჟრაჟზე დაესხა თავს დაუცველ ანისს, მაშინ, როცა მოსახლეობა ტაძრებში ლოცვით ეგებებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ანისში შეჭრილმა სულთნის მეომრებმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც გამოქვაბულებსა და ციხე-დარბაზებს შეაფარა თავი. თურქებმა არავინ დაინდეს და 12 000 კაცი, ქალი თუ ბავშვი „ეკლესიათა შინა ვითარ ცხვარი დაკლეს“, შემდეგ კი, უამრავი ტყვითა და ალაფით დატვირთული, უკან გაბრუნდნენ.

**თანამოძმე სომეხთა მუხანათურმა და მხეცურმა ჟლეტამ შეაძრწუნა და განარისხა თამარი. მაშინვე საომარი მზადება და არდაველის სულთნის სამაგალითო სიმკაცრით დასჯა ბრძანა. საქართველოს სამეფო კარზე დაისახა შურისძიების გეგმა. თამარის ვეზირებმა გადაწყვიტეს, საპასუხო სადამსჯელო აქცია ჩატარებულიყო მაჰმადიანური დიდი დღესასწაულის დროს.** საომარი სამზადისი მალულად მიმდინარეობდა. ვინაიდან მთებში გაშენებული ქალაქი კარგად იყო გამაგრებული, ამიტომ მოულოდნელი თავდასხმით უნდა შეჭრილიყვნენ, რადგან, თუ არდაველელები ქალაქის შესასვლელი კარის ჩაკეტვას მოასწრებნენ, უსისხლოდ აღარ მოხერხდებოდა მისი აღება. გარდა ამისა, ▶

## იცით თუ არა, რომ:




„რუბრიკა“ (RUBER) ლათინური სიტყვაა და წითელ სათაურს ნიშნავს. ძველი რომაელები კანონის სათაურს წითელი საღებავით წერდნენ.



ბაბილონის გოდოლის ასაგებად 85 მილიონი აგური გამოიყენეს.






14 წლის ჯოაკინო როსინიმ „სევილიელი დალაქი“ 14 დღეში შექმნა.

**მარანდის აღების შემდეგ თავრიზის „ჯერი“ დადგა. მოსალოდნელი იყო, რომ ესოდენ დიდი ქალაქი უომრად არ დანებდებოდა ქართველებს, მაგრამ მარანდის მაგალითით თავზარდაცემულმა თავრიზელებმა ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს „ქართველთა ლაშქარს. თურქმა სარდლებმა დიდძალი ხარკი — ოქრო, ცხენი და ჯორ-აქლემი გაიღეს. გარდა ამისა, ქართველებს მიართვეს ჯარისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და უამრავი საჩუქარი. სანაცვლოდ თავრიზელებს მშვიდობა აღუთქვეს.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზაქარიამ ჯარს ზანგანის კედლები უზნებად მიუზომა და უბრძანა, «რათა შესთხარონ». პირველებმა მესხმა მეომრებმა «შეხურიტეს» და შეანგრიეს ზღუდე და პირველნი შეიჭრნენ ქალაქში, შეიჭრნენ «შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო, ხოლო ქალსა, ბავშვსა და მხცოვანსა ხელსაც არ ახლებდნენ». ამასობაში, ქართველთა სხვა ნაწილებმაც შეანგრიეს თავიანთი «წილხვედრი ზღუდენი და ქალაქში შეიჭრნენ»

◀ მტერს არ უნდა შეემჩნია ქართული ჯარის მიახლოება, რათა სულთანს ხალხის ქალაქიდან გაყვანა და მათი გადამალვა არ მოესწრო, ამიტომ ლიხთიმერეთიდან და ქართლიდან ერთი მეომარიც არ მოუხმიათ, რადგან სულთნის მსტოვრებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ეს გადაადგილებები, მხოლოდ კახელები, ჰერები, თორელები, თმოგველები და სომხები გაამზადეს საომრად. მხარგრძელები მცირე რაზმით დადგნენ ანისში და იქიდან ხელმძღვანელობდნენ ლაშქრობისთვის მზადებას.

**დათქმულ დროს სამეფო ლაშქარი ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით დაიძრა არდაველისკენ. მათ „გარდავლეს გელაქუნი და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუაფრიდის ხიდსა და ღამით უგრძნეულად მიადგნენ არდაველს“. მხარგრძელებმა თითქმის უომრად იგდეს ხელთ ქალაქი და 12 000 მუსლიმი „მიზგითსა შინა მოკლეს ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა“.**

დიდძალი სიმდიდრეც ერგოთ გამარჯვებულებს. შურისძიება, სავარაუდოდ, მოხდა მუსლიმანური დღესასწაულის, ყურბან-ბაირამის, ცხრადღიანი მარხვის ან მისი გახსნილების პერიოდში. ყურბან-ბაირამი ხომ ისეთივე დიდი დღესასწაულია მუსლიმანთათვის, როგორც ქრისტიანთათვის აღდგომა და ზუსტად ამ დღეს დაარბიეს ქართველებმა არდავილი.

ასე რომ, ქართველებმა მტერს საკადრისი პასუხი გასცეს. მორალური თვალსაზრისით არაფერი ამართლებს ამ ხოცვა-ჟლეტას, მაგრამ თამარის სათნოებასაც ჰქონდა საზღვარი. არდაველის სულთანი ქურდულად შემოიპარა, ანისი ააოხრა და ასევე მოულოდნელად უკან გაბრუნდა. საქართველოს მხრიდან გულმოწყალების გამოჩენა კი სისუსტედ ჩაითვლებოდა და ჩვენის ქვეყნის სხვა მტრებსაც გაუჩნდებოდა მსგავსი მკრეხელობის ჩადენის სურვილი. ამიტომაც იქნა სამაგალითოდ დასჯილი არდაველის სასულთნო; თანაც ისე, როგორც ეს შეეფერებოდა შუა საუკუნეების ეპოქას, რომელშიც ბატონობდა ერთი პრინციპი: „სისხლი სისხლის წილ“. **ჩვენს დიდ წინაპრებს შესისხლხორცებული ჰქონდათ შეგონება, რომ მგლებთან სახარების კითხვას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც შექმნეს მათ ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმული დიდი იმპერია. იმხანად არსებულ ვითარებას ასე გადმოგვცემს მემატიანე: „შიში და ზარი მეფისა თამარისა იყო ყოველთა სულტანთა ზედა“.**

არდაველის დალაშქვრამ დაარწმუნა ქართველები, ჩვენი მოკეთეებიცა და მტრებიც, რომ მისი დამმარცხებელი ძალა იმჟამინდელ ახლო აღმოსავლეთში არავინ იყო. ამან გაათამამა ქართველები და დიდი ირანის დალაშქვრა მოიწადინეს (პირობითად შეიძლება ეწოდოს „ირანის დალაშქვრა“, თორემ ეს ქვეყანა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში თურქი ამირებისა და სულთნების კუთვნილება იყო).

ქართველმა დიდებულებმა სამეფო დარბაზობაზე დააყენეს ირანში დიდი ლაშქრობის მოწყობის გეგმა. ინიციატორებად გამოვიდნენ ზაქარია მხარგრძელი, ივანე მხარგრძელი, ვარამ გაგელი და თმოგველები.

სამეფო კარის დარბაზობაზე მოიწონეს მხარგრძელთა გეგმა: „სცნა ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა“. ლაშქრობისათვის მზადებამ რამდენიმე თვეს გასტანა. ეს კი ნამდვილად საჭირო იყო, ვინაიდან ირანის ცხელი კლიმატი ძალზე განსხვავდებოდა საქართველოს შედარებით გრილი კლიმატისაგან და მოუმზადებელ მეომარს მასთან შეგუება გაუჭირდებოდა. გარდა ამისა, მცირერიცხოვანი ქართული ჯარი კარგად იყენებდა ამიერკავკასიის მთაგორიან რელიეფს და ჩასაფრების ტაქტიკით ადვილად ამარცხებდა მასზე გაცილებით მრავალრიცხოვან ძალას. ირანში კი ქართველებს ეს უპირატესობა არ ექნებოდათ და ურიცხვ მტერთან ბრძოლა გაშლილ ველზე მოუწევდათ, ამიტომ ჩვენმა სარდლებმა მეომრები ახალი ტაქტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად მოამზადეს. ძირითადი აქცენტი დაქირავებულ მეომრებზე გაკეთდა (უპირატესობა მიენიჭა მშვილდოსნებსა და მსუბუქ კავალერიას).

ქართველებს ირანისკენ ლაშქრობის ორი ალტერნატივა ჰქონდათ: ერაყის ან ხორასნის (რომ-გურის) მიმართულება. საბოლოო არჩევანი ლაშქარს უნდა მიეღო უკვე ირანში შეჭრის შემდეგ. როგორც ჩანს, ხორასნის მიმართულება გადაწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იქ ვიღაცამ მიიწვია. ეს „ვიღაცა“, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ხვარაზმის ფადიშაჰი **მუჰამედი.**

აქ ორმხრივი ინტერესები იკვეთება. ერთი მხრივ, ანარქიული ირანი, იქ დამკვიდრებული თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი მოუსვენარი ბანდები დიდად აზიანებდნენ ხორეზმის სამეფოს; მეორე მხრივ, ქართველთა წინაშე იდგა რამდენიმე ამოცანა:

**1. განადგურებულიყო ირანის თურქ-სელჩუკთა ის კერები, რომლებიდანაც ხდებოდა ინტენსიური შემოჭრა საქართველოში;**

**2. გაძლიერებულიყო ის მაჰმადიანური ერთეულები, რომლებიც აღიარებდნენ ქართველთა სიუზერენიტეტს;**

**3. დამყარებულიყო მშვიდობა კავკასია-ხორეზმის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე, „აბრეშუმის დიდი გზის“ მთავარ მონაკვეთზე, სადაც თურქთა უკონტროლო ურდოების თარეშით ძალიან ზარალდებოდა საქართველო;**

**4. მოუსვენარი და აგრესიული თურქ-სელჩუკთა სასულთნოს ნაცვლად საქართველო უმეზობლდებოდა უფრო დაწინაურებულ სახელმწიფოს, ამ ეტაპზე ხორეზმი არ განიხილებოდა საქართველოსთვის სახიფათოდ, პირიქით — ირანის თურქ -სელჩუქების წინააღმდეგ ბრძოლაში შუააზიელი თურქ-სელჩუკები ბუნებრივ მოკავშირედაც გამოდიოდნენ;**

**5. აღმოსავლეთში შემორჩენილი იყო ქრისტიანული თემები და სომხურ-ებრაული დიასპორები (საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობა იმ პერიოდში ებრაელთა ხელში იყო). საქართველო მფარველობდა ქრისტიანულ თემებსაც და სომხურ-ებრაულ დიასპორებსაც. არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი ასეთი თემი შემორჩენილიყო ხორასანშიც (რომ-გურში);**

**6. საქართველოს უნდა მოეხდინა თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრირება.**

დაახლებით 1209 წელს საგანგებოდ მომზადებული ქართველთა ჯარი მეფის წინაშე წარდგა: „მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე. განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა, შურითა სპარსთათა აღსავსეობა. და მოიღო დროშა სვანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი და შეავედრა მასვე ვარძიისა ღმრთისმშობელისა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს. და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა და წარემართნეს სპარსეთად“.

ქართველთა ლაშქარი პირველად ქალაქ მარანდას მიადგა. მარანდელებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, რომლისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ. ძირითად ლაშქარს **თაყაიდინ თმოგველი** გამოეყო 500 რჩეული მეომრით და მთებს შეხიზნულ მარანდელებს დაედევნა. მტერს, როცა ქართველთა სიმცირე იხილა, გული მიეცა და ბრძოლა გამართა. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, მარანდელები სასტიკად დამარცხდნენ.

**მარანდის აღების შემდეგ თავრიზის ჯერი დადგა. მოსალოდნელი იყო, რომ ესოდენ დიდი ქალაქი უომრად არ დანებდებოდა ქართველებს, მაგრამ მარანდის მაგალითით თავზარდაცემულმა თავრიზელებმა ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს „ქართველთა ლაშქარს. თურქმა სარდლებმა დიდძალი ხარკი — ოქრო, ცხენი და ჯორ-აქლემი გაიღეს. გარდა ამისა, ქართველებს მიართვეს ჯარისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და უამრავი საჩუქარი, სანაცვლოდ თავრიზელებს მშვიდობა აღუთქვეს.**

მხარგრძელებმა თავრიზში დატოვეს მცველები და ლაშქრობა განაგრძნეს. თავრიზის მსგავსად უბრძოლველად დამორჩილდა ქალაქი მიანაც. მიანის მელიქს უკვე შეეტყო თავრიზის უბრძოლველად დანებება და თვითონაც ქედდადრეკითა და ნებაყოფლობითი ხარკის გაღებით გადაწყვიტა საკუთარი თავისა და ქვეყნის გადარჩენა. ქართველებმაც სიამოვნებით მიიღეს მიანელთა შემოთავაზება. მელიქმაც „სტუმართათჳის“ მოიღო „ოქრო-ვერცხლი და ქვანი ძვირფასნი. აღავსნა მანცა ყოვლითა სიმდიდრითა“ ქართველნი. ამირსპასალარმა მიანაშიც დატოვა მცველი — ციხიონი და ახლა ზანგანისკენ დაძრა ლაშქარი. ზანგანი (ზენჯანი) მანამდე „მცირე ქალაქი“ იყო, ალიზის კედლებით გარშემორტყმული, მაგრამ მის მესვეურებს, ქართველთა ირანში შემოჭრის ამბავი რომ შეუტყვიათ, „ქალაქი ძლიერად გაუმაგრებიათ“ და, როგორც კი მტერი მოადგათ, „იწყეს ფიცხლა ბრძოლა“.

**ზაქარიამ ჯარს ზანგანის კედლები უზნებად მიუზომა და უბრძანა, „რათა შესთხარონ“. პირველებმა მესხმა მეომრებმა „შეხურიტეს“ და შეანგრიეს ზღუდე და პირველნი შეიჭრნენ ქალაქში, შეიჭრნენ „შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო, ხოლო ქალსა, ბავშვსა და მხცოვანსა ხელსაც არ ახლებდნენ“. ამასობაში, ქართველთა სხვა ნაწილებმაც შეანგრიეს თავის „წილხვედრი ზღუდენი და ქალაქში შეიჭრნენ“.**

იგივე ბედი ეწია ქალაქ ყაზვინსაც, რომელიც ასევე „მოარბიეს და აღივსნენ საქონლითა“. ყაზვინიდან მხარგრძელები უფრო ღრმად შეიჭრნენ, აიღეს ქალაქი გურგანი (გორგანი — დღეს ირანის გულისტანის პროვინციის ცენტრი), რომელიც კასპიის ზღვის აღმოსავლეთითაა და დალაშქრეს ტერიტორია „უშინაგანესისა რომ- გურისა“. შემდგომი წინსვლა ქართველებმა ზამთრის მოახლოებისა და ალაფის სიმძიმის გამო ველარ შეძლეს.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**



## შოთა რუსთველი
**(XII-XIII საუკუნეთა მიჯნა)**

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების.

* * *

**სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჰჭელსა.**

* * *

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

* * *

**ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.**

* * *

ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

* * *

**თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.**

* * *

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!

* * *

**სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.**

* * *

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!

* * *

**მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.**

* * *

ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

* * *

**იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.**

* * *

ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია.

* * *

**ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.**

* * *

რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!

* * *

**გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.**

* * *

არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.

* * *

**მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.**

* * *

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

* * *

**ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.**

## იცით თუ არა, რომ:

**ახალი ქვეყნების ძიებაში, ფინიკიელებმა მიაღწიეს მიწას, რომელსაც „აპანი“, ანუ წყვდიადი ქვეყანა უწოდეს. დღეს მას ესპანეთი ჰქვია.**




**ლეგენდარულმა ქართველმა მოჭიდავემ, ორგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა აფხაზეთის ომის დროს ქართულ გვარდიას ვერტმფრენი აჩუქა. გარდა ამისა, „გადარჩენის ფონდში“ 2 მილიონი მანეთი გადარიცხა. მისმა უფროსმა ვაჟმა ამ ომში სამშობლოსთვის თავი გაწირა.**



**მუსლიმანები, ქრისტიანებისგან განსხვავებით, სიკვდილმისჯილს არასოდეს წვავდნენ კოცონზე, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ცეცხლით დასჯის უფლება მხოლოდ ალაჰს ჰქონდა.**



# «ტრავიატა» საოპერო ზეიმად გადაიქცევა

**25 იანვარს 19 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის შედევრი, მისი ერთ-ერთი ყველაზე სულისშემძვრელი და პოეტური ქმნილება, ოპერა „ტრავიატა“. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სპექტაკლის პრემიერა, რომელზეც იმუშავა არაერთგზის ნაცადმა, წარმატებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძისა და ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის შემადგენლობით, შარშან, ოქტომბერში დიდი წარმატებით გაიმართა. პრემიერის შემდეგ ეს პირველი წარმოდგენა იქნება.**


ირაკლი კახიძე


ნიკოლოზ ლაგვილავა


მარიკა მაჩიტიძე

„ტრავიატას“ ამ წარმოდგენაში მთავარ როლებს შეასრულებენ საერთაშორისო აღიარების მქონე ახალგაზრდა ქართველი მომღერლები: **მარიკა მაჩიტიძე** (ვიოლეტა ვალერი) — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, **ირაკლი კახიძე** (ალფრედ ჟერმონი) — ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტი, **ნიკოლოზ ლაგვილავა** (ჟორჟ ჟერმონი) — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამივე აღნიშნული როლების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სპექტაკლი ჭეშმარიტ საოპერო ზეიმად გადაიქცევა.

მათ პარტნიორობას გაუწევენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები: **ნუცა ზაქაიძე** (ფლორა ბერვუა), **მარიეტა მაჩალაძე** (ანინა), **იოსებ კიწმარიშვილი** (გასტონი), **კალისტრატე ხარჩილავა** (ბარონი დიუფონი), **ემილ ჩარგაზია** (მარკიზი დ’ობინი), **ბესიკ ბასილაძე** (ექიმი გრენვილი), თეატრის გუნდი, რომლის მთავარი ქორმაისტერია **ნათია გოგუაძე**, ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** წარუძღვება.

„ტრავიატას“ მსოფლიო პრემიერა 1853 წლის 6 მარტს შედგა ვენეციის თეატრში „ლა ფენიჩე“ და ის საოცრად წარუმატებელი აღმოჩნდა, პრაქტიკულად, პრემიერა ჩავარდა. პრემიერის მეორე დღეს ვერდი თავის მეგობარ ემანუელე მუციოს წერდა: „გუშინ საღამოს „ტრავიატა“ ჩავარდა. ჩემი ბრალია თუ მომღერლების?.. დრო განსჯის“.

პრემიერის ჩავარდნის მიუხედავად, იყვნენ ადამიანები, რომელთაც ძალიან მოეწონათ და სათანადოდ შეაფასეს




„ტრავიატა“. Gazzeta Musicale წარუმატებლობას მთლიანად მომღერლებს აბრალებდა და წერდა: „ტრავიატა“ შესანიშნავი ქმნილებაა იმ უშრეტი გენიოსისა, რომელმაც ევროპას შესძინა „ნაბუქო“, „ერნანი“ და „რიგოლეტო“. ამ ნაწარმოების მუსიკა გასაოცარი, დამატყვევებელი რელიეფურობით ამჟღავნებს ვნებათა ევოლუციას“.

მსოფლიო პრემიერიდან ერთი წლის შემდეგ, 1854 წლის 6 მაისს, ვერდის შემოქმედების თაყვანისმცემელმა ანტონიო გალომ „ტრავიატა“ (მცირედი კუპიურებით) ვენეციაში თავის თეატრ San Benedetto-ში დადგა და ოპერას კოლოსალური წარმატება ხვდა წილად.

„ტრავიატას“ მოსმენის შემდეგ დიუმამ თქვა: „ორმოცდაათი წლის შემდეგ არავის ემახსოვრება ჩემი „ქალი კამელიებით“, ვერდიმ კი ის უკვდავყო“.

1855-57 წლებში „ტრავიატა“ დაიდგა ევროპის ყველა ცენტრალურ საოპერო სცენაზე და სამუდამოდ დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი საოპერო რეპერტუარში.

ეწვიეთ ქუთაისის ოპერის თეატრს და ისიამოვნეთ ვერდის ოპერით „ტრავიატა“.

**ზურაბ ოიკაშვილი**

# «მაიდანი ვაშინგტონში»: პუტინმა ისაუბრა, როგორ ცდილობენ აშშ-ში ტრამპისთვის ხელის შეშლას

**„აშშ-ში გარკვეულ ძალებს სურთ, ძირი გამოუთხარონ დონალდ ტრამპის არჩევის ლეგიტიმურობას. რჩება შთაბეჭდილება, რომ კიევში გავარჯიშების შემდეგ მზად არიან, მაიდანი ამერიკაში მოაწყონ, ოღონდ არ დაუშვან პრეზიდენტის სავარძელში რესპუბლიკელის ჩაჯდომა“, — განაცხადა 17 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.**

რუსეთის პრეზიდენტის განცხადების თანახმად, ტრამპის მოწინააღმდეგენი, სულ ცოტა, ორი ამოცანის გადაჭრას ცდილობენ: პირველი — ძირი გამოუთხარონ აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმურობას; მეორე ამოცანაა ახალარჩეული პრეზიდენტისთვის ხელ-ფეხის შეკვრა იმ დაპირებების შესრულებაში, რომლებიც მან წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გასცა.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთს აქვს „კომპრომატი ახალარჩეულ პრეზიდენტზე, პუტინმა ფალსიფიკაცია უწოდა. რუსეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ რუსეთში ტრამპის ვიზიტი რამდენიმე წლის წინათ გაიმართა, როდესაც ტრამპი ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკური მოღვაწე. „რა, ვიღაც ფიქრობს, რომ ჩვენი სპეცსამსახურები თითოეულ ამერიკელ მილიარდერს კუდში დასდევენ? ეს ასე არ არის! ეს სრული ბოდვაა!“ — განმარტა რუსეთის პრეზიდენტმა.

ტრამპის რეპუტაციის შემლახველი დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელება კი, პუტინის აზრით, ამერიკის პოლიტიკური ელიტის დეგრადაციაზე მიანიშნებს.

„ადამიანები, რომლებიც უკვეთავენ ასეთ სიყალბეებს, როგორსაც ახლა ავრცელებენ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ და იყენებენ პოლიტიკურ ბრძოლაში, მეძავებზე უარესები არიან. მათ საერთოდ არ აქვთ მორალური შეზღუდვები“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ანონიმური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ვიღაც „რუს აგენტებს“ თითქოს აქვს ტრამპის მაკომპრომეტებელი ინფორმაცია, ინტერნეტრესურსმა Buzz Feed-მა გამოაქვეყნა. ავტორი კი აღმოჩნდა ბრიტანეთის სპეცსამსახურის — „მი-6“-ის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად ლონდონური საგამოძიებო კომპანია „ორბისის“ თანადამფუძნებელი, 52 წლის **კრისტოფერ სტილი**.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894